

# საქართველო-რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში

ლევან ალექსიძე

## თავი V საქართველო-რუსეთის (კახეთ-რუსეთის) პირველი ხელშეკრულება მფარველობის შესახებ XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე

XVI საუკუნის 80-იან წლებში იწყება საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი. ამ დროისათვის უკვე მომწიფდა ის ისტორიული პირობა, რაც რუსეთისაგან დაუინებით მოითხოვდა სამხრეთის საზღვრების საკითხის მოგვარებას, საზოგადოდ, და კასპიისკენ მიმავალი სავაჭრო გზებისას, კერძოდ.

საერთაშორისო მდომარეობა ამ პერიოდისა, როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში აქტივიზაციის ტენდენციამ იჩინა თავი, ისტორიოგრაფიაში დეტალურად არის შესწავლილი და ამიტომ ამ საკითხზე აქ შეჩერება არ მიგვაჩნია საჭიროდ.<sup>1</sup> ამ პერიოდში მთავარია სულ უფრო და უფრო მკვეთრად გამოხატული ის ანტაგონისტური წინააღმდეგობა, რაც წარმოიშვა რუსეთსა და თურქეთს შორის ირანთან ომში წარმატების მიღწევის შემდეგ (1578-1590 წწ.). რუსეთის სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებისათვის ამიერკავკასიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით აიხსნება რუსეთის ირანთან დაახლოება და რუსეთ-თურქეთს შორის ურთიერთობის დაძაბვა, რაც თითქოს ემთხვეოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტერესებს.

მეორე მხრივ, შამხალსა და მასზე დამოკიდებულ დადესტნელ მთავრებთან ერთობლივი ბრძოლა რუსეთს აახლოებდა კახეთთან. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თურქეთის მიერ ამიერკავკასიის მთლიანად დაპყრობისა და 1578-1590 წლებში კასპიის ზღვაზე გასვლის შემდეგ საშამხლოს სათავადოები მჭიდროდ უკავშირებენ თავის ბედს თურქეთს და ააქტიურებენ ანტირუსულ და ანტიყაბარდოულ საქმიანობას. ამავე დროს ლეკებიც აქტიურად ებმებიან თურქების მიერ გამართულ მონებით ვაჭრობაში და იწყებენ კახეთზე თავდასხმებს. მათ ჩაკეტეს კახეთიდან კასპიის ზღვისაკენ მიმავალი გზა და ამით მოუსპეს მას ვაჭრობის საშუალება. ლეკები სისტემატურად თავს ესხმოდნენ კახეთის დასახლებულ პუნქტებს და იტაცებდნენ ტყვეებს. კახეთის მეფე ალექსანდრე

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე. „მსკი“, 1944, გვ. 1-16; . . . , 1958 . . . 39-43; . . . , 1955, . . . 480-482; . . . , ( . . . , 1889, . . . ); საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 144-146.

მეორეს კარგად ესმოდა, თუ რას უქადდა შამხლისა და მისი ვასალების საქმიანობა; იცოდა ისიც, რომ თურქეთის სულთანი, როგორც კი დაიპყრობდა ქართლს, თავის ჯარებს კახეთისკენ დაძრავდა. ხსნა არსაიდან იყო, ვინაიდან ირანი-კახეთის სიუხერენი თავად იყო შევიწროებული თურქეთის ჯარებისაგან.

სწორედ ამ დროს ხდება კახეთისა და რუსეთის პოლიტიკური დაახლოება.

1586 წლის 23 სექტემბერს ასტრახანში დაბრუნდა ხელმწიფის თარჯიმანი რუსინ დანილოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შეესწავლა ამიერკავკასიასა და, კერძოდ, საქართველოსაკენ მიმავალი სავაჭრო გზები და ენახა რას წარმოადგენდა თვითონ საქართველო<sup>2</sup>. საქართველოდან დანილოვი მარტო არ დაბრუნებულა. მან მოიყვანა კახეთის მეფის ალექსანდრე მეორის წარგზავნილები ოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. ვოევოდამ ლობანოვ-როსტოვსკიმ მაშინვე გააგზავნა მოსკოვში ელჩები და მისწერა ხელმწიფეს ამ ამბის შესახებ.

9 ოქტომბერს საქართველოს ელჩები ჩავიდნენ მოსკოვში, ისინი იმავე დღეს მიიღო ხელმწიფემ. გამოიჩინა, რომ ალექსანდრე „...“, რადგან ის და მისი ქრისტიანული ქვეყანა თურქეთის მიერ ძლიერ შევიწროებულია<sup>3</sup>.

ამრიგად, კახეთი ითხოვდა თურქებისაგან მფარველობასა და დაცვას. ეს აზრი კახეთს ჩააგონა რუსინ დანილოვის ვიზიტმა, რომელმაც საქართველოში თან ჩამოიტანა „სიგელი და ამბავი“. ეს გასაგებიცაა: მოსკოვი ეძებდა მოკავშირეებს ამიერკავკასიაში და თვითონვე შესთავაზა კახეთს მფარველობა. ამაში გვარწმუნებს კილო ზემოთ აღნიშნული სიგელისა – კახეთის მეფე არათუ ურყოფს რუსეთის წინადადებას, არამედ სიხარულით თანხმდება მფარველობაზე. რუსეთის წინადადების ლაიტმოტივი არის ერთმორწმუნე კახეთის დაცვა; ალექსანდრე თავის სიგელში ხაზგასმით აღნიშნავს „...“

„... ამრიგად, სავსებით ნათელია, რომ ინიციატივა მფარველობის შესახებ მოსკოვიდან მომდინარეობდა, რაზედაც საკმაოდ აშკარად მიაჩნებდა კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და აგრეთვე რუსეთის სამეფო კარზე კახეთის წარგზავნილთა სასწრაფო მიღება გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში დანილოვი თვით ხელმწიფის საგანგებო დავალებით მიდიოდა. მისი მოგზაურობის ნამდვილი მიზანი არც ასტრახანის ვოევოდამ იცოდა, რომელსაც ეგონა, რომ დანილოვი საქართველოში სავაჭრო მისიით მიემგზავრებოდა. ეს გასაგებიცაა: მოსკოვმა იცოდა, რომ ირანი და თურქეთი საქართველოს გამო წაეკიდნენ ერთმანეთს და ამიტომ ფრთხილად მოქმედებდა. ამრიგად, ალექსანდრე მეორემ მიიღო თვედორე ივანეს ძის წინადადება მფარველობის შესახებ. ერთდროულად მან მოსკოვის ელჩებს თავისი ელჩის პირით წაუყენა მთელი რიგი პირობებისა, რომელთა მიზანიც იყო კახეთსა და რუსეთს შორის გზის უშიშროების უზრუნველყოფა, ურომლისოდაც რუსეთის მხრიდან მფარველობა ზედმიწევნით ნომინალური იქნებოდა.

კახეთსა და ასტრახანს შორის მისვლა-მოსვლა მხოლოდ სამი გზით შეიძლებოდა და ერთ-ერთი მათგანი – ნაკლებ მთლიანი და შედარებით ადვილად

---

<sup>2</sup> , . 10

<sup>3</sup> , . 12.

გასასვლელი – მიდიოდა კახეთიდან ტიუმენამდე ტარკის შამხლის სამფლობელოს გავლით.<sup>4</sup>

როგორც წყაროებიდან ჩანს, კახეთის მეფე ალექსანდრე მეორე რუსეთს სთხოვდა „გაეწმინდა“ სწორედ ის გზა, რომელიც ტარკის შამხლის სამფლობელოზე გადიოდა. ამავე დროს იგი მიზანშეწონილად თვლიდა თერგზე ციხესიმაგრის აშენებას, მასში დიდი რაოდენობით ჯარისკაცთა ჩაყენებას და მათ აქ დატოვებას<sup>5</sup>. როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ნ. ბერძენიშვილი, საეჭვოა, რომ თერგზე ქალაქის აშენების ინიციატივა კახეთიდან მომდინარეობდეს<sup>6</sup>. იგი იმავე დანილოვის მოღვაწეობის შედეგია, რომელმაც აუწერა ალექსანდრეს მოსკოვური პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმ პერიოდში, და რომელმაც თურქეთის (ირანის) უფლიდან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა საქართველოს. რუსეთისათვის აუცილებელი იყო თავისი აქციები ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოედგინა, როგორც „...“ (თხოვნა) ამით დაინტერესებული სახელმწიფოებისა, მათ შორის კახეთისაც.

1587 წლის აპრილის დასაწყისში თევდორე ივანეს ძემ ბოიარებთან ერთად გადაწყვიტა კახეთის მეფის ალექსანდრეს „...“ აყვანა და ამ კავშირის გასაფორმებლად გამოეზავნა თავისი ელჩები<sup>7</sup>.

11 აპრილს საქართველოს ელჩები „გავიდნენ“ რუსეთიდან. ნიჟნი ნოვგოროდში ისინი შეხვდნენ ელჩებს – როდიონ ბირკინს და პეტრე პივოვს. ელჩები გაემგზავრნენ ასტრახანს, იქიდან კი კახეთისაკენ. გზად ისინი ოკუტსკისა და ყაბარდოს მიწებზე გადიოდნენ. ამ მხარის მთავრები რუსეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ<sup>8</sup>.

ავვისტოში რუსეთის ელჩები როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი უკვე ალექსანდრე მეორის კარზე იყვნენ, ხოლო ერთი თვის შემდეგ 1587 წლის 28 სექტემბერს, ალექსანდრე II „...“

„9.“

1589 წელს თევდორე ივანეს ძის ელჩმა თავადმა ს. ზვენიგოროდსკიმ ალექსანდრეს მიართვა „ოქროს ბეჭდიანი წყალობის სიგელი“ – „...“

„... ამით კავშირის დადების ფორმალური მხარე დასრულდა.

თევდორე ივანის ძის გარდაცვალების შემდეგ ხელშეკრულება კვლავ განახლდა. ამჯერად ფიცის წიგნი მისცა მეფისწულმა დავითმა, რომელსაც ტახტი უკვე ხელთ ჰქონდა ჩაგდებული. მაგრამ, ელჩების დაუინებით, ფიცს თავისი ბეჭედი დაადო აგრეთვე ალექსანდრემაც. ეს მოხდა 1603 წლის 1 ივლისს<sup>10</sup>. დავითის გარდაცვალების შემდეგ მოსკოვმა ხელშეკრულება კვლავ განახლდა. ალექსანდრის არყოფნის გამო ფიცის წიგნს ხელი მოაწერა მეფისწულმა გიორგიმ (1605 წლის 1 იანვარი)<sup>11</sup>. ფიცის ტექსტი აბსოლუტურად იგივე იყო, რაც 1587 წელს მიცემული ფიცის წიგნისა. წყალობის სიგელები უკვე აღარსად ჩანს და აღარც სადმე

4 ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან..., გვ. 18-19.

5 „...“ . 15.

6 ნ. ბერძენიშვილი, ციტ. შრ., გვ. 18.

7 „...“ . 12.

8 იქვე.

9 „...“ . 41.

10 „...“ . 362-363.

11 „...“ . 490-491.

იხსენიება. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „წყალობის სიგელების” შედგენა თავისთავად იგულისხმებოდა. გარდა ამისა, კახეთში მომხდარი არეულობის გამო მოსკოვს შეეძლო დაეყოფნებინა სიგელის შედგენა, ვიდრე მდგომარეობა ქვეყანაში სტაბილური არ გახდებოდა.

განსახილველი პერიოდის მთელ მანძილზე (ე. ი. 1587 წლიდან 1605 წლამდე) მოსკოვისა და კახეთის მეფეების ელჩებს მუდმივი მისვლა-მოსვლა აქვთ ერთმანეთთან. არსებითად ისინი მუდმივ დიპლომატიურ წარმომადგენელთა როლს ასრულებდნენ. ასე მაგალითად: კახეთის მეფის ელჩები მოსკოვში იმყოფებოდნენ 1586-1587, 1588, 1589, 1591, 1592, 1593, 1595-1596, 1599-1600, 1603-1604 წწ., მოსკოვის მეფის ელჩები კი კახეთში – 1587-1588, 1589-1590, 1591-1592, 1593-1594, 1596-1599, 1601-1603, 1604-1605 წლებში.

1587 წელს მოსკოვიდან შინ მომავალმა საქართველოს ელჩებმა თან წამოიყვანეს მეფის რუსეთის ელჩები. ასევე, კახეთიდან მოსკოვში გამგზავრებისას რუსეთის ელჩებმა თან წაიყვანეს კახეთის მეფის წარგზავნილები. 18 წლის მანძილზე ელჩთა გაცვლის ეს თანმიმდევრობა არც ერთხელ არ დარღვეულა.

ელჩობის მიზანი სხვადასხვაგვარი იყო – ალექსანდრე, მაგალითად, მოითხოვდა სამხედრო დახმარებას შამხლის წინააღმდეგ საბრძოლველად, ითხოვდა კახეთში გამოეგზავნათ ზარბაზნების ჩამომსხმელი ხელოსნები, პატიუბდა ეკლესიის მსახურთ, რათა მათ დახმარება აღმოეჩინათ „ურჯულთა მიერ წაბილწული ქრისტიანობის” აღდგენისას და ა. შ. თავის მხრივ მოსკოვიც იძლეოდა სხვადასხვაგვარ დაპირებებს. იტყობინებოდა, რომ უახლოეს ხანში გამოგზავნის ჯარს შამხლის წინააღმდეგ საბრძოლველად, სთავაზობდა ამ კამპანიაში ერთობლივი მოქმედების გეგმას; აყოვნებდა ზარბაზნების ჩამომსხმელ ხელოსანთა გამოგზავნას, სამაგიეროდ ხალისით აგზავნიდა საქართველოში მღვდელმსახურებს, სხვადასხვა სახის საჩუქრებს და ა. შ.

ამჯერად ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამ დეტალების გარჩევა. ყოველივე ეს მშვენივრადაა გაშუქებული ჩვენი ისტორიკოსების შრომებში. ჩვენ გვაინტერესებს შექმნილი კავშირის იურიდიული ბუნება, ვინაიდან კახეთის სტატუსი რუსეთთან ურთიერთობაში რჩება 1605 წლამდე, როდესაც, ალექსანდრე II-ის სიკვდილისა და მისი ვაჟის კონსტანტინეს გამეფების შემდეგ, რუსეთსა და კახეთს შორის კავშირი 30 წლით წყდება.

\* \* \*

რას წარმოადგენდა იურიდიული თვალსაზრისით 1587-1589 წლების აქტი? უპირველეს ყოვლისა სიტყვა მივცეთ იმ მეცნიერებს, რომლებიც შედარებით დეტალურად სწავლობდნენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითებს.

ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ. კარამზინი შემდეგ სურათს ხატავს:

მეფე ალექსანდრე თვალცრემლიანი ემუდარებოდა თევდორეს მიეღო თავის მაღალ მფარველობაში სახელგანთქმული ივერია<sup>12</sup>. თევდორემ გამოაცხადა თავი საქართველოს უზენაეს ხელისუფლად ისე, რომ ჯერ გზაც კი არ იცოდა ამ ქვეყნისაკენ. ალესანდრე ჯვარზე იფიცებდა, რომ ერთგული იქნებოდა მუდამ და უცვლელად მეფე თევდორესი, მისი მომავალი შვილებისა და მემკვიდრეებისა.

<sup>12</sup>

, . . , 1824, . 63-68.

ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი წერს: 1586 წელს თევდორესთან მოსკოვში მოვიდნენ კახეთის მთავრის ალექსანდრეს ელჩები. ალქსანდრე სთხოვდა მეფეს მიეღო მთელი მისი ხალხი „ (ქვეშევრდომობაში – ლ. ა.)<sup>13</sup>. უფრო ქვემოთ ავტორი ალექსანდრეს უწოდებს „ -ს.

ალექსანდრე რუსეთის ქვეშევრდომად არის გამოცხადებული საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაშიც. ასე მაგალითად: მსოფლიო ისტორიის IV ტომში ხაზგასმულია ფაქტი 1587 წელს კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის რუსეთის ქვეშევრდომად მიღების შესახებ<sup>14</sup>.

1587 წელს, - ნათქვამია სხვა მონოგრაფიაში, - კახეთის მეფე ალექსანდრემ მიიღო მეფე თევდორეს წინადადება რუსეთთან კავშირისა და მისი მფარველობაში შესვლის შესახებ. საქართველოც შევიდა რუსეთის მეფის ქვეშევრდომობაში. მეფის ტიტულში აღინიშნა, რომ რუსეთი არის მფლობელი „ივერიის“ (ე. ი. საქართველოს) მიწისა<sup>15</sup>.

იმავე თვალსაზრისს ავითარებს XVI-XVII საუკუნეებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევარი ს. ბელოკუროვი: მოსკოვის სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში კახეთის შესვლა გამოწვეული იყო კახეთის სურვილით თავი დაეცვა მტრებისაგან. ეს სტატუსი ნამდვილად ნომინალური იყო. პირველ ხანებში კახეთი აგზავნიდა ხარკს და ეს იყო ერთადერთი რამ, რითაც ეს ქვეშევრდომობა გამოიხატებოდა, მაგრამ კახეთმა მალე შეწყვიტა ხარკის მიცემაც, თუმცა მოსკოვის სახელმწიფო ყოველთვის უწევდა მას დახმარებას<sup>16</sup>.

პროფესორი ს. იუშკოვი რუსეთსა და კახეთს შორის დამყარებულ ურთიერთობის ხასიათს განსაზღვრავს როგორც ვასალიტეტს: მოსკოვის მეფის ვასალები გახდნენ ციმბირის ხანები, ჩერქეზეთის მთავრები, შამხლები (ყუმიყების მბრძანებელნი), ყალმიყების ტაიშები, ნოღაის მირზები. ვასალებად აღიარებდნენ თავის თავს საქართველოს მეფეები (კახეთისა და იმერეთისა). ზოგიერთი ვასალური დამოკიდებულება ნომინალურ ხასიათს ატარებდა (მაგალითად, საქართველოს მეფეების ვასალიტეტი)<sup>17</sup>.

სხვა ადგილას ავტორი ლაპარაკობს მეფე ალექსანდრეს მიერ „რუსეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტის აღიარებაზე“ (1587)<sup>18</sup>.

საპირისპირო თვალსაზრისს ავითარებს რუსი სახელმწიფომცოდნე ნ. კორკუნოვი. რუსეთისა და კახეთის ურთიერთობას, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ურთიერთობას (1587-1783 წწ.), იგი განიხილავს როგორც პროტექტორატს ანუ მფარველობას, რომელიც სცილდება შინასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას და განსხვავდება ვასალიტეტისაგან. ერთი სახელმწიფოს პროტექტორატში მეორე სახელმწიფოს შესვლა არ იწვევს ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნას, მათი ურთიერთდამოკიდებულება ინარჩუნებს სახელშეკრულებო ხასიათს... რუსეთს არაერთგზის განუხორციელებია

<sup>13</sup> . . . , . . . , 1870, . II, . 341-342.

<sup>14</sup> . . . , . . . , . IV, 1958, . 572; ( XV - . . . ), . . . , 1955, . 839.

<sup>15</sup> . . . , . . . , . . . ( XV - . XVII ), 1957, . . . 204.

<sup>16</sup> . . . , . . . , . 1, 1889, . . .

<sup>17</sup> . . . , . . . , 1950, . 1, . 269.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 412.

პროტექტორატი მოსაზღვრე აზიურ სახელმწიფოებთან, რაც თანდათან გადადიოდა ამ ქვეყნების სრულ დაუფლებაში: ასეთი მხარე ხდებოდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი. ამ გზით განხორციელდა, მაგალითად, საქართველოს სამფლობელოების შეერთება რუსეთთან<sup>19</sup>. მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე რუსეთის ბატონობა საქართველოზე მხოლოდ ნომინალური რჩებოდა, უფრო მტკიცე კავშირი მყარდება 1783 წლის ხელშეკრულებით<sup>20</sup>.

განსახილველი საკითხის მკვეთრი განსაზღვრა არც ქართულ ისტორიულ და იურიდიულ ლიტერატურაშია მოცემული. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: პროტექტორატის ძებნა (რუსეთისა საქართველოზე - ლ. ა.) - წერს ზ. ავალიშვილი - არის ბუნებრივი მაშინ, როცა არსებობს სურვილი დამოუკიდებლობის თუნდაც ნაწილობრივ შენარჩუნებისა, მაგრამ არ არის საშუალება საკუთარი ძალებით ამის მიღწევისა... ვასალური დამოკიდებულება, რასაც იძულებით თავს ახვევდნენ საქართველოს მისდამი მტრულად განწყობილი აღმოსავლეთის ქვეყნები, ეს ის ფორმაა, რომლითაც, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო სიხარულით დაუკავშირდებოდა ისეთ ერთმორწმუნე და მეგობრულ სახელმწიფოს, როგორც იყო რუსეთი<sup>21</sup>.

გამოდის, რომ „პროტექტორატი“ და „ვასალიტეტი“ ერთი და იგივეა.

ზ. ავალიშვილი ამას ადასტურებს კიდევაც, 52-ე გვერდზე, შენიშვნაში, იგი წერს: რუსეთისადმი ქვეშევრდომობას სხვადასხვა დროს (მაგრამ ყოველთვის ერთი და იმავე აზრით - პროტექტორატი და ვასალური დამოკიდებულება) ითხოვდნენ საქართველოს მეფეები<sup>22</sup>.

1586 წელს, - წერს მეორე ქართველი სახელმწიფომცოდნე მ. ხელთუფლიშვილი, - კახეთის მეფე ალექსანდრე II ითხოვდა მეფე თევდორე ივანეს ძეს მიეღო იგი თავისი ხალხითურთ მფარველობაში და აღმოეჩინა დახმარება თურქთა წინააღმდეგ. თევდორე ივანეს ძე ამაზე ადვილად დაეთანხმა და მიიღო ალექსანდრე თავის მფარველობაში. მის ტიტულს ამით მიემატა სიტყვები: „ხელმწიფე ივერიის მიწებისა და საქართველოს მეფეებისა...“ ქართველი მეფეები აღიარებდნენ რუსეთის მეფეს თავის ხელმწიფედ, უზენაეს მფარველად, ე. ი. იმად, რადაც ითვლებოდნენ სამეფოს დანაწილების შემდეგ ქართველ მეფეთა და მფლობელთა მიმართ შაჰი და სულთანი, რომელნიც ასევე იწოდებოდნენ „ხელმწიფედ“ და არა „მეფედ“. რუსეთის მეფე ვალდებულებას იღებდა დაეცვა გარეშე მტრებისაგან მფარველობის მთხოვნელი, ხოლო ეს უკანასკნელი ერთგულების ფიცს დებდა და პირობას იძლეოდა შეესრულებინა გარკვეული ვალდებულებანი... მაგრამ ამ უზენაესობას არ ჰქონდა არავითარი ფაქტიური შედეგები, იგი ნომინალური რჩებოდა... საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების ნაღმვილი ისტორია იწყება მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ე. ი. ერეკლე მეორის მეფობიდან<sup>23</sup>.

<sup>19</sup> . . . , 1909, . 206-207.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 207.

<sup>21</sup> . . . , 1906, . 51.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 52, 1.

<sup>23</sup> . . . , 1901, . 5, 7, 8

„საქართველოს ისტორიის“ ერთ-ერთ პირველ სახელმძღვანელოში ეს საკითხი ერთობ ბუნდოვნადაა წარმოდგენილი<sup>24</sup>:

„1585 წელს მოსკოვის მეფემ თევდორემ ალექსანდრე კახთა მეფეს ასტრახანელი ასისთავის, დანილოვის, ხელით წერილი გამოუგზავნა. რუსეთის მეფე კავშირსა და მფარველობას სთავაზობდა საქართველოს...“

1586 წლის 9 ოქტომბერს ალექსანდრეს ელჩები მეფე თევდორეს წარუდგინეს. კახეთის მეფე მოსკოვის მეფისგან მფარველობას ითხოვდა...

1587 წელს ალექსანდრე მეფემ თავისი შვილებით და დიდებულებით ფიცი მიიღო მოსკოვის მეფის ერთგულებაზე. 1589 წელს კი მოსკოვის მეფემ მას წყალობის სიგელი გამოუგზავნა, სადაც დადასტურებული იყო როგორც ხელდებულის, ისე მფარველის უფლება-მოვალეობანი<sup>25</sup>.

იგივე აზრია განმეორებული საქართველოს ისტორიის ნარკვევებში<sup>26</sup>.

აკად. ნ. ბერძენიშვილი მეფე ალექსანდრესა და თევდორე ივანეს ძეს შორის არსებულ კავშირს უწოდებს ხელშეკრულებას – „მფარველობა-ხელდებულობის“ აქტს. სხვა თავის ნაშრომში ავტორი პირდაპირ მიუთითებს კახეთის სტატუსზე როგორც „ვასალიტეტზე“. უფრო გვიანდელ შრომებში, რომლებიც ზემოთ ხსენებულ ავტორს დაწერილი აქვს პროფ. ვ. დონდუას თანაავტორობით, იგი აქტიურად ხმარობს ტერმინს „ქვეშევრდომობა“, ან საერთოდ თავს იკავებს კვალიფიკაციისაგან.

ანალიზი გვარწმუნებს, რომ 1587-1589 წლების ხელშეკრულებას ავტორი მიიჩნევს მხოლოდ სამხედრო დახმარების ხელშეკრულებად, ამავე დროს, მისი აზრით, ტვირთი მთელი სიმძიმით აწევბა რუსეთს, რომელმაც უნდა დაიცვას კახეთი<sup>27</sup>.

რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულების ხასიათს ამ პერიოდში სხვადასხვაგვარად განსაზღვრავენ დ. ლანგი და ვ. ალენი<sup>28</sup>.

1560 წლის მოვლენათა განხილვისას დ. ლანგი საკითხს ასეთი ინტერპეტაციით წარმოგვიდგენს: საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში; ხოლო, რაც შეეხება კახთა მეფე ალექსანდრე II-ს, მის შესახებ ავტორი რატომღაც აღნიშნავს, რომ მეფე ალექსანდრე მეორე მოკლეს 1605 წელს... აგრეთვე იმ მოქმედებისათვის, რომელიც მიზნად ისახავდა მეფე ბორის გოდუნოვთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას.

ამრიგად, ავტორი თვლის, რომ ალექსანდრე II-მ მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთთან და ისიც მეფე ბორის გოდუნოვის დროს. რა თქმა უნდა, ავტორი ცდება. ვ. ალენი უფრო ზუსტია, როცა აცხადებს, რომ ალექსანდრე II-მ მიიღო თევდორე ივანეს ძის მფარველობა. მაგრამ არც აქ არის მოცემული ამ მფარველობის საერთაშორისო-სამართლებრივი ფორმის მკვეთრი და

<sup>24</sup> ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ტ. 1, თბ., 1948, გვ. 325.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 144-146.

<sup>27</sup> ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე; . . . , 1938, . 30-31;

. . . , ( XV - XVII ), . . . , 1955, . 844; XVII . . . , 1955, . 936, 938; . . . , 1, 1950, . 343, . . . 25.

<sup>28</sup> D. M. Lang, The Last Years of the Georgian Monarchy (1658-1832) N.Y. 1957, p. 11-12; W. Allen. A History of Georgian People, L. 1932, p. 164.

ჩამოყალიბებული დახასიათება, რომ ეს სიტყვა გავიგოთ როგორც იურიდიული ტერმინი, როგორც მხოლოდ ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური ურთიერთობის აღმნიშვნელი.

1587-1589 წლების ხელშეკრულებების იურიდიული ბუნების შედარებით მკვეთრი და ნათელი დახასიათება მოცემულია ივ. ჯავახიშვილის და ი. ცინცაძის შრომებში.

„ალექსანდრე მეფის წადილი, - წერს ი. ჯავახიშვილი, - იყო რუსეთის მფარველობით მაჰმადიან სახელმწიფოების მედგად იერიშებისა და მძლავრებისაგან საქართველო დაეცვა. თვით მისი რუსული ეპისტოლის რუსული თარგმანითგანაც ჩანს, რომ ალექსანდრეს რუსი მეფის მფარველობის მეტი არა სდომებია რა.

რუსთა მეფეს მფარველობით დაკმაყოფილება არ შეეძლო და მიჩნეული იყო, რომ თავისი უმცროსი მოკავშირეები, ან მფარველობისა და დახმარების მაძიებელნი პირდაპირ თავის ყმებად ან ქვეშევრდომებად ექცია. კახთა მეფის ალექსანდრეს წადილიც მან თავისებურად გაიგო...”

„ხელშეკრულების” დადების სიტუაციის დეტალური განხილვის შედეგად ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ხელშეკრულება „მხოლოდ სამხედრო კავშირის დამყარებას მოასწავებდა კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის”. მაგრამ რუსეთი თანახმაა მფარველობა და დახმარება აღმოუჩინოს კახეთს”, თუ კახთა მეფე ფიცის წიგნს ხელს მოაწერდა და რუსთა მეფის ყმადნაფიცი შეიქმნებოდა.

„ალექსანდრე კახთა მეფე ფიცის შემდეგაც თავის თავსა და ქვეყანას რუსთა მეფის მფარველობის ქვეშე სთვლის”, ხოლო კახეთს კვლავინდებურად თავისუფალ ქვეყნად<sup>29</sup>.

ამგვარად, აკად. ივ. ჯავახიშვილი „1587-1589 წწ. ხელშეკრულებას” მიიჩნევს კახეთის ვასალური დამოკიდებულების წარმომქმნელ აქტად, რაც ნიშნავდა პირველის მეორის შემადგენლობაში შესვლას. ამასთან ერთად ავტორი თვლის, რომ კახეთი იყო ვასალი მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო სამართლისა და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწეების თვალსაზრისით, ხოლო, კახეთის შეხედულებით, 1587-1589 წწ. აქტი იყო მხოლოდ ხელშეკრულება მფარველობისა და სამხედრო კავშირის შესახებ.

1587-1589 წწ. ხელშეკრულების იურიდიულ ბუნებას დეტალურად აშუქებს პროფ. ი. ცინცაძე. ავტორის აზრით, კახეთი ფორმალურად გახდა რუსეთის მეფის „ყმად” ( ), რაც შეესაბამებოდა ტერმინს „ქვეშევრდომს”: უფრო ქვევით ავტორი ასკვნის, რომ ამ აქტის მიხედვით, 1587 წლიდან მოყოლებული კახეთის სამეფო ამყარებს ვასალურ ურთიერთობას რუსეთის სახელმწიფოსთან. მოსკოვის მეფე თავის „წყალობის სიგელში” ადასტურებს რუსეთის მფარველობაში კახეთის სამეფოს შესვლის ფაქტს<sup>30</sup>.

ამრიგად, ქართველ, რუს თუ უცხოელ მკვლევართ ნაშრომებში (იქნება ის რევოლუციამდელი თუ რევოლუციის შემდგომი პერიოდისა) აზრთა სხვადასხვაობაა. 1587-1589 წლების ხელშეკრულებათა შეფასებისას იხმარება ტერმინები: „ქვეშევრდომობა ვასალიტეტის მნიშვნელობით” (ს. სოლოვიოვი, ს. ბელოკუროვი, ს. იუშკოვი, ი. ჯავახიშვილი, ი. ცინცაძე), „ქვეშევრდომობა ვასალიტეტისა და პროტექტორატის მნიშვნელობით” (ზ. ავალიშვილი),

<sup>29</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1967, ტ. IV, გვ. 302-305.

<sup>30</sup> . . . , 1958, . . . 45-46.



„იქვეშევრდომობა“, „ხელშეკრულება ურთიერთდახმარებაზე“, „მფარველობა“, „ვასალიტეტი“ (ნ. ბერძენიშვილი), „პროტექტორატი, რომელიც გამოირიცხავს ვასალიტეტს“ (მ. ხელთუფლიშვილი, ნ. კორკუნოვი), „მფარველობა“ (ვ. ალენი), „ლიბლმატიური კავშირ-ურთიერთობის დამყარება“ (დ. ლანგი).

ვიდრე შევუდებოდეთ რუსეთ-კახეთის ხელშეკრულების იურიდიული ბუნების გარკვევას, საჭიროდ ვთვლით შევეხიოთ იმ ტერმინთა მნიშვნელობას, რომელსაც ხმარობენ ავტორები ამ აქტის შეფასებისას. თუ დავეყრდნობით ტერმინოლოგიას და ავტორთა მსჯელობებს, ყველა წინამორბედი მკვლევარი ამ ტერმინებს ხმარობს იმ მნიშვნელობით, რაც მათ ჰქონდათ XIX-XX საუკუნეების საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკასა და თეორიაში.

„სიუზერენიტეტი“, - წერს ლ. ოპენჰეიმი, - ეს არის ტერმინი, რომელიც პირველად იხმარებოდა ფეოდალსა და მის ვასალს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამოსახატავად. ფეოდალი, როგორც ამას მაშინ ხმარობდნენ, წარმოადგენს ვასალი სიუზერენს და იმავე დროს „სიუზერენიტეტი“ იყო მხოლოდ კონსტიტუციური სამართლის ტერმინი. (სადღეისო მდგომარეობით – ლ. ა.) სიუზერენი სახელმწიფოს უფლებები ვასალურზე, რითაც იგი არ უნდა იყოს გამოსატყუი, წარმოადგენს საერთაშორისო უფლებებს. სიუზერენიტეტი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს სუვერენიტეტს, იგი ერთ-ერთი სახეთაგანია საერთაშორისო მეურვეობისა, ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობაში სიუზერენი სახელმწიფო უმთავრეს საკითხებში მთლიანად წარმოადგენს ვასალურ სახელმწიფოს... ვასალური სახელმწიფო... მეტწილად განიხილება როგორც სიუზერენი სახელმწიფოს ნაწილი. აქედან გამომდინარე, ყველა ხელშეკრულება, რომელსაც დებს სიუზერენი სახელმწიფო, წარმოადგენს ipso facto დადებულს ვასალის სახელით, თუკი საპირისპირო არ არის საგანგებოდ მითითებული, ან ipso facto არ არის სრულიად აშკარა. ამიტომ სიუზერენის ომი არის ვასალის ომი...”

ეხება რა „პროტექტორატს“, ავტორი აღნიშნავს: ორ სახელმწიფოს შორის პროტექტორატის დამოკიდებულება იურიდიულად და არსებითად განსხვავდება სიუზერენიტეტისაგან. ზოგჯერ სუსტი სახელმწიფო ხელშეკრულების საფუძველზე თავისი ნებით შედის ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში და ამ გზით სახელმწიფო-პროტექტორს გადასცემს მოსაგვარებლად თავის ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო საქმეებს. პირველი სახელმწიფო გადასცემს რა პროტექტორის განკარგულებაში თავის მნიშვნელოვან საერთაშორისო საქმეებს, კარგავს თავის მთლიან სუვერენიტეტს და შემდგომში წარმოადგენს მხოლოდ ნახევრადსუვერენულ სახელმწიფოს და საერთოდ, პროტექტორატი, სიუზერენიტეტის მსგავსად, შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო მეურვეობის ერთ-ერთ სახედ.

ლ. ოპენჰეიმი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო-სამართლებრივი ქმედუნარიანობის მოცულობა, რომელიც შეინარჩუნა „პროტექტემ“, განისაზღვრება ხელშეკრულებით, და იქვე დასძენს: მაგრამ პროტექტორატისათვის, სიუზერენიტეტისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია ის, რომ სახელმწიფო, რომელიც იმყოფება პროტექტორატში, ყოველთვის უფლებამოსილია გარკვეული თვალსაზრისით შეინარჩუნოს თავისი საკუთარი მდგომარეობა სახელმწიფოთა შორის და, გარკვეულ ურთიერთობებში, იგი მაინც წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტს. პროტექტორატი არ განიხილება, როგორც ნაწილი პროტექტორი სახელმწიფოსი, ამიტომ იგი არ წარმოადგენს აუცილებელ

მონაწილეს იმ ომისა, რომელსაც აწარმოებს ზემდგომი სახელმწიფო მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხოლო ხელშეკრულებები, რასაც დადებს ზემდგომი სახელმწიფო, არ წარმოადგენს *ipso facto* პროტექტორატში მყოფი სახელმწიფოს სახელით დადებულს.

და ბოლოს, სახელმწიფო ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდეს ორი სხვადასხვა სახელმწიფოს პროტექტორატში და ეს სახელმწიფოები, ბუნებრივია, უნდა ახორციელებდნენ პროტექტორატს ერთობლივად<sup>31</sup>.

ანალოგიურ თვალსაზრისს ავითარებენ ჩ. ჰაიდი<sup>32</sup>, პ. ფოშილი<sup>33</sup>, აგრეთვე ა. როსი<sup>34</sup>, ლ. გოულდი<sup>35</sup>, პ. ბასტიდი<sup>36</sup> და სხვები. პროტექტორატი, - აცხადებს ცნობილი რუსი მეცნიერი ნ. კორკუნოვი, - არის საერთაშორისო და არა სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტი. ერთი სახელმწიფოს პროტექტორატობაში მეორე სახელმწიფოს შესვლა არ იწვევს ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნას და მათი ურთიერთდამოკიდებულება ინარჩუნებს სახელშეკრულებო ხასიათს. პროტექტორატი არის ხელშეკრულების საფუძველზე ერთი ქვეყნის დაქვემდებარება მეორე ქვეყნისადმი, მაგრამ იმ პირობით, რომ მისი თვითმყოფადი სახელმწიფო ხელისუფლება შენარჩუნებული იქნება.

ამიტომ ვასაღური დამოკიდებულებისაგან პროტექტორატი განსხვავდება იმით, რომ ამ დროს მხოლოდ გაბატონებული სახელმწიფო იღებს ვალდებულებას მხარი დაუჭიროს ხელქვეითი სახელმწიფოს მთავრობას, ვასაღური მთავრობა კი თვითონაც ვალდებულია დაეხმაროს თავის სიუზერენს. იღებს რა თავის თავზე მოვალეობას სახელმწიფოს დაცვისა და მფარველობის შესახებ, მფარველი სახელმწიფო, ბუნებრივია, იტოვებს კონტროლის უფლებას, ყოველ შემთხვევაში, მფარველობაში შესული სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მაინც. ამრიგად, პროტექტორატი აუცილებლად გულისხმობს დაქვემდებარებას, ამიტომ მეურვე სახელმწიფო ამავე დროს გაბატონებული ხდება, ხოლო მფარველობაში მყოფი - დამოკიდებული<sup>37</sup>.

ზოგიერთი მკვლევარი არ ხედავს მკვეთრ სხვაობას ვასალიტეტსა და პროტექტორატს შორის და არსებით ნიშნად მიიჩნევს ნახევრად დამოკიდებული სახელმწიფოს დროებით მდგომარეობას, რომლის არსსაც შეადგენს საგარეო ურთიერთობათა დაქვემდებარება უცხო სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი. ასეთი პოზიცია უკავია, მაგალითად, ფ. მარტენსს. ნახევრადდამოუკიდებულება, - აღნიშნავს იგი, - წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს სახელმწიფოს სრული დამოკიდებულებიდან სრულ საერთაშორისო სუვერენიტეტამდე, ანდა პირიქით; მას, როგორც გარდამავალ და დროებით ფორმას, გააჩნია თავისი გამართლება.

სახელმწიფოს ნახევრად დამოუკიდებლობა სხვადასხვა ფორმებში ვლინდება: ჯერ ერთი, ის შეიძლება გამომდინარეობდეს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მფარველობიდან, რაც ჩვეულებრივ საგარეო უშიშროების უზრუნველსაყოფად ჭირდება მფარველობაში მყოფ ხალხს. ეს გარემოება ვალდებულად ხდის მას

<sup>31</sup> . . . , 1948, . 1, / 1, . 182-183.

<sup>32</sup> . . . ( . . . )

. 1, 1950, . 125-134.

<sup>33</sup> P. Fauchille, *Traité de droit international public*, Part 1, v. 1, Paris, 1922, p. 250-264.

<sup>34</sup> A. Ross, *A Text-book of International Law*, N. Y., 1957, Ch. III.

<sup>35</sup> W. Z. Gould, *An Introduction to International Law*, N. Y., 1957, p. 189-204.

<sup>36</sup> Mad. P. Bastid, *Droit des gens*, P., 1948-1949, p. 88-90.

<sup>37</sup> . . . , 1909, . . . 206.

დაემორჩილოს კონტროლს მფარველი სახელმწიფოს მთავრობის მხრიდან დიპლომატიური ურთიერთობების სფეროში. მეორე – ნახევრად დამოუკიდებლობა, შეიძლება გამოხატული იყოს სახელმწიფოს ვასალურ დამოკიდებულებაში ისეთი სახით, როგორც არსებობდა ვასალსა და მის სიუზერენს შორის შუა საუკუნეებში. როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის წარმოების ავტონომია იზღუდება<sup>38</sup>.

ამ განსაზღვრას ავტორი არ სცილდება. ქვემოთ მას უბრალოდ ჩამოთვლილი აქვს ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფოები და არც კი აქვს განმარტებული „ნახევრად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა“ რომელ ფორმას მიეკუთვნებიან ისინი. მაგრამ თუკი მარტენსი გააკვრით მაინც იხილავს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ფორმებს, ისეთი ავტორები, როგორცაა ფ. ლისტი, შ. რივიე, ჩ. ფენვიკი, უარყოფენ რაიმე სპეციფიკური ფორმის არსებობას.

ასე მაგალითად, ფ. ლისტი ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფოს მხოლოდ ერთ ფორმას ხედავს – სიუზერენიტეტს, ამავე დროს იგი ხშირად ცვლის ამ სიტყვას პროტექტორატით<sup>39</sup>.

ანალოგიური პოზიცია უკავია შ. რივიეს. ნახევრად სუვერენული სახელმწიფო, - წერს იგი, - ემორჩილება მეორეს (მთავარს, სიუზერენს) და ეს მორჩილება გამოიხატება, პირველ ყოვლისა (ცალკეულ შემთხვევაში კი განსაკუთრებით), სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, საშინაო საქმეებს კი იგი განაგებს სრულიად თავისუფლად და დამოუკიდებლად. მორჩილებაში მყოფი სახელმწიფოს უფლება-მოვალეობანი რეგულირდება იურიდიული აქტით, რომელიც საფუძვლად უდევს მოცემულ დამოკიდებულებას. ცალკეულ შემთხვევებში იზღუდება დაქვემდებარებული სახელმწიფოს ხელშეკრულებათა დადების უფლება, რომელიც სხვა სფეროებში სრულიად დამოუკიდებელია და აქვს საელჩო უფლებაც კი. ანდა, პირიქით, ყოველგვარი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან მყარდება მთავარი სახელმწიფოს მეშვეობით. ჩვეულებრივ დაქვემდებარებულ სახელმწიფოს არ ეძლევა ელჩობის არც აქტიური და არც პასიური უფლება.

სიუზერენს შეიძლება ჰყავდეს ხელქვეით სახელმწიფოში თავისი მოხელეები. ხელქვეით სახელმწიფოს არ აქვს უფლება დამოუკიდებლად აწარმოოს თავდასახმითი ომი, მას მხოლოდ თავდაცვითი ომის წარმოება შეუძლია.

საშინაო მმართველობაში ხელქვეითი სახელმწიფო, ჩვეულებრივ, თავისუფალია და დამოუკიდებელი<sup>40</sup>.

მხოლოდ რამდენიმე სიტყვით ეხება ავტორი „პროტექტორატს, როგორც სიუზერენიტეტს და ტერიტორიის შექმნის საშუალებას“. პარაგრაფის ასეთი დასახელებიდან ადვილად მისახვედრია, თუ რა აზრისაა შ. რივიე პროტექტორატის შესახებ, რომლის მაგალითადაც მას იონიის კუნძულების სტატუსი მოაქვს. რაც შეეხება „პროტექტორატს, როგორც ახალი ტერიტორიების შექმნის საშუალებას“, აქ უკვე აშკარაა, რომ ავტორს მხედველობაში აქვს ეგრეთ წოდებული კოლონიური პროტექტორატები.

პროტექტორატი, - იმეორებს ჩ. ფენვიკი, - განსხვავდება ვასალური სახელმწიფოსაგან არა მისთვის დატოვებული ავტონომიის ხარისხით (რაც მათ ხშირად ნაკლები აქვთ, ვიდრე ვასალურ სახელმწიფოებს), არამედ იმ დიდ

38 . . . , 1904, . 1, . 258-259.

39 . . . , 1912, . . . 76-77.

40 . . . , 1912, . 66-68.

სახელმწიფოებთან დამოკიდებულებით, რომელთა დემოკრატიული კონსტიტუცია კრძალავს ვასალური კავშირის კონცეფციის გამოვლინებას<sup>41</sup>.

ვასალიტეტის მოდერნიზებულ ფორმად თვლის პროტექტორატს აგრეთვე ჟ. სელიც, მაგრამ მიმოიხილავს მათ ცალ-ცალკე<sup>42</sup>. ბევრი მეცნიერი სწორად არ თვლის საკითხის ასე დეყენებას და გულდასმით ცდილობს გამოიკვლიოს ვასალიტეტისა და პროტექტორატის ინსტიტუტთა თავისებურებანი, დაადგინოს დამოკიდებულების თითოეული ფორმის უფრო მკვეთრი იურიდიული ჩარჩოები.

ფრანგმა იურისტმა დესპანიემ, რომელმაც პროტექტორატის საკითხს უძღვნა საკმაოდ დიდი მოცულობის მონოგრაფია, და რომელშიაც მან ასახა XIX საუკუნეში გაბატონებული დოქტრინა, ასეთი დასკვნა გააკეთა:

1. სიუზერენიტეტი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო თმობს ფოდს თავისი სუვერენიტეტის საზარალოდ, მაგრამ ინარჩუნებს გარკვეულ უფლებებს როგორც ამ გადაცემის ინიციატორი.

2. პროტექტორატი, ეს არის ორ ქვეყანას შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომლის თანახმადაც, ერი, რომელსაც არ შესწევს უნარი თვითონ შეინარჩუნოს თავისი არსებობა სუვერენული ერთეულის სახით, სხვას გადასცემს თავის სუვერენულ უფლებებს საერთაშორისო ასპარეზზე განსახორციელებლად, სანაცვლოდ მეორე სახელმწიფოს ვალდებულებისა დაიცვას იგი გარეშე თუ შინაური თავდასხმებისაგან, ხელი შეუწყოს მისი ინსტიტუტების განვითარებას და ინტერესების დაცვას<sup>43</sup>.

საყურადღებოა აგრეთვე ერთი დეტალი: რიგი მეცნიერებისა (ისინიც, ვინც აღიარებენ პროტექტორატსა და სიუზერენიტეტს შორის სხვაობას, - ფოშილი, აგრეთვე ისინიც, ვინც უარყოფენ მას – რივიე, ლისტი და სხვები) გამოყოფენ საერთაშორისო-სამართლებრივი კავშირის განსაკუთრებულ ფორმას. ასე მაგალითად, რივიე, რომელიც ეყრდნობა უფლებრივ მდგომარეობას ისეთი ქვეყნებისა, როგორიცაა მონაკო, სან-მარინო, ბულონის საჰერცოგო 1783 წლამდე, ამ დამოკიდებულების ტიპურ სახედ თვლის დამოკიდებულებას აკებულს ხელშეკრულებაზე, რომლითაც ძლიერსა და სუსტ სახელმწიფოებს შორის ყალიბდება განსაკუთრებული ურთიერთვალდებულება და უფლებები, რომელიც გამოიხატება იმით, რომ პირველმა უნდა დაიცვას მეორე, ხოლო ამ უკანასკნელმა უნდა გაუწიოს პირველს გარკვეული სამსახური, თუმცა ამის გამო იგი მაინც სუვერენული უნდა დარჩეს, თანახმად ძველი წესისა: *protectio non involvi subjectionem* (მფარველობა არ ნიშნავს დამორჩილებას), ამრიგად, უფლება-მოვალეობანი ორმხრივია, თუ ერთი სახელმწიფო არ ასრულებს მათ, მაშინ მეორეც თავისუფალია. სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ასეთ ფორმას რივიე უწოდებს „პროტექტორატს პირდაპირი გაგებით, ე. ი. მფარველობითს დამოკიდებულებას“<sup>44</sup>.

ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ არ უნდა ავურიოთ ხელშეკრულებასთან მფარველობის შესახებ, გვაფრთხილებს პ. ფოშილიც. ხელშეკრულებით (მფარველობის შესახებ) ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო იღებს

<sup>41</sup> Ch. Fenwick, International Law, Sec. ed., 1934, p. 95.

<sup>42</sup> G. Scelle, Cours de droit international public, P., 1948, p. 193-211.

<sup>43</sup> M. Despagnet. Essai sur le protectorat international, P., 1896, p. 46-51.

<sup>44</sup> . . . . 69.

თავის თავზე სუსტი სახელმწიფოს მფარველობას, მაგრამ ამით არ შთანთქავს მის საერთაშორისო ქმედუნარიანობას<sup>45</sup>.

იმასვე იზიარებს ა. ფერდროსიც: როცა რომელიმე სახელმწიფო იმყოფება მეორე სახელმწიფოს ან რამდენიმე სახელმწიფოს მფარველობაში, მაგრამ არ არის შეზღუდული, სწორედ ესაა მფარველობა. ავტორი თვლის, რომ მფარველობა განსხვავდება პროტექტორატისაგან, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როდესაც სახელმწიფო შედის ერთ ან რამდენიმე სახელმწიფოს მფარველობაში და ამით ან უქმდება, ან იზღუდება მისი საგარეო-პოლიტიკური ქმედუნარიანობა მესამე სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში.

მაგრამ, ისევე, როგორც მფარველობა, პროტექტორატიც წარმოადგენს არათანასწორუფლებიანი გაერთიანების ფორმას. ორივე ფორმა ხასიათდება იმით, რომ შედარებით სუსტი სახელმწიფო შედის უფრო ძლიერი სახელმწიფოს მფარველობაში, მაგრამ ამით იგი არ კარგავს თავის საერთაშორისო-სამართლებრივ სუბიექტობას. ამის ძალით დამოკიდებულება გაერთიანებულ სახელმწიფოთა შორის წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ კავშირს და ასეთივე რჩება იგი მომავალში<sup>46</sup>.

მართლაც, თუ მივმართავთ ზოგიერთ, ყველაზე უფრო ხშირად ხსნებულ „პროტექტორატებს“ და „ვასალიური სახელმწიფოების“<sup>47</sup> სტატუსს, დავინახავთ, რომ XIX-XX საუკუნეების საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში სრულუფლებიანი სუბიექტების გვერდით ნამდვილად არსებობს ე. წ. „ნახევრადსუვერენული“ სახელმწიფოები, რომელთაც შეზღუდული საგარეო-პოლიტიკური ქმედუნარიანობა გააჩნიათ. ასეთს განეკუთვნება „ვასალიტეტი“ და „პროტექტორატი“.

„ვასალიტეტის“ დროს ვასალი-სახელმწიფო წარმოადგენს სიუზერენი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს, ვინაიდან ვასალს უპყრია ძალაუფლება სიუზერენის ნების თანახმად და პასუხისმგებელია მის წინაშე. სიუზერენი-სახელმწიფო თავისი ყოფილი პროვინციის დათმობის სახით „უბოძებს“ მას ვასალიტეტის სტატუსს, ე. ი. პოლიტიკურ ავტონომიას. ვასალიტეტის სპეციფიკური ნიშანია ინვესტიტურა და ხარკი.

„პროტექტორატის“ დროს სუსტი სახელმწიფო ძლიერ სახელმწიფოს განკარგულებაში გადასცემს თავის საგარეო საქმეებს, რითაც ეს უკანასკნელი იღებს თავის თავზე ვალდებულებას დაიცვას მისი ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე როგორც მშვიდობიანი გზით, ასევე იარაღით. ამ ცესიის მოცულობა განისაზღვრება ხელშეკრულებით ან პროტექტორსა და პროტექტორს შორის დადებული სხვა შეთანხმებებით. მფარველობის განხორციელება ადგილზე დავალებული აქვს პროტექტორი სახელმწიფოს წარმომადგენელს (კომისარი, მინისტრი-რეზიდენტი და ა. შ.), პროტექტორს არ ითვლება პროტექტორი სახელმწიფოს ტერიტორიის შემადგენელ ნაწილად, ამით იგი განსხვავდება ვასალიტეტისაგან.

როგორც ვასალიტეტი, ასევე პროტექტორატი ან მთლიანად უკრძალავს დამოკიდებულ ქვეყანას განახორციელოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის

<sup>45</sup> P. Fauchille, *Traité...*, part. 1, v. 1, p. 264. . . . 1912, . . . 77.

<sup>46</sup> . . . , 1959, . . . 338-339.

<sup>47</sup> მოლდავეთი და ვალახეთი (1856–1878), ეგვიპტე (1806–1914), მონაკო (1814-1918), იონიის კუნძულები (1815-1864), კრაკოვის რესპუბლიკა (1815-1846), ტუნისი (1881-1956), მაროკო (1912-1956).

ძირითადი უფლებები, ან ძლიერ ზღუდავს მას ისეთ საკითხებში, როგორცაა ომის და ზავის უფლება, ხელშეკრულების დადება, საელჩოს უფლებები და ა. შ.

ზოგიერთი მეცნიერი (უმნიშვნელო ნაწილი) ერთმანეთისაგან განსხვავებს „პროტექტორატს“ და „ხელშეკრულებას მფარველობის შესახებ“, რომელიც მთლიანად არ შთანთქავს დამოკიდებული სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკურ ქმედუნარიანობას და უნარჩუნებს მას საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტის სტატუსს. ის ფაქტი, რომ ერთი მხარე – მფარველი – ჰპირდება დაცვას მეორე მხარეს – სუსტ სახელმწიფოს – და ამიტომ მისგან მოითხოვს გარეკვეულ სამსახურსა და დათმობას – არ არის საშიში, ვინაიდან ეს მოთხოვნები არ სცილდება მოკავშირეთა ვალდებულების ჩარჩოებს. მფარველობა და პროტექტორატი ერთიმეორის გამომრიცხავი სტატუსებია, ვინაიდან პირველი არ შეიძლება მიეკუთვნოს ნახევრად მოუკიდებელ სახელმწიფოს.

საბჭოთა მეცნიერები არ იცნობენ ამ უკანასკნელ განსხვავებას. მფარველობაში მყოფ ყველა სახელმწიფოს ისინი აერთიანებენ ერთ ტერმინში – „პროტექტორატი“.

ნახევრად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა „ვასალური“ და „პროტექტორებად“ დაყოფის საკითხში საბჭოთა მეცნიერები ბურჟუაზიულ მეცნიერებაში მიღებულ ნორმებს იზიარებენ, მაგრამ სიმძიმის ცენტრი მათ გადააქვთ სუვერენიტეტის შეზღუდვის ამ ფორმის მხილებაზე, რომელიც არ შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სამართალს<sup>48</sup>.

ანალოგიური პოზიცია უკავიათ სხვა სოციალისტური ქვეყნების იურისტებსაც<sup>49</sup>.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო სამართლის დარგში მომუშავე ყველა იურისტი იფარგლება XIX–XX საუკუნეების ჩარჩოებით. ამ საუკუნეების საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკის ანალიზი თითქოსდა გვარწმუნებს, რომ საერთაშორისო სამართლის მცოდნე იურისტების დასკვნები სწორია და ადასტურებს დამოუკიდებელი სახელმწიფოების მათ მიერ მოცემულ კლასიფიკაციას. ამ პრაქტიკის და მასზე აღმოდგენილი თეორიის კლასობრივი მიმართება ნათელია და ჩვენ არ ვაპირებთ ცნობილი ჭეშმარიტების განმეორებას. ერთი კი ცხადია, პროტექტორატი არის სუვერენიტეტის შეზღუდვის სინონიმი, საგარეო-პოლიტიკური ქმედუნარიანობის სრული დაკარგვა შინაგანი დამოუკიდებლობის ილუზორული შენარჩუნებით. აქ სახეზეა ცდა იმისა, რომ შეიქმნას საერთაშორისო მეურვეობის ინსტიტუტი (იმ სახით, როგორც ეს იქმნება არასრულწლოვანთა მზრუნველობისათვის შინასახელმწიფოებრივ სამართალში), ოღონდ იგი ამოფარებულია ღოზუნგს: ზრუნვა ხელქვეითი სახელმწიფოების კეთილდღეობისათვის. აი, რატომ აქვთ პირველსავე პროტექტორატებს (იონიის კუნძულები, კრაკოვის რესპუბლიკა) მკვეთრად გამოხატული კაბალური ხასიათი. იგი ვლინდება თუნდაც იმაში, რომ პროტექტორატს არც კი არის ხელშეკრულების მონაწილე, მხოლოდ მისი ობიექტია. ამ თვალსაზრისით პროტექტორატისაგან არც ვასალური სახელმწიფოები განსხვავდებიან. თუკი პროტექტორატიდან მალე გადაიქცევა ხელშეკრულების მხარედ და თანაც ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ ძირითადად აკავშირებს მხოლოდ ორ მხარეს – პროტექტორსა და

<sup>48</sup> . . . , 1957, . . . 97, 100; . . . ; ..  
1958, . . . 86-96; . . . , . . . , 1956, . . . 68-100.  
<sup>49</sup> . . . , . . . , 1956, . . . 79-89;

პროტექს, ვასალური სახელმწიფოები განვითარებული კაპიტალიზმიდან იმპერიალიზმში გადასვლას ეპოქაში წარმოადგენენ მხოლოდ ობიექტს ხელშეკრულებისა, რომელიც დადებულია სიუზერენსა და შექმნილი ვასალური სახელმწიფოების გარანტებს შორის. ამავე დროს ეს არის ხელშეკრულება დიპლომატიური მფარველობის შესახებ, სადაც მფარველობაში მყოფი სახელმწიფო კვლავ მხოლოდ და მხოლოდ შეთანხმების ობიექტია.

ამრიგად, ტერმინი „ვასალური სახელმწიფო“ და განსაკუთრებით „პროტექტორატი“ XIX-XX საუკუნეებში წარმოადგენს სინონიმს სახელმწიფოებისას, რომლებიც შეზღუდულია პირველყოვლისა საგარეო საქმეების სფეროში, ე. ი. წართმეული აქვთ საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ძირითადი უფლება. XIX-XX საუკუნეების საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა მკაცრად განასხვავებს „ვასალურ“ და „პროტექტორ“ სახელმწიფოებს.

ამასთან დაკავშირებით, კახეთ-რუსეთის 1587-1589 წწ. ხელშეკრულების არსებული დახასიათება, XIX-XX სს. საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკისა და თეორიის თავლსაზრისით, საკმაოდ პარადოქსულ სურათს იძლევა. „პროტექტორატი“ შეუთავსებელია როგორც „ვასალიტეტთან“, ისე „ქვეშევრდომობასთან“, ასევე „დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებასთან“.

\* \* \*

ასე გამოიყურება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოქმედი საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა. მაგრამ ჩვენ ხომ XVI-XVII საუკუნეების მოვლენებს ვეხებით!

ჯერ კიდევ ჰუგო გროციუსი გვაფრთხილებდა, რომ: პირველ ყოვლისა სიფრთხილე გვმართებს, რომ არ შეგვაცდინოს სიტყვათა ორაზროვნებამ და საგანთა გარეგანმა სახემ<sup>50</sup>.

იმისათვის, რომ სწორად დავახასიათოთ ამა თუ იმ სახელმწიფოს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი, აუცილებელია მისი განხილვა იმის მიხედვით, თუ როგორი გაგება ჰქონდა ამა თუ იმ ტერმინს თავის დროზე, ე. ი. საკითხი უნდა განვიხილოთ დროის ასპექტში. საკითხის განსაზღვრისას მხოლოდ ასეთი თვალთახედვა იძლევა უზუსტობისა და შეცდომების თავიდან აცილების გარანტიას.

ვასალიტეტი შუა საუკუნეებში სახელმწიფო წყობილების კარგად ცნობილი ფორმაა, რომელსაც საფუძვლად ედო სახელშეკრულებო საწყისი და რაც აკავშირებდა გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს<sup>51</sup>.

ზედმეტად მიგვაჩნია ამ ნაშრომში დაწვრილებით გავაშუქოთ ვასალიტეტის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორია, მისი დამახასიათებელი ნიშნები ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და ევროპაში ფეოდალური მონარქიის განმტკიცების პერიოდში, როდესაც პრეკარულ საწყისებზე დამყარებული ვასალიტეტები სულ უფრო და უფრო ნაკლებად გვევლინება დასავლეთ ევროპის ფეოდალური კომპლექსის პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმად.

საჭიროა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ამ ეპოქაში ვასალიტეტი წარმოადგენს არა მარტო კომენდაცია-მფარველობის ფორმას, არამედ ძლიერი სიუზერენის მიერ

50 „...“, „...“, 1957, . 1, . III, § 1, . 133.

51 „...“, . II, 1957, . 12.

ძალადობის გზით ან ძალის გამოყენების მუქარით სუსტის დამორჩილების ფორმასაც. ამგვარი შეხედულების დამკვიდრების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საღმრთო რომის იმპერიამ, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ყველა იმ ქვეყნის მიმართ, რომლებიც ოდესღაც რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ. იმავე პოლიტიკას ატარებდნენ იმპერატორთა მეტოქეები, რომის პაპები მსოფლიო ჰეგემონობისათვის ბრძოლაში<sup>52</sup>.

არც იმპერატორი და არც რომის პაპი არ ცნობდნენ სხვა ქვეყნებისა თუ რესპუბლიკა-ქალაქების მმართველთა მიმართ დამოკიდებულების სხვა რაიმე ფორმას, გარდა თავისი სიუზერენიტეტის უსიტყვო აღიარებისა.

ურჩ ქვეყნებს სასჯელი ემუქრებოდათ „კეისარის მემკვიდრეებისაგან“. ამის მაგალითს წარმოადგენს ბალტიისპირეთის ქვეყნების, იტალიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების ბედი.

მაგრამ რომის იმპერატორთა და პაპთა ცდები კრახით დამთავრდა. ისტორიის მსვლელობამ განაპირობა ისეთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოქმნა, რომლებიც არ ცნობდნენ თავის მიმართ არავის ძალაუფლებას (საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი, პორტუგალია და სხვ.) და თვითონ ისწრაფოდნენ მსოფლიო ჰეგემონობისაკენ. რომის იმპერატორები და პაპები კიდევ დიდხანს ლაშობდნენ პოლიტიკური უზენაესობის შენარჩუნებას დასავლეთ ევროპაში, მაგრამ ამაოდ. ისინიც კი, ვინც უარი არა თქვა იმპერატორისაგან ლენურ დამოკიდებულებაზე, ფიქტიურად დამოუკიდებელი ხელისუფალნი იყვნენ და შეიძლებოდა ევროპის მთავარი სიუზერენების სიაში ყოფილიყვნენ შეტანილნი, როგორც, მაგალითად ნეაპოლისა და ორივე სიცილიის მეფე, მაგრამ რომის იმპერატორებისა და პაპების მიერ დანერგილ სიუზერენიტეტს სხვა სახელმწიფოები აღიარებდნენ, როგორც დამოკიდებულების ერთ-ერთ სახეს საერთაშორისო ურთიერთობაში. სიუზერენიტეტ-ვასალიტეტის ატრიბუტებს წარმოადგენს სიუზერენის უფლება ინვესტიტურაზე, ხარკი და სამსახური ვასალისა – „თითოეულისა და ყველას წინააღმდეგ“. ზოგ შემთხვევაში სამსახურს ხარკი ცვლიდა ან პირიქით - ხარკის გადაუხდელობის კომპენსაცია სამსახურით ხდებოდა. ასე მაგალითად, ნეაპოლისა და ორივე სიცილიის მეფეები (XI-XVIII სს.) ვალდებული იყვნენ ეხადათ თავისი სიუზერენის პაპისათვის – ყოველწლიურად 7000 დუკატი და მიერთმიათ თეთრი თოხარიკი ცხენი<sup>53</sup>. იმპერატორის ვასალები, იტალიის ქალაქები აფინანსებდნენ იმპერიის მიერ წარმოებულ ომებს<sup>54</sup>. ტევტონთა ორდენის მაგისტრი, რომელიც პოლონეთში დაამარცხა, 1466 წლის ხელშეკრულებით, იძულებული შეიქმნა მიეღო პოლონეთის მეფის სიუზერენიტეტი: იგი ვალდებული იყო ეხადა ხარკი და პოლონეთისათვის აღმოეჩინა დახმარება<sup>55</sup>.

შემდგომ, როდესაც ახალმა მაგისტრმა ალბერტმა უარი თქვა ერთგულების ფიცის დადებაზე, ორდენი ხელახლა დამარცხდა, რასაც მოჰყვა მისი ლიკვიდაცია, ალბერტი კი გადაიქცო საერო მთავრად. ამიერიდან ალბერტს დაეკისრა პოლონეთის მეფისადმი ერთგულების დამამტკიცებელი ვალდებულება. მეფისგან განსხვავებით, რომელიც ატარებდა ტიტულს „პრუსიის მთავარი“, ლენის მიმღების

52 . . . 1959, . 146-165; . c, . . . 1891; . . . 1849, . 206-228.

53 E. Engelhardt, Les protectorats anciens et modernes, P., 1896, p. 84-85.

54 . . . 1915, . 186.

55 . . . 1915, . 186.



ტიტული იყო „მთავარი პრუსიაში“, ხოლო სეიმში ხმუს უფლება ჰქონდა მაშინ, როცა იხილებოდა პრუსიის საკითხები; მთავრისა და მის ქვეშევრდომთა შორის წარმოქმნილი დავის შემთხვევაში მეფე ასრულებდა უმაღლესი ინსტანციის როლს და მას მთავრის ნება-სურვილის წინააღმდეგაც შეეძლო მიეცა მთავრის ქვეშევრდომებისათვის თავისი „დაცვითი“ („რკინის“) სიგელები; მეფის ნებართვის გარეშე მთავარს არ შეეძლო ლენის განკარგვა, ხოლო ამ უკანასკნელი გვარის გადაშენების შემდეგ ლენი გადაეცემოდა პოლონეთს ინკორპორაციის საწყისებზე<sup>56</sup>.

რაც შეეხება სიუზერენის ინსტრუქციის უფლებას და ქვეშევრდომი ვასალის ფიცს, ეს ატრიბუტები უცვლელია, ვინაიდან მხოლოდ ისინი არიან ვასალის ძალაუფლების ნაწარმოებითი ხასიათის გამომხატველი სიმბოლოები.

ამრიგად, ფეოდალური მონარქიის განმტკიცების ეპოქაში (XII-XV სს.) და ფეოდალიზმის დაქვეითების ხანაშიც (XVI-XVIII სს.) ვასალიტეტი არის დამოკიდებულების სახე, რომელიც ემყარება პირობით მიწათმფლობელობას, ვასალის მიწაზე სიუზერენის უზენაესი საკუთრების უფლების აღიარებას, განურჩევლად იმისა, დაპყრობილია ეს სახელმწიფო ძალით, დენბდა ძალის მუქარით, გამოყოფილია იგი ლენის ბოძების საფუძველზე სიუზერენის მიერ, თუ ოდესღაც დამოუკიდებელი სამფლობელოს მეთაური პრეკარულ საწყისებზე შევიდა ძლიერის მფარველობაში. ამიერიდან ვასალის მიწის განკარგვის უზენაესი უფლება სიუზერენზე გადადის, იგი ვასალის ძალაუფლების წყაროა, ამ უკანასკნელის ფელონია იწვევს მიწის, ე. ი. ძალაუფლების, დაკარგვას. სრულიად საპირისპირო საწყისებზე აღმოცენდა მფარველობის ინსტიტუტი.

ასე მაგალითად, 1395 წლის გენუის დოქა ანტონიო აღორნო შევიდა საფრანგეთის მეფის შარლ VI-ის მფარველობაში, დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მეფე პირობითად გენუის სენიორად იქნა ცნობილი და მას გადაეცა მთელი „იურისდიქცია“. ქალაქის მიმართ მეფის უზენაესი უფლება სრულად იყო გამოკვეთილი ხელშეკრულებაში. ასე მაგალითად, მეფის მიერ დანიშნულ გენუის მმართველს ქვეყანა „უნდა ემართა რესპუბლიკის წესებისა და კანონების შესაბამისად“. მეფეს არ ჰქონდა უფლება რესპუბლიკის გადასახადებით დაბეგვრისა და არ შეეძლო გადაეცა იგი ვინმესთვის. თუ რესპუბლიკის ჯარები გამოიყენებოდა სხვაგან და არა რესპუბლიკის ინტერესებისათვის, მეფე ვალდებული იყო აენახდაურებინა ხარჯები. 1424 წელს მონაკო შედის ფლორენციის მფარველობაში და იღებს ვალდებულებას „ჰყავდეს იგივე მტრები თუ მოყვრები“ რაც პროტექტორ ქვეყანას და უხადოს შესაწირი წმინდა იოანეს ტაძარს. ამის სანაცვლოდ ფლორენცია იღებს თავის თავზე ვალდებულებას დაეხმაროს და დაიცვას გენუის მფლობელი ნებისმიერი აგრესიისაგან, დაეხმაროს მას ფულით, დაიცვას მისი ინტერესები მშვიდობისა და დაზავების ყველა ხელშეკრულებაში.

ტერმინოლოგიურად ეს ხელშეკრულება კვალიფიცირდებოდა როგორც *adherentia* – „მიტმასნება“, „მიწებება“ (მიმხრობა, მიერთება).

ანალოგიური ხელშეკრულება დაიდო 1428 წელს სავოის ჰერცოგთან. დამახასიათებელია, რომ 1433 წელს, სავოის მხრიდან დაცვის გარანტიის უზრუნველსაყოფად, გრიმალდი აძლევს ჰერცოგს უზენაესი საკუთრების უფლებას ტანტონისა და როკებურნის მიმართ და თავისთვის ინარჩუნებს მხოლოდ ვასალის

უფლებას. ამგვარად, მონაკოს სენიორი ერთდროულად იყო ფლორენციისა და სავოისის მოკავშირე, აგრეთვე ამ უკანასკნელი ვასალი – ლენის მფლობელი.

XV-XVI საუკუნის მიჯნაზე მონაკო უკავშირდება საფრანგეთს და შედის ამ ქვეყნის მფარველობაში. საფრანგეთის მეფის 1494 წლის 14 იანვრისა და 10 ნოემბრის სიგელები აყენებდა მონაკოს სენიორს საფრანგეთის „დაცვისა და მფარველობის ქვეშ“ და უნარჩუნებდა მას „იურისდიქციისა და უპირატესობის ყველა უფლებას“. მონაკო ვალდებული იყო „ჩაეთვალი (მეფის) მეგობრები თავის მეგობრებად, (მისი) მტრები თავის მტრებად, ხელი შეეწყო და დაეცვა (მეფის) უფლებები“.

1524 წელს მონაკოს სენიორი იძულებული გახდა გამოეცხადებინა თავი ესპანეთის მეფის კარლოს V ლენის მფლობელად. მონაკო გადაიქცა იმპერიის ფეოდალად. მაგრამ 1529 წელს იმპერატორი თანხმდება უარი თქვას მონაკოს სიუზერენიტეტზე, აღუთქვამს მონაკოს სუვერენს მფარველობას და ყველა საზავო ხელშეკრულებაში შეტანას, იმ პირობით, რომ იმპერიის მტრები და მოყვრები გახდებოდნენ მონაკოს მტრები და მოყვრები.

1605 წელს ესპანეთმა შეიყვანა მონაკოში თავისი ჯარების გარნიზონი და პროტექტორს მეთაურობას დაუქვემდებარა. თუმცა ამ ჯარს ესპანეთი ინახავდა თავის ხარჯზე, მაგრამ მონაკოელები ამით უკმაყოფილონი იყვნენ, ვინაიდან ამაში ისინი ხელდავდნენ თვითმმართველობის უფლებების შევიწროება-შეზღუდვას.

კარდინალ რიშელიეს საფრანგეთის გავლენა იტალიაზე მკვეთრად გაიზარდა, მონაკოს მმართველი იძულებული ხდება საფრანგეთთან ეძიოს მფარველობა. 1641 წლის 11 ნოემბერს პერიონში დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მონაკოზე დამკვიდრდა საფრანგეთის ტახტის საგრძნობი გავლენა. ასე მაგალითად, გარდა იმისა, რომ ესპანეთის მსგავსად საფრანგეთმა მიიღო უფლება შეეყვანა თავისი გარნიზონი მონაკოში, მან შეზღუდა ადგილობრივი მთავრის უფლებაც – იგი ჩააყენეს ისეთივე პირობებში, როგორშიაც იმყოფებოდნენ საფრანგეთის სხვა ქალაქების მმართველები.

სამაგიეროდ საფრანგეთის მეფე შეჰპირდა მონაკოს ხალხს, რომ მათი სუვერენიტეტი ზღვასა და ხმელეთზე არასოდეს იქნებოდა დარღვეული. იგი გარანტიას იძლეოდა „მმართველობისა და იურისდიქციის“ ხელშეუხებლობისა, ჰპირდებოდა მტრისაგან დაცვას და „ტრაქტატში შეტანას“. პერონის ხელშეკრულება მიეკუთვნებოდა „adherentia“-ს ნაირსახეობას. ამ ხელშეკრულებამ იარსება 1792 წლამდე, ვიდრე მონაკო საფრანგეთის მიერ დროებით იქნებოდა ინკორპორირებული<sup>57</sup>.

განხილულ ეპოქაში თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ტერმინებს „მფარველობა“ და „სიუზერენიტეტი“, თვალნათლივ გვიჩვენებს შემდეგი სურათი: XV-XVI სს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ბალტიისპირეთის რიგმა ქალაქებმა (დანციგმა, ტორნმა, რიგამ და სხვ.) გამოცხადეს, რომ ისინი ემორჩილებიან საღრმთო რომის იმპერიას „არა როგორც სიუზერენს, არამედ როგორც მფარველს, რომელსაც თვით მათ სთხოვეს დაცვა“<sup>58</sup>.

რას ნიშნავდა ეს სიტყვები? – იმას, რომ იმპერატორის ძალაუფლება ვრცელდება ქალაქებზე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც თვით ცნობენ მას თავის მფარველად და დამცველად, მაგრამ არა მიწის უზენაეს მესაკუთრედ. მაშასადამე,

<sup>57</sup> E. Engelhardt, Op. cit., p. 95-97, 98, 99.

<sup>58</sup> . . . XVI-XVII . . . I. . . 249.

სუვერენიტეტის უფლება მომდინარეობს არა იმპერატორისაგან, არამედ მოქალაქეებისაგან. პროტეჟე თავისუფალია მფარველის არჩევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო იგი იმპერატორის ხელისუფლებით უკმაყოფილო აღმოჩნდება. ლენის მფლობელს კი არა აქვს უფლება სიუზერენის ნებას არ დაემორჩილოს, თუ ეს უკანასკნელი ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარს ამბობს დახმარება აღმოუჩინოს.

აქ ჩანს ოდესღაც სიუზერენიტეტში მყოფი ქალაქის (ხალხის) „თავისუფლების“ იურიდიული დასაბუთების ტენდენცია – სახეზეა იმპერიის ნგრევის ერთ-ერთი მაგალითი.

მაგრამ იქაც, სადაც ყალიბდებოდა „მფარველობითი ურთიერთობა“, პროტექტორი ხშირად აცხადებდა პრეტენზიას სიუზერენიტეტზე. ასე მაგალითად, გენუელები, მიუხედავად საფრანგეთის მეფის სურვილისა, მიჩნეული ყოფილიყო ნამდვილ სიუზერენად, ამტკიცებდნენ, რომ 1395 წ. ხელშეკრულება ამყარებდა მხოლოდ არათანასწორ კავშირს და უნარჩუნებდა მათ უზენაესი საკუთრების უფლებას გენუის მიმართ.

ხელშეკრულების ფორმა კი სხვადასხვაგვარი იყო: ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი აქტები (1395 წ. ხელშეკრულება), მხარეთა ფიცის წიგნები (1512 წ. საფრანგეთ-მონაკოს ხელშეკრულება), პროტექტორატის სიგელი (მონაკოსადმი XV-XVI სს. მიჯნაზე საფრანგეთის მეფის მიერ მოცემული აქტი), პროტეჟეს ერთგულების ფიცი (ქ. მეცის ფიცი საფრანგეთისადმი XVI საუკუნეში).

დასავლეთ ევროპის საერთაშორისო-სამართლებრივმა პრაქტიკამ სათანადო ასახვა ჰპოვა იმდროინდელ საერთაშორისო-სამართლებრივ შეხედულებებში.

დამახასიათებელია, რომ გლოსატორებიც კი და განსაკუთრებით პოსტგლოსატორები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ იმპატორს დე-იურე გააჩნია - სიუზერენიტეტის უფლება მთელ კათოლიკურ სამყაროზე (და საერთოდ, რომის იმპერიის სფეროში ოდესღაც შემავალ მიწებზე), იძულებულები იყვნენ ელიარებინათ „დე-ფაქტო“ არსებული „თავისუფალი ხალხები“, რომლებიც არ ცნობენ იმპერიის კანონებს. ასე მაგალითად, ბარტოლი საკმაოდ დეტალურად ჩერდება „დამორჩილებულ“ და „დამოკიდებულ“ ხალხებზე, რომლებსაც „არ შეუძლიათ დამოუკიდებლად იარსებონ და თავისი სისუსტის გამო იძულებულნი არიან დაემორჩილონ“ ან „მიეკედლონ“ ძლიერს. „თავისუფლებაში“ ფეოდალური კონცეფცია გულისხმობდა კანონმდებლობისა და მმართველობის უზენაესობას ქვეყნის შიგნით და ომის წარმოების, ხელშეკრულების დადებისა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების თავისუფლებას ქვეყნის გარეთ. „თუ ხალხი“ ინარჩუნებდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უფლებას და კისრულობდა მხოლოდ გარკვეული სამსახურის გაწევას, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ასეთი ხალხი ითვლებოდა „დამოკიდებულად“, მაგრამ „თავისუფლად“, „შეკედლებულად“, „მიერთებულად“. ისინი არ ითვლებიან დაქვემდებარებულ ქვეყნებად, რადგან ამ უკანასკნელი კატეგორიისათვის დამახასიათებელია პროტეჟეს მიერ სრული ან ნაწილობრივი უარის თქმა სუვერენულ პეროგატივებზე პროტექტორის სასარგებლოდ. აღიარებდნენ რა „თავისუფალი ხალხების“ არსებობას, ბარტოლი და სხვები გამორიცხავდნენ მათ „სამოქალაქო სამართლიდან“ (იმპერიის იურისდიქციიდან) და თვლიდნენ, რომ მათ მიმართ უნდა იყოს გამოყენებული „ხალხთა სამართალი“, რომელიც მოქმედებდა

„თავისუფალ ხალხთა“ შორის და გამომდინარეობდა ადამიანის გონივრული ბუნებიდან<sup>59</sup>.

XVI საუკუნის ბოლოს ჟან ბოდენმა შეაჯამა მრავალსაუკუნოვანი თეორიული მოსაზრებები „თვითმპყრობელობისა“ და „დამოუკიდებლობის“ შესახებ და შექმნა სუვერენიტეტის თეორია, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპის არა მხოლოდ თეორიაში, არამედ პრაქტიკაშიც. ბოდენი თავის მსჯელობას ავითარებს იმ მრავალრიცხოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობის პრეზუმპციით, რომლებიც არ ემორჩილებიან არც იმპერატორს და არც პაპს.

სპეციალურ თავში ავტორი არჩევს იმ სახელმწიფოთა სტატუსს, რომლებიც იმყოფებიან მფარველობაში, და მკვეთრად განასხვავებს მათ ვასილიცისაგან. ეყრდნობა რა თავის კონცეფციას სიუზერენიტეტის შესახებ, ბოდენი არ ცნობს, რომ ასეთი რამ გააჩნია მფლობელს, რომელიც ფლობს ხელისუფლებას პრეკარულ საწყისებზე. იგი აცხადებს: თუმცა ვასალიც და პროტექტე დებენ ერთგულების ფიცს, პირდებიან დახმარებას, დაცვას, სიუზერენისა და პროტექტორისადმი (შესაბამისად – ლ. ა.) პატივისცემას, მაგრამ ფელონიის, ან დამოკიდებულებაზე უბრალო უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ვასალი კარგავს მიწას (ფეოდს), რომელიც უბრუნდება სიუზერენს კონფისკაციის უფლების შესაბამისად. რამდენადაც „პროტექტე“, ბოდენი იყენებს ტერმინს adherent ( უფრო იშვიათად კი - client) არ იღებდა პროტექტორისაგან არავითარ ფეოდს, მას არც მიწის დაკარგვის ემინოდა (და, მაშასადამე, არც ხელისუფლებისა – ლ. ა.). სწორედ ამაში ხედავს ბოდენი პროტექტეს სუვერენობის საწინდარს, რომელიც ინარჩუნებს უფლებას ნებისმიერ დროს დაიბრუნოს სრული დამოუკიდებლობა და წინააღმდეგობა გაუწიოს პროტექტორის ცდას მიითვისოს მეტი უფლებები, ვიდრე ამას აძლევს ხელშეკრულება მფარველობის შესახებ.

აი, ამიტომ მოითხოვს ბოდენი, რომ არ იყოს არეული ერთმანეთში პროტექტე და ვასალი.

ბოდენი განასხვავებს აბსოლუტურად სუვერენულ სახელმწიფოებს და შეფარდებით სუვერენულს, ანუ „ღირსების“ თვალსაზრისით უფრო დაბალ საფეხურზე მდგომებს“. იგი თვლის, რომ ყველაზე მეტად პირველ კატეგორიას უახლოვდება ხარკის გადამხდელი სახელმწიფო (რომელიც ამ გზით თავს იხსნის ჩაგვრისაგან ან დებულობს მფარველობას) და კლიენტი, რომელიც იღებს თავის თავზე ვასალურის ანალოგიურ ვალდებულებას მხოლოდ ფორმის მიხედვით (ერთგულების ფიცი, სამსახური და სხვა ვასალური მოვალეობა სენიორის მიმართ). ორივე შემთხვევაში სუსტი მხარე ინარჩუნებს სუვერენიტეტს ძლიერის მიმართ. სამაგიეროდ ვასალებს ბოდენი აყენებს ყველაზე უფრო დაბალ საფეხურზე და უარყოფს მათ სუვერენულ უფლებებს. დამახასიათებელია, რომ ვასალს, რომელსაც შეუძლია უარი თქვას ფეოდზე და დატოვოს იგი, ბოდენი არ თვლის „ქვეშევრდომად“ (sujet). ამ უკანასკნელში იგი გულისხმობს, სენიორის უფლებას პირის სიცოცხლეზე, რომელიც უნდა იზიარებდეს თავისი სუვერენის ბედს და „მოკვდეს კიდევ მისთვის, თუ ეს აუცილებელია“<sup>60</sup>.

59 . . . , 1914, . 196-200.

<sup>60</sup> Jean Bodin, *Lex six livres de la Republique*, P., 1608, p. 196-200.

საერთაშორისო სამართლის კლასიკოსები, ტრადიციულად, ერთმანეთისაგან განასხვავებენ აბსოლუტურად დამოუკიდებელ (სუვერენულ) სახელმწიფოებს და სახელმწიფოებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებით, რომლის ძალით „ერთი მხარე ვალდებულია აღმოუჩინოს მხარდაჭერა მეორე მხარის ძალაუფლებასა და სიდიადეს, რადგან არათანაბარ მხარეთა მეგობრობაში უფრო ძლიერს წილად ხვდება მეტი პატივი, ხოლო უფრო სუსტს მეტი მოვალეობა, აღმოუჩინოს შემწეობა პირველს. სწორედ ასეთებს მიაკუთვნებს გროციუსი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც დებენ ხელშეკრულებას მფარველობის, დაცვის შესახებ. ბოდენისგან განსხვავებით, ჰუგო გროციუსი და მისი მიმდევრები არ უარყოფენ ვასალის უზენაესი ხელისუფლების დამოუკიდებლობის სტატუსს, თუ ვასალს გააჩნია ამ უკანასკნელის ყველა პრეროგატივა, რომელიც შეიძლება დაეკარგოს მხოლოდ ფელონიის ან დინასტიის – მმართველ საგვარეულოს – ამოწვევების შემთხვევაში. ეს დებულება აგებულია სანივთო უფლებისა და პირადი ვალდებულების კონსტრუქციაზე, რადგან ერთია სანივთო უფლება, ხოლო სხვაა ნივთის მფლობელობის საშუალება<sup>61</sup>.

დაბოლოს, თუ მივმართავთ ვატელის ცნობილ შრომას, აქაც დავინახავთ საერთაშორისო სამართლის სუბიექტების გამიჯვნას: სახელმწიფო, რომელიც იმყოფება მფარველობაში, მოხარკე სახელმწიფო და ვასალური სახელმწიფო.

ვატელი საგანგებოდ შენიშნავს, რომ თუ მფარველი არ მოითხოვს პროტექცესაგან უზენაეს ხელისუფლებაზე უარის თქმას და შემოიფარგლება ხარკის გადახდის მოთხოვნით, ჯარის მიცემით, თუნდაც პროტექტორთან საერთო ბედის გაზიარებით ყველა ომში, პროტექუე დამოუკიდებელი რჩება. მაგრამ, თუ პროტექუე ხედავს, რომ ასეთი ზომა არ არის საკმარისი, მას შეუძლია „დაექვემდებაროს“ გარკვეული პირობებით უფრო ძლიერ სახელმწიფოს, დადოს დაქვემდებარების ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნება ამ მორჩილების საზღვრები – საგარეო ქმედუნარიანობის უბრალო შეზღუდვიდან სრულ ინკორპორაციამდე<sup>62</sup>. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევა იწვევს ხელშეკრულების დადების დროს არსებული სტატუსის აღდგენას. სწორედ ამაშია მფარველობის ინსტიტუტის თავისებურება, მისი განსხვავება სიუზერენიტეტისაგან.

გარკვეული პირობებით დამორჩილებული სახელმწიფო შეიძლება რჩებოდეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად, მაგრამ დამოკიდებულად, შეზღუდულად სუვერენულად, თუ მისი საგარეო ქმედუნარიანობა მთლიანად არ არის ლიკვიდირებული; ასე მაგალითად: ვალდებულება, არ დაიწყოს ომი რომელიმე სახელმწიფოსთან მოკავშირის თანხმობის გარეშე, როდესაც ეს მოკავშირე კორელატურ შეპირებას არ იძლევა, ზღუდავს სუვერენიტეტს, რადგან სუსტი სახელმწიფო აუქმებს სუვერენული ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფუნქციას ან მის გამოყენებას უმორჩილებს სხვა სახელმწიფოს ნება-სურვილს.

ამრიგად, დასავლეთ ევროპის საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა და მეცნიერება XV-XVII საუკუნეებში მკვეთრად განასხვავებს, პირველ ყოვლისა, დამოკიდებულების ორ ფორმას: სახელდობრ, ვის ეკუთვნის უზენაესი საკუთრების უფლება მიწაზე. ფეოდალიზმის პირობებში არც შეიძლება სხვაგვარი

<sup>61</sup> , , 1957, . 1, . III, § XX, 2, XII, 2. XXII, 3.

<sup>62</sup> , , 1960, . 1, . 1, § 5, 6, 7, 8; . XVI, 192, 193.

მდგომარეობა ყოფილიყო, რადგან მიწის საკუთრება უშუალოდ და განუყოფლად იყო დაკავშირებული ხელისუფლებასთან.

სიუზერენიტეტის ფორმები შემოიფარგლებოდა ვასალიტეტით: ინვესტიტურა, ხარკი ან სამსახური „ყველასა და ყოველის წინააღმდეგ“ ან ორივე ვალდებულება ერთად.

მფარველობის ფორმები უფრო მრავალგვარია – მეხარკეობა, ვასალიტეტი, მაგრამ მხოლოდ ფორმით (ე. ი. ინვესტიტურა, სამსახური ყველასა და ყოველის წინააღმდეგ), უბრალო მოკავშირეობა (არათანაბარი ხელშეკრულება მფარველობის შესახებ). თუმცა რიგ შემთხვევებში თეორია ცდილობდა დაემტკიცებინა ამ სახელმწიფოების „დამოუკიდებლობა“. პრაქტიკა მოწმობდა, რომ მფარველის თვალში (ისევე როგორც სიუზერენისა) ისინი ყოველთვის დამოკიდებული, მაგრამ სუვერენული იყვნენ, თუ გააჩნდათ შინაგანი და საგარეო თვითმმართველობა. ამიტომ იყო, რომ „დაქვემდებარებას“ ხშირად აიგივებდნენ „ქვეშევრდომობასთან“, თუ სუვერენიტეტი თუნდაც ნაწილობრივ იზღუდებოდა მფარველის სასარგებლოდ, მაგრამ ეს ქვეშევრდომობა არ შეიძლება გავაიგივოთ სრულ ქვეშევრდომობასთან – იგი „ნაწილობრივი“ და „პირობიანია“. სრული ქვეშევრდომობის დროს ადგილი აქვს ინკორპორაციას, პროტექტორის კანონების გავრცელებას შემოერთებული ტერიტორიის მცხოვრებლებზე, ცენტრის სრული ძალაუფლების დამყარებას.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ამ ეპოქაში (XV-XVII სს.) ტერმინი – „პროტექტორატი“ მეცნიერულ ლიტერატურაში იშვიათად თუ გამოიყენება, იხმარება ტერმინი „მფარველობა“<sup>63</sup>. „პროტექტორატი“ უფრო გვიან, XIX საუკუნეში, წარმოშობილი ინსტიტუტია, იგი ემყარებოდა პროტექტეს საგარეო ქმედუნარიანობის შეზღუდვას და იყო დიდი ევროპული სახელმწიფოს ბატონობის იარაღი. პროტექტორატები მოკლებულნი იყვნენ არა მხოლოდ აქტიურ საგარეო პოლიტიკურ ქმედუნარიანობას, არამედ დამოუკიდებლობას თავის საკუთარ საზღვრებს შიგნითაც (ამაში მდგომარეობს პროტექტორატის დამახასიათებელი ნიშანი); სახელმწიფო-კლიენტები კი XV-XVIII საუკუნეებში მთლიანად ინარჩუნებდნენ თავის შინაგან ავტონომიას და არ ამბობდნენ უარს საგარეო პოლიტიკურ ქმედუნარიანობაზე, საერთოდ; ხშირად ისინი თავიანთ თავზე იღებდნენ აქტიური მოქმედების ვალდებულებასაც კი პროტექტორის სასარგებლოდ.

ანალოგიურად გამოიყურება ვასალური სახელმწიფოების სტატუსი XIX-XX სს. (მოლდავეთი, ვალახეთი, ეგვიპტე და სხვ.). ესენი არიან ოდესღაც ძალით ინკორპორირებული სახელმწიფოები, რომლებიც იწყებენ პირველი ნაბიჯების გადადგმას დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. ვასალიტეტის ატრიბუტებად ამ დროს გვევლინება ინვესტიტურა და ხარკი, სამაგიეროდ საგარეო ურთიერთობისას – დამოუკიდებლობის სრული უქონლობა (მაგ., ეგვიპტის ჯარი თურქეთის შეიარაღებული ძალების ნაწილად ითვლებოდა, ყველა საერთაშორისო ურთიერთობა უნდა წარმოებულიყო კონსტანტინოპოლის მეშვეობით, პორტას ხელშეკრულებები სავალდებულოა ეგვიპტისათვის და სხვ.).

XV-XVIII საუკუნეებში კი ვასალი, როგორც დავინახეთ, შეიძლება ყოფილიყო „სუვერენი“, ჰქონოდა სრული საგარეო და შინაპოლიტიკური ავტონომია.

---

<sup>63</sup> ამ მხრივ ვეტელის შრომის თარგმანი ზუსტი არ არის, ყველგან სადაც ლაპარაკია „პროტექტორატზე“, დედანში წერია „მფარველობა“ „protection“ იხ. მისი Le trois des gens 1758. t. 1, Chap. XII, § 155, Chap. XIII, 3 204: t. 3, Chap. V., § 52.

**მაჰმადიანური ახლო აღმოსავლეთი.** აქ საქმე სხვაგვარად წარმოგვიდგება: რადგან იმდროინდელი ისლამი არ იცნობს სხვა ურთიერთობას სუსტსა და ძლიერს შორის, თუ არა დაპყრობა ძალით ან ძალის მუქარით. მისი მესვეური (ხალიფა, სულთანი, შაჰი) გამოცხადებულია ღმერთის ნაცვლად, მის მოადგილედ დედამიწაზე, რომელიც, საღმრთო რომის იმპერიის იმპერატორების მსგავსად, თავის თავს თვლიდა სიუზერენად მთელი „მაჰმადიანური სამყაროსა“ და „ურჯულოთა“ მიმართ; უკანასკნელებს შეეძლოთ შეენარჩუნებინათ არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაემორჩილებოდნენ აგრესორს და გადაუხდიდნენ მას ხარკს<sup>64</sup>; თუ სახელმწიფო იყო „მართლმორწმუნე“ (ე. ი. იმავე სარწმუნოებისა, რაც დამპყრობელი) მის მმართველს ნებაყოფლობით უნდა ეღიარებინა სიუზერენიტეტი (შაჰისა, სულთნისა), წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასჯელი ელოდა. მფარველობის თხოვნა, ამრგიად, განიხილებოდა როგორც სიუზერენის, „ქვეყნის“ კანონიერი ხელისუფალის უზენაესობის ნებაყოფლობითი აღიარება. „ურჯულოებს“ (ასეთებად ითვლებოდნენ სხვა მიმდევრობის მუსლიმანებიც) უკეთეს შემთხვევაში ელოდა სიუზერენიტეტი-ვასალიტეტი.

იარაღით დაპყრობილი ხალხები დარბეული და ინკორპორირებული იყვნენ: მიწასა და მოსახლეობას აღუწერდნენ, მძიმე გადასახადებს შეაწერდნენ, მიწა სახელმწიფო მიწების ფონდს გადაეცემოდა, არამუსლიმანები – „ზიმიები“ – ვალდებული იყვნენ ეხადათ აგრეთვე სულადი გადასახადი – „ჯიზია“<sup>65</sup>.

ხალხისათვის, რომელიც ნებაყოფლობით დანებდებოდა, დამპყრობელს შეეძლო შეენარჩუნებინა სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტიც კი საშინაო და საგარეო საქმეებში. ასეთი ხალხები ითვლებოდნენ „მფარველობაში“. მაგრამ ეს მფარველობა ნიშნავდა მხოლოდ იმას, რომ შაჰი უარს ამბობდა მიწების ინკორპორაციაზე და კმაყოფილდებოდა მორჩილების ვასალური ურთიერთობით: ინვესტიტურა, ყოველწლიური ხარკის გადახდა ან მისართმეველის გამოგზავნა (ან ორივე ერთად), „სამსახური ყველასა და ყოველის წინააღმდეგ“. ამრიგად, „მფარველობა“ ნიშნავდა დაპყრობილ ქვეყანაში, ხალხისა და მიწების აღწერისაგან განთავისუფლებას, მიწების ადგილობრივი მმართველის საკუთრებაში დატოვებას იმ პირობით, რომ ეს მიწები უზენაესი ხელისუფლების (შაჰის, სულთნის) მიერ „ნაბოძებია“ სიუზერენულ-ვასალურ საწყისებზე ყოფილი მფლობელისათვის, რომელიც იღებს საშინაო და საგარეო იმუნიტეტს, სუვერენიტეტს. ასეთ შემთხვევას მაჰმადიანური სამყარო აგრეთვე განმარტავდა როგორც „ქვეშევრდომობას“, მაგრამ განასხვავებდა მას ქვეშევრდომობისაგან, რომელიც დაკავშირებული იყო ინკორპორაციასთან: ასე მაგალითად, XVIII საუკუნის ბოლოსაც კი, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, თურქი ისტორიკოსი ჯევედეთ ფაშა წერდა, რომ თბილისის ხანმა (ერეკლე II-მ) მიიღო

<sup>64</sup> . . . , „ . . . 1. . . . 6; . . . , . . . , 1884, . . . 12-13.

<sup>65</sup> . . . . " . . . . " . . . . 1951; . . . .

VI – . . . I . . . . 1949; ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVIII სს., თბ., 1958; Khaduri, The Law and Peace in Islam, London, 1940.

რუსეთის ქვეშევრდომობა, თუმცა „არსებითად არ დაუთმო რუსეთს თავისი მიწები, არამედ მხოლოდ მფარველობაში შევიდა“<sup>66</sup>.

დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმები, ინკორპორაციის ჩათვლით, რასაც ირანი და თურქეთი ნერგავდნენ XVI-XVIII საუკუნეებში, ჩვენ უკვე განვიხილეთ შრომის მეორე თავში „საქართველოების“ მაგალითზე. „მფარველობის“ ინსტიტუტი, რომელსაც იცნობდა დასავლეთი, უცხოა მუსლიმანური აღმოსავლეთისათვის. სიუზერენიტეტ-ვასალიტეტი – აი მაჰმადიანურ სამყაროში დამოკიდებულ სახელმწიფოთა სახეებისა და ფორმების საწყისი. შაჰის (სულთნის) რიგითი წარგზავნილიც კი დამოკიდებულ მფლობელზე უფრო მაღლა იდგა და მოითხოვდა უმდაბლეს პატივს, შეხვედრას ვასალის მიერ სახლისა და ქალაქის ფარგლებს გარეთაც კი.

XVI-XVIII სს. წინა აზიაში დანერგილი დამოკიდებულების ტიპი იმის ანალოგიურია, რასაც ნერგავდნენ ევროპაში საღმრთო რომის იმპერიის ბატონობის ეპოქაში, და აგრეთვე IX-XIII სს. იმპერატორებისა და პაპების მეტოქეობის პერიოდში. ეს გასაგებობაა, რადგან არაბთა, თურქ-სელჯუკთა, მონღოლების, ყიზილბაშებისა და ოსმალების იმპერიები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, აფერხებდნენ საწარმოო ურთიერთობის წინსვლასა და, მაშასადამე, მისი პოლიტიკური და სამართლებრივი ზედნაშენების განვითარებასაც ამუხრუჭებდნენ.

\* \* \*

**მოსკოვის სახელმწიფო.** ახლა მივმართოთ მოსკოვის სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკას და გავარკვიოთ თუ სახელმწიფოთა მორჩილების რა ფორმები იცოდა რუსეთმა XV-XVII სს.-ში.

თავისი წარმოშობის დროიდან XVI საუკუნის დასაწყისამდე მოსკოვის სახელმწიფო მოიცავს მკვიდრ, ოდითგანვე რუსეთის კუთვნილ მიწებს. რუსეთის დიდი მთავრები ამ პერიოდში დაკავებულნი იყვნენ იმით, რომ „აგროვებდნენ“ მოსკოვის გარშემო რიუროკოვინების მიწებს. როგორც წესი, ეს ხდებოდა ოდესღაც თავისუფალი სამთვროების შეიარაღებული დაპყრობით ან მთელი სამთავროს თუ მისი ნაწილის შესყიდვის გზით.

ოდესღაც დამოუკიდებელი მთავრის მოსკოვში „ჩამოსვლა“ და „სამსახურის თხოვნა“ ითვლებოდა მორჩილების გამოხატვად და მოსკოვის დიდი მთავრის უზენაესობის აღიარებას ნიშნავდა<sup>67</sup>. ყველა ეს მიწები ინკორპორირებული იყო მოსკოვის მიერ, რაც გამორიცხავდა ცენტრსა და პროვინციებს შორის ურთიერთობის რეგულირების რაიმე საერთაშორისო-სამართლებრივი ფორმის არსებობას. მართალია, მკაცრი ცენტრალიზირება არ ტარდებოდა ყველგან და ერთბაშად, მაგრამ იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ ასრულებდა ნაცვალის ფუნქციებს – ყოფილი დიდი მთავარი თუ ცენტრიდან წარმოგზავნილი მოხელე – მიწა ითვლებოდა მოსკოვის მეფის „ოტჩინად“ (ვოტჩინად) და მმართველს ჰქონდა სამამულო უფლებები მხოლოდ მოსკოვის მეფის წყალობით.

მოსკოვის სამეფო იცნობს „მეგობრობის ხელშეკრულებას“, რომელიც „სამსახურის თხოვნისაგან“ იმით განსხვავდებოდა, რომ დამოკიდებულებაში მყოფი

<sup>66</sup>

1202 (1775-1784), " , . 1, , 1888, . 390-395.

<sup>67</sup>

IV- V . ., 1948, . 1.



მთავარი ინარჩუნებდა რა საერთაშორისო სამართლის სუბიექტის უფლებებს, ნებაყოფლობით ზღუდავდა თავის ქმედუნარიანობას და ინარჩუნებდა საკუთრების უფლებას თავის „ოტჩინაზე“. მაგრამ ეს დიდხანს არ გრძელდებოდა: ცენტრალიზაციის პროცესმა მოსკო ხელშეკრულების ეს ტიპი და შეცვალა იგი სუფთა „სამსახურებრივით“<sup>68</sup>.

მოსკოვის სახელმწიფოს სიძლიერის ზრდასთან ერთად იზრდება მისი გავლენა მეზობელ სახელმწიფოებზეც. ზოგიერთ მათგანში (ყაზანში) მოსკოვის მეფეებმა მოახერხეს მათზე დამოკიდებული პირის დასმა. ივანე III-ისა და ვასილ III-ის ფრთხილი პოლიტიკა თავს იჩენს რუსეთ-ყაზანის ხელშეკრულებაშიაც. თუ პირველ ხანებში მოსკოვი კმაყოფილდებოდა „მეგობრობის ხელშეკრულებით“, რომელიც გამორიცხავდა ვასალურ დამოკიდებულებას ფორმალურადაც კი, შემდეგში იგი მეთოდურად მიისწრაფვის სიუზერენული უფლებების აღიარებისაკენ, და არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ არსებითადაც.

მიუხედავად ამისა, ინკორპორაციამდე (1552 წ.) მოსკოვი არ უწოდებს ყაზანს „ოტჩინას“, ხოლო მის მეფეს - „ქვეშევრდომს“.<sup>69</sup>

მხოლოდ ყაზანის დაპყრობიდან, რაც დაემთხვა მოსკოვის სახელმწიფოს გაძლიერებას, მეფე ივანე IV სუსტი სახელმწიფოს მცირეოდენ დამოკიდებულებასაც კი საკმარისად თვლიდა იმისათვის, რომ გამოეცხადებინა იგი მოსკოვის „ქვეშევრდომად“ და ეს აზრი განემტკიცებინა სათანადო კომპონენტის შეტანით მეფის ტიტულატურაში<sup>70</sup>.

წყაროების შესწავლა გვიჩვენებს, რომ XVI საუკუნის შუა წლებისათვის „ქვეშევრდომობის“ რამდენიმე მნიშვნელობა არსებობდა:

ა) პირველ ყოვლისა ეს არის მკვიდრი რუსული მიწების ერთობლიობა, რომელიც „მეფისა და დიდი მთავრის საკუთრებას“, მის „ოტჩინას“ წარმოედგინს. ამ მიწების ძირითადი მასივი ერთიანი პოლიტიკური მთლიანობაა, რომელსაც ცენტრიდან მართავენ, მოსახლეობაც კი მეფის „მკვიდრი“, „უშუალო ხოლოპებია“, დამოუკიდებლად წოდებისა და მდგომარეობისა.

ბ) ზოგჯერ „ოტჩინური“ მიწების ნაწილი სხვა პირს გადაეცემოდა მართვისათვის და გამოეყოფოდა სამეფოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მფლობელი („გოლდოვნიკი“) დებდა მეფესთან ვასალურ ხელშეკრულებას. აქ სახეზეა ტიპური ვასალურ-ლენური ურთიერთობა მისი კლასიკური სახით. ასეთი მიწები რჩებოდა მოსკოვის მეფის უზენაეს საკუთრებად, ამიტომ „გოლდოვნიკი“ ითვლებოდა რუსეთის მეფის „ქვეშევრდომად“ და არა „ხოლოპად“, რადგან სახეზე გვაქვს ნებაყოფლობითი – თანასწორთა შორის დადებული ხელშეკრულება, ორივე მხარეს შეუძლია მისი გაუქმება და პირველადი მდგომარეობის აღდგენა, თუ ერთ-ერთი მხარე დაარღვევს ხელშეკრულებას.

აქ ჭარბობს ხელშეკრულების მფარველობითი ხასიათი, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია ფეოდალური სახელმწიფოებისათვის.

იმ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, ვის მიმართაც იხმარებოდა ტერმინი „გოლდოვნიკი“, სახელმწიფოები, რომლებიც „უყურებენ და ხარკს იხდიან“, აღინიშნებოდა ტერმინით „მსახურობს“, ქვეშევრდომობაში მიღება აღინიშნება ტერმინით „სამსახურის თხოვნა“ ( ), ხოლო თუ „თხოვნა“ ნებაყოფლობითი

68 . . . II , . . . , 1883, . 304-305.

69 . . . , 1912, , . 252.

70 ( , 1847, . I-VI, . 82).

იყო და მტრებისგან დაცვას გულისხმობდა, მაშინ იხმარებოდა ტერმინი „სამსახურსა და მფარველობაში ( ) ყოფნა“.

„მომსახურენი“, იმისაგან დამოუკიდებლად, ნებაყოფლობით თუ იძულებით „ითხოვეს სამსახური“, იღებდნენ „მოსამსახურე მთავრის“ სტატუსს და გადაიქცეოდნენ მსახურებად – ხოლოპებად, რომელთაც უნდა მოეხადათ სამხედრო სამსახური და სხვ. მაგრამ, განსხვავებით ცენტრალიზაციის საწყისი ეპოქისაგან, როდესაც „სამსახურის თხოვნა“, განიხილებოდა როგორც მოსკოვის დიდი მთავრის ოდითგან არსებული უფლების აღდგენა, XVI ს. „თხოვნა სამსახურისა და მფარველობისა“ უთანაბრდებოდა ქვეშევრდომობის ნებაყოფლობით მიღებას მფლობელისათვის თავის მიწაზე საკუთრების უფლების შენარჩუნებით. ადგილი აქვს ინკორპორაციასთან მიახლოებულ მფარველობითი ტიპის დაქვემდებარების ხელშეკრულებას.

„ქვეშევრდომობის მიღება“ ფორმდებოდა ამ შემთხვევისათვის სპეციალურად შემუშავებული საერთაშორისო ხელშეკრულებით. ხელშეკრულება შედგებოდა ორი ნაწილისაგან: „ „ და „

„ („ფიცის წიგნი“ და „ოქროს ბეჭდიანი წყალობის სიგელი“). არსებითად ეს არის ერთი აქტის ორი მხარე, მაგრამ რადგან ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფოსთან, რომელმაც აღიარა თავისი უძღურება, ამიტომ მხოლოდ ეს უკანასკნელი იძლევა ერთგულების ფიცს, ხოლო მეფე სანაცვლოდ იძლევა „წყალობის სიგელს“, მაგრამ არა უბრალოს, არამედ „ოქროს ბეჭდიანს“, რაც ათანაბრებს მას ხელშეკრულების დადების ნიშნად მოცემულ სიგელთან.

გ) აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთში მოსკოვი პირველ ხანს ინარჩუნებს რიგი სახელმწიფოების პოლიტიკურ ავტონომიას და კმაყოფილდება მათზე ხარკის დაკისვებით, იმისგან განურჩევლად ნენაყოფლობით თუ ძალით აღიარეს მათ მოსკოვის უზენაესობა.

რუსეთის დიპლომატია თვლიდა, რომ მოსკოვს აქვს უფლება აღმოსავლეთში მდებარე ყველა მიწაზე, რადგან „თათართა ურდოებმა ბევრი სიავე მიაყენეს რუსეთს და დადგა ჟამი განკითხვისა“<sup>71</sup>. ამის გამო ხარკის დადება, თვით მფარველობის მთხოვნელ სახელმწიფოს მეთაურის სურვილითაც კი, შეფასებულია როგორც მორჩილების გამოხატვა და მიწებზე უზენაესი უფლებების შექმნა. ასეთი სახელმწიფოები ინარჩუნებენ თავის პოლიტიკურ თვითმყოფადობას, მაგრამ ამიერიდან ითვლებიან მოსკოვის მეფის ქვეშევრდომებად, ხოლო მათი მეთაურები „უყურებენ მოსკოვს და იხდიან ხარკს“, არიან რუსეთის მეფის „ხოლოპები“ (ე. ი. ხელმწიფის სრულ მორჩილებაში) ვინაიდან „სხედან მოსკოვის მეფის მიწაზე“. აქ უკვე სახეზეა თათარ-მონღოლთა მიერ დამკვიდრებული მეხარკეობის ფორმა მთელი თავისი გარეგნული ატრიბუტებით: ხარკი – „იასაკი“, რომელსაც აღწერით კრეფენ.

დიპლომატიურ ურთიერთობაშიც ხაზგასმულია „მორჩილის“ არარაობა. „მორჩილი“ დამცირებულია, მასთან იგზავნიებიან დავალებით არა ელჩები, არამედ ცალკეული პირები (მსახურეული თათრები, ვაჭრები და სხვანი), ხარკის გადახდაზე უარის თქმა იწვევს მეფის რისხვას, რომელიც უფლებამოსილად

71

თვლის ურჩი ქვეყნის ელჩები დილეგში ჩაყაროს და იარაღით ხელში ადადგინოს თავისი უფლებები.

XVI საუკუნის 60-იან წლებში ჩნდება „ქვეშევრდომობის“ ახალი სახე, ე. წ. „სახელმწიფოები, რომლებიც მსახურობენ“. განსხვავებით მოხარკე სახელმწიფოებისაგან, ეს „ქვეშევრდომები“ ხარკს არ იხდიან და მხოლოდ „სახელმწიფო სამსახურს ასრულებენ“, სადაც ხელმწიფე ბრძანებს (ნოღაელები, ჩერქეზები, ავარიელები, ყაბარდოელები)<sup>72</sup>.

იმ სახელმწიფოთაგან განსხვავებით, ვის მიმართაც იხმარებოდა ტერმინი „გოლდოვნიკი“, სახელმწიფო, რომელიც „უყურებს... და ხარკს იხდის“, აღინიშნებოდა ტერმინით „მსახურობს“, ხოლო ქვეშევრდომობაში მიღების თხოვნა – ტერმინით „სამსახურის თხოვნა“ („...“). თუ „თხოვნა“ ნებაყოფლობითი იყო და მტრებისაგან დაცვას გულისხმობდა, მაშინ იხმარებოდა ტერმინი „სამსახურსა და მფარველობაში („...“ ) ყოფნა“.

„მოსამსახურენი“, იმისაგან დამოუკიდებლად ნებაყოფლობით „ითხოვეს სამსახური“ თუ აიძულეს გაეკეთებინათ ეს, იღებენ „მომსახურე მთავრების“ სტატუსს, გადაიქცეოდნენ მსახურებად – ხოლოპებად, რომელმაც უნდა მოიხადოს სამხედრო სამსახური და სხვა. მაგრამ, ცენტრალიზაციის დასაწყისი ხანისაგან განსხვავებით, როდესაც „სამსახურის თხოვნა“ განიხილებოდა, როგორც მოსკოვის დიდი მთავრის ოდითგან არსებული უფლების აღდგენა, XVI ს. „თხოვნა სამსახურისა და დაცვისა“ უთანაბრდებოდა ქვეშევრდომობის ნებაყოფლობით მიღებას მფარველობის პირობით და მფლობელებისათვის თავის მიწაზე *dominium directum*-ის შენარჩუნებით. სახეზეა ინკორპორაციასთან მიახლოებული მფარველობითი ტიპის დაქვემდებარების ხელშეკრულება.

„ქვეშევრდომობის მიღება“ ფორმდებოდა ხსენებული შემთხვევისათვის სპეციალურად შემუშავებული საერთაშორისო ხელშეკრულებით. ხელშეკრულება შედგებოდა ორი ნაწილისაგან: („ფიცის წიგნი“ და „ოქროს ბეჭდიანი წყალობის სიგელი“). არსებითად ეს არის ერთი აქტის ორი მხარე, მაგრამ, რადგან ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფოსთან, რომელმაც აღიარა თავისი უძღურება, ამიტომ მხოლოდ ეს უკანასკნელი იძლევა ერთგულების ფიცს, ხოლო მეფე სანაცვლოდ იძლევა „წყალობის სიგელს“, მაგრამ არა უბრალოს, არამედ „ოქროს ბეჭდიანს“, რაც ათანაბრებს მას ხელშეკრულების დადების ნიშნად მიცემულ სიგელთან (ჩვეულებრივ წყალობის სიგელებს ჰქონდათ წითელი ან შავი ცვილის ბეჭედი). ასე წარმოიშვა რუსულ სამართალში ხელშეკრულების ახალი ფორმა „ხელშეკრულება ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ“. იგი აწესრიგებდა ურთიერთობას რუსეთსა და იმ სახელმწიფოთა შორის, რომელნიც აღიარებდნენ მოსკოვის უზენაესობას და ინარჩუნებდნენ შინაგან ავტონომიასა და საგარეო-პოლიტიკურ ქმედუნარიანობას. ხელშეკრულების შინაარსი სხვადასხვა იყო და გამოიხატებოდა სათანადო ტერმინებით, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და რასაც ქვემოთ შევეხებით.

\* \* \*

XVI-XVII სს. საერთაშორისო სამართლის მიხედვით „ვასალიტეტის“, „მფარველობის“, „პროტექტორატისა“ და „ქვეშევრდომობის“ ტერმინების გარკვევისა და მოსკოვის სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკის შესწავლის შემდეგ, შესაძლებელია გადავიდეთ კახეთ-მოსკოვის 1587-1589 წწ. კავშირის იურიდიული ბუნების ანალიზზე. პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ხელშეკრულების ფორმა. აქ წარმოდგენილია იგივე ფიცის წიგნი (მას უწოდებენ არა „...“-ს, არამედ „...“-ს, რადგანაც ალექსანდრე ქრისტიანია) და „ოქროს ბეჭდიანი წყალობის სიგელი“. ესაა თითქოს ისეთივე ტიპის ხელშეკრულება, როგორც იყო მოსკოვსა და ციმბირის სამეფოს შორის, განსაკუთრებით კი ყაბარდოელ მთავრებთან დადებული. მაგრამ ხელშეკრულების შინაარსის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია.

დავიწყოთ ხელშეკრულების პრემამულით, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული ხელშეკრულების ხასიათი.

„... , - ნათქვამია წიგნში, -  
 . . . , , ...  
 ... ,  
 . . . . . ...  
 ,  
 . . . . .  
 ...

”73

„... , -აცხადებს წყალობის სიგელი, -  
 ...  
 , , (იგივე, რაც წიგნში -  
 ლ. ა.) ...  
 ...

’ ”  
 ; ,  
 , , ,  
 ... ,  
 ... , ,  
 , ;  
 ...

. , , ...  
 ...  
 ...

73 , . 33.  
 74 , . 88-89.

პრეამბულის ანალიზი გვაძლევს შემდეგი დასკვნის უფლებას:

ა) ხელშეკრულებას საფუძვლად უდევს კახეთის ნებაყოფლობითი მიმართვა მოსკოვისადმი დახმარებისათვის.

ბ) მოსკოვი იღებს კახეთის წინადადებას „ქრისტიანული სარწმუნოების გადასარჩენად.“

გ) კახეთი აღიარებს მოსკოვის მეფეს თავის მფარველად, ე. ი. ნებაყოფლობით ირჩევს დამოკიდებული სახელმწიფოს მდგომარეობას.

ამრიგად, 1587-1589 წლის ხელშეკრულება პირდაპირ მიუთითებს კავშირის ნამდვილ მფარველობით ხასიათზე, მას საფუძვლად უდევს „ურჯულოთაგან ქრისტიანობის დაცვის“ იდეა. მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მას მიმართავს დახმარებისათვის მუსლიმანური ქვეყნებით გარემოცული არარუსული ქრისტიანული სახელმწიფო. ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება არ მოსწონებოდა „მესამე რომს“. აი, რატომ მიექცა ამ მომენტს საგანგებო ყურადღება ხელშეკრულებაში. დამახასიათებელია, რომ კავშირის თაობაზე მოლაპარაკებისას და შემდგომაც ორივე მხარე ხაზს უსვამდა მფარველობის რელიგიურ ხასიათს.

ბორის გოდუნოვის მიერ ალექსანდრე II-დმი გაგზავნილ სიგელში ვკითხულობთ: „ ... ,

... ;  
... . . . . .

„75

თავის მხრივ ალექსანდრე დაუინებოდა აღნიშნავდა, რომ თხოულობდა მფარველობას „ . „

... ,  
... ,  
... ,  
... ,  
... ,  
... ,

„76

ამგვარად, კავშირის რელიგიურ-მფარველობითი ხასიათი სრულიად ნათელია. მაგრამ პრეამბულაში სხვა რამეცაა ნათქვამი – ალექსანდრესა და მთელ მის ქვეყანას მოსკოვის მეფე იღებს „თავის ხელქვეშ“, რაც, როგორც უკვე ვიცით, ნიშნავდა რუსეთის მეფის უზენაესობის აღიარებას. მაგრამ განსხვავებით სხვა ხელშეკრულებებისა, სადაც ლაპარაკია „მეფის ხელქვეშ და სამსახურში ყოფნაზე“ („ ... “), კახეთ-მოსკოვის ხელშეკრულება ლაპარაკობს მხოლოდ „ ... “-ს შესახებ, რაც ყურადღებას ამახვილებს ამ ხელშეკრულების თავისებურებაზე.

ანალიზი იმ პირობებისა, რომლითაც კახეთი მიღებული იყო „ხელქვეშ“, ადასტურებს ჩვენ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს და კიდევ ერთხელ გვარწმუნებს

75 , . 260.  
76 , . 163.

რუსული დიპლომატიური საბუთების ტერმინოლოგიის სიზუსტეში. პირველ ყოვლისა მივმართოთ სამხედრო-პოლიტიკურ პირობებს:

„ ... , - ნათქვამია ფიცში , -  
... ( - . . ) ... ( - . ) -  
... ( - . . ) ,  
...  
...  
...  
... „<sup>77</sup>

წყალობის სიგელი აზუსტებს „მეგობრებისა“ და „მტრების“ ცნებას.

„ ... ( - . . )  
... -  
... , - , ...  
...  
...  
... , - , ...  
...  
... , - , ...

ეს პუნქტები თავისი შინაარსით თითქოს ყველაზე მეტად ყაბარდო-რუსეთის 1552-1557 წწ. და 1588 წ. ხელშეკრულებებს უახლოვდება. მაგრამ არ შეიძლება თვალში არ მოგვხვდეს, რომ ქართულ ფიცში არ არის მოხსენიებული კახეთის მეფის ვალდებულება: „მსახურობდეს იქ, სადაც ხელმწიფე ბრძანებს“ და „იომოს ვოევოდებთან ერთად სიკვდილამდე“, რაც ყაბარდო-რუსეთის ხელშეკრულების ქვაკუთხედიანია. პირიქით, „წყალობის სიგელში“ ზუსტად არის განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების გეოგრაფიული რაიონი – ჩრდილო კავკასია. აქვე განსაზღვრულია მოსკოვის ვალდებულება – დაიცვას კახეთი „ყველა მტრისაგან“. 1588 წლის წყალობის სიგელში კი ასეთი მოვალეობა არ გვხვდება.

ხელშეკრულება მოთხოვდა, რომ ალექსანდრე II-ს მკაცრად დაესაჯა თავისი ქვეშევრდომები მოსკოვის ინტერესების საზიანო მოქმედებისათვის. ალექსანდრეს უნდა „ებრძანა (ამ პირების – ლ. ა.) დასჯა და ამის შესახებ ეცნობებინა მეფის ვოევოდებისათვის“ თერგზე და ასტრახანში. ეს ვალდებულება სრულიად არ ამცირებდა ალექსანდრეს ხელისუფლების უზენაესობას, რადგან კიდევ ერთხელ ადასტურებდა კახეთის სრულ დამოუკიდებლობას – მხოლოდ კახეთის მეფეს შეეძლო თავისი ქვეშევრდომების გასამართლება.

ამრიგად, სამხედრო-პოლიტიკური ვალდებულებების თვალსაზრისით, 1587-1589 წლების ხელშეკრულება განსხვავდება ყაბარდო-რუსეთის

<sup>77</sup> , . 33.  
<sup>78</sup> , . 88-89.

ხელშეკრულებისაგან იმით, რომ პირველში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული მხარეთა ურთიერთვალდებულებანი და აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების გეოგრაფიული რაიონი. ფაქტიურად, კახეთი ვალდებული იყო დაეცვა მოსკოვის სახელმწიფოს სამხრეთი საზღვრები, უნდა მიხმარებოდა თურგისა და ასტრახანის ვოევოდებს „შამხალთან და ურჩ ჩერქეზ მთავრებთან ბრძოლაში“ და ხელი შეეწყო რუსეთისათვის დაემორჩილებინა ისინი. ამის სანაცვლოდ მოსკოვი უზრუნველყოფდა კახეთის საზღვრების დაცვას „ყველა მტრისაგან“. მაშასადამე, მხარეთა სამხედრო ვალდებულებები თანაბარია და არ შორდება მოკავშირეთა იმ ვალდებულებებს, რაც ორივე სუვერენ მხარეს აერთიანებს. მართალია, კახეთის ვალდებულებანი უფრო ფართოდ, უფრო დეტალურად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს „მეფის მტრების“ წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებასაც, მაგრამ შუასაუკუნეების სამყაროს მართლშეგნებით, არათანასწორ მხარეთა შორის მეგობრობის დროს ძლიერს წილად ხვდება მეტი პატივი, ხოლო სუსტს მეტი ვალდებულებანი ხელი მოუშართოს პირველს<sup>79</sup>.

ამგვარად, ალექსანდრე II, სამხედრო ვალდებულებების თვალსაზრისით, არ გადაიქცევა „ვასალად, ყმად“, ე.ი. „მსახურად“, „ხოლოპად“. ეს კარგად ესმოდა რუსეთის კარსაც, რომელიც ცდილობდა გვერდი აეგლო ტერმინ „სამსახურისთვის“, როგორც „წიგნში“, ისე „წყალობის სიგელში“. ორივე საბუთში ეს ტერმინი მხოლოდ ერთხელ გვხვდება.

ყაბარდო-რუსეთის ხელშეკრულებაში კი ტერმინი „სამსახური“ გვხვდება ყოველ ნაბიჯზე. უდავოა, ტერმინი „სამსახური“ ქართულ-რუსულ ხელშეკრულებაში უნდა გვაიგოთ როგორც სამსახურის გაწევა, და არა როგორც მინიშნება ვასალურ ურთიერთობაზე. ჩვენს აზრს ასაბუთებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მოსკოვის დიპლომატიურ საბუთებში, ისევე როგორც 1587-1604 წწ. მატეანეში არსად არ არის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ კახეთის მეფე „მსახურობს“, ან „სამსახურში იმყოფება“ და სხვ. ეს იმიტომ, რომ მას არ ეკისრებოდა „სამსახური, სადაც ხელმწიფე ბრძანებს“, რაც სრულიად ცვლიდა სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსს. „სამსახურში ყოფნა“ ნიშნავდა „ხოლოპობას“. რუსეთის დიპლომატიური აქტები და მატიანე თავს იკავებენ ალექსანდრეს „ხოლოპი“ - „მონა“ უწოდონ. ეს ტერმინი გვხვდება რუსეთის ელჩების ანგარიშებში, მაგრამ მხოლოდ იმ ნაწილში, სადაც გადმოცემულია ალექსანდრეს სიტყვები: „და მე ვარ მონა ხელმწიფისა ჩემი შვილებითა და მთელი იბერთა მიწითა.“

თვით მოსკოვის კარი ამ ტერმინს არ მიმართავს. პირიქით, იგი ხაზს უსვამს, რომ ალექსანდრე „მფარველობაში იმყოფება“.

ანალოგიურია მეფის კარის პოზიცია ირანისა და ოსმალეთის მიმართ. მათთან დიპლომატიური მიწერ-მოწერის დროს ეს მკვეთრად ჩანს.

96-ე წელს (1588 წ.) „

„

...

101-ე წელს (1593 წ.) „

...

<sup>1180</sup>

ასეთივე ტერმინები და გამოთქმები ნახმარია ირანში მიმავალ ელჩ ა. ზასეკინისათვის მიცემულ დანასაქმში, რომელიც შედგენილია 1597 წელს.

<sup>79</sup>

<sup>80</sup>

, . 1958, . 1, . III, § XXI, 2.  
, . 563, 568.

კახეთის მეფის არც „სამსახურზე“ და არც „ხოლოპობაზე“, როგორც ვხედავთ, ლაპარაკი არ არის. ეს მაშინ, როდესაც ყაზარდოელ მთავრებსა და სხვა ხელისუფალთა შესახებ ნათქვამიანია, რომ „ისინი ითხოვდნენ სამსახურს“, „მსახურობენ“, „ხელმწიფის სრულ განკარგულებაში“ იმყოფებიან და „ხოლოპები“ არიან.

იშვიათად, მოსკოვისაგან კახეთის დამოკიდებულების აღსანიშნავად, ირანთან მოლაპარაკების დროს იხმარება რუსული დიპლომატიური ტერმინი „ხოლოპი“, მაგრამ ყოველთვის მჭიდრო კავშირში ტერმინთან „დაცვა“, „მფარველობა“, სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ტერმინი, რომელიც დაწვრილებით, ზუსტად გამოხატავს ამგვარ „დამოკიდებულებას“, ჯერ არ იყო საბოლოოდ შემუშავებული.

ტერმინი „სამსახური“ აგრეთვე იშვიათად გვხვდება მოსკოვის მეფის მიერ კახეთში გაგზავნილ სიგელებში და ალექსანდრესთან წარგზავნილ ელჩთა განკარგულება-დარიგებაში. ამ შემთხვევაში ეს ტერმინი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებასთან, უნდა ითქვას, რომ ასეთი შემთხვევები მეტად მცირეა. სხვა ქვეშევრდომებისაგან კი „სამსახურის გაწევას“ მოითხოვენ მეტად ხშირად და ამას მოითხოვს არა მხოლოდ მეფე, არამედ თერგის და ასტრახანის ვოევოდები<sup>81</sup>.

მემატიანე სწორედ ამიტომ აფასებს ყაზარდო-რუსეთის 1588 წ. ხელშეკრულებას, როგორც „მარადიულ ხოლოპობას“, ხოლო საქართველო-რუსეთის კავშირის შესახებ წერს: „ ... , ...

( ... )  
„82.

მაგრამ, თუ მოსკოვის სამეფო კარი 1605 წლამდე ცდილობს არ უწოდოს ალექსანდრეს „ხოლოპი“, თვით ალექსანდრე, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც უწოდებს თავის თავს ამ სახელს. ასე მაგალითად, 1589 წლის მაისში რუსეთის ელჩებთან საუბარში ალექსანდრე ამბობს: „ , -

? ? -  
; ,

„83.  
ჩვენ არ ვიცით ზუსტად, თუ რა ტერმინი იყო ალექსანდრეს მიერ ნახმარი ქართულად ან რა თარგმნეს რუსეთის ელჩებმა „ხოლოპად“.

საფიქრებელია, რომ ეს იყო ტერმინი „ყმა“, რომელიც აღნიშნავდა როგორც ბატონყმურ, არათავისუფალ, ისე პირადად თავისუფალ ვასალურ ურთიერთობას.

81 - XVI-XVIII ., 1957, . 58, 60, 62, 65 . . ; , . 101, 102, 103.  
82 , . XVI, . 46.  
83 , . 218-219.



უფრო ფართო მნიშვნელობით, „ყმა“, „ყმობა“ ნიშნავდა „მორჩილს“, „მორჩილებას“ და საერთოდ მოიცავდა „ქვეშევრდომობასა“ და დამოკიდებულების ყველა კატეგორიას<sup>84</sup>. ამ სიტყვით გამოხატავდნენ აგრეთვე ღრმა პატივისცემას, მოწიწებას უფრო მაღალი პერსონის მიმართ, რაც ესოდენ ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთში. თუ ალექსანდრემ იხმარა ტერმინი „ყმა“, უდავოა იგი მას ფართო მნიშვნელობით ხმარობდა, როგორც თავისი „დამოკიდებულების“ გამომხატველს. ამ მხრივ საინტერესოა ტერმინი „მოკიდებული“<sup>85</sup>, რომელსაც ხმარობს ალექსანდრე II რუსეთის ელჩებთან საუბარში.

პროფ. ნ. ბერძენიშვილი სპეციალურად იხილავს ამ ტერმინს, როგორც „მოკიდებულის“ ინსტიტუტის ფორმას. ეს ინსტიტუტი ოდითგანვე ცნობილი იყო საქართველოში და ნიშნავდა, კერძოდ, კავშირს როგორც თანასწოროთა შორის, ასევე ძლიერსა და დამოკიდებულს შორის. მაგრამ უკანასკნელი კატეგორიაც იურიდიულად იყო თავისუფალი<sup>86</sup>. 1587-1588 წწ. კავშირი ალექსანდრეს წარმოედგინა არა ვასალიტეტის, არამედ უფრო მაღალი ფორმის კავშირად. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ეს კავშირი არ თავსდებოდა ვასალიტეტის ჩვეულებრივ ფორმაში მისთვის დამახასიათებელი ფორმულით: „სამსახური ყველგან და ყოველთვის“, და ინვენსტიტურით.

ამგვარად, ტერმინი „ხოლოპი“ კახეთის პოლიტიკური მოღვაწეებისათვის მოკლებული იყო ყოველგვარ იურიდიულ მნიშვნელობას და გამოიყენებოდა მხოლოდ დამოკიდებულების აღმნიშვნელ სიტყვად. იგივე ითქმის, სხვათა შორის, დიპლომატიური ცერემონიალის ფორმების შესახებ, რომელიც ვასალური ურთიერთობისათვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს 1587-1589 წლების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამხედრო-პოლიტიკური ვალდებულებანი ატარებენ ურთიერთთავდაცვით ხასიათს, მაგრამ ალექსანდრე II-ს ეკისრება მოვალეობა, მოსკოვის სასარგებლოდ იხადოს ხარკი „დაცვისა და მფარველობისათვის“. ხელშეკრულება უნარჩუნებს კახეთის მეფეს ხელისუფლების უმაღლესობას: როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო სფეროში იგი კვლავ ერთადერთი სუვერენია ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც.

რას წარმოადგენს „ხარკი“, რომელზეც მიუთითებს მოსკოვის მეფე თავის 1594 წლის სიგელში?

„წიგნში“ მართლაც სამხედრო ვალდებულებების გარდა ალექსანდრე II-ს ევალებოდა „-ს გამოგზავნა.

„წყალობის სიგელში“ კი უკვე ლაპარაკია ხარკზე: „ და ხარკი შენ, ივერიის მეფე ალექსანდრე...“

გამოგზავნე ყოველწლიურად, რაც საუკეთესო ქსოვილებია შენს მიწაზე<sup>87</sup>.

ხელშეკრულების ეს ნაწილი მოგვაგონებს რუსეთ-ციმბირის ხელშეკრულებების შინაარსს, რომელსაც ხარკის გამოგზავნა უდევს საფუძვლად.

საქართველო-რუსეთის კავშირის ამ პუნქტის შემუშავებაზე საგანგებოდ შეჩერება საჭიროდ მიგვაჩნია.

<sup>84</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თბ., 1919. გვ. 69.

<sup>85</sup> , . 297, 384.

<sup>86</sup> ნ. ბერძენიშვილი, „მოკიდებული“-სათვის, „მომომხილველი“, 1949, ტ. 1, გვ. 55-56.

<sup>87</sup> , . 88.

ბირკინისა და პიკოვის „ნაკაზში“ ნათქვამი იყო შემდეგი: „  
( . . . ) - . . . )  
( . . . ) ,

10

იმ შემთხვევაში, თუ ალექსანდრე ამ წინადადებას არ დაეთანხმებოდა, ელჩებს ურჩევდნენ წინადადება მიეცათ მისთვის, გაეგზავნა მეფესთან ქართველი ელჩები და გამოეთქვა თავისი მოსაზრებანი ამის თაობაზე<sup>88</sup>. და, მართლაც, ალექსანდრე არ დაეთანხმა ასეთ მისართმეველზე. დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. ალექსანდრემ უარი განაცხადა მისართმეველის ზუსტად განსაზღვრაზე. გადაწყდა ამ საკითხის მოწესრიგება დაევალებინათ ქართველი ელჩებისათვის.

დადგა დღე „ფიცის წიგნის“ შედგენისა, ელჩებმა აქ რატომღაც დაჟინებით მოითხოვეს „ -ს ჩაწერა „წიგნში“. ალექსანდრემ უარი განაცხადა. პრინციპულად იგი არ იყო „ -ს წინააღმდეგი, მაგრამ (გარდა იმისა, რომ ჯერ არ იყო განსაზღვრული მისი შინაარსი) მათი შეტანა „წიგნში“ ალექსანდრეს „ხარკს“ მოაგონებდა. ბოლოს და ბოლოს იგი დათანხმდა „წიგნში“ შესულიყო პუნქტი მისართმეველის შესახებ, მაგრამ კომპრომისულად: ლაპარაკი იყო მხოლოდ 50 ცალ ფარჩაზე და 10 ხალიჩაზე<sup>89</sup>.

საბოლოოდ ალექსანდრემ შეძლო თავისი გაეტანა. „წყალობის სიგელში“ უკვე მოცემულია ბუნდოვანი, ზოგადი ფორმულირება: „გამოგზავნე ყოველწლიურად, რაც შენს მიწაზე (ალექსანდრეს მიწაზე - ლ. ა.) საუკეთესო ქსოვილებია“.

ამრიგად, საკითხი ძღვენის მოცულობის შესახებ, ღიად დარჩა, სამაგიეროდ, კახეთის ყოველწლიური მისართმეველი უკვე „ხარკად“ იწოდებოდა და ამიერიდან ოფიციალურ საბუთებში ლაპარაკია „ყოველწლიურ ხარკზე“.

თვითონ ტერმინი „ -ს ხარკი“ ამ კონტექსტში საკმაოდ პირობითია. ცნობილია, რომ ხარკს ყოველთვის მოსკოვის მოხელეები კრეფდნენ, კახეთის ხარკი კი ჩაჰქონდა ქართველ ელჩებს და მეფეს კვლავ საჩუქრის სახით მიართმევდნენ<sup>90</sup>. 90-იანი წლებიდან ალექსანდრე თითქმის აღარ გზავნიდა მისართმეველს და რუსეთის მთავრობამ შეწყვიტა კიდევ დაჟინებით მისი მოთხოვნა.

ამასთან ერთად, მოსკოვის ყოველ ელჩობას კახეთში ჩამოჰქონდა აგრეთვე „ -ს, რომელსაც ეწოდებოდა „<sup>91</sup>. საქმე ისაა, რომ ტერმინი „ -სი იგულისხმებოდა არა მხოლოდ „ -ს ხარკი“, პირდაპირი გადასახადის მნიშვნელობით, არამედ „საჩუქარიც“, „ძღვენი“, „მოსაკითხავი“, „მისართმეველი“. თავის მხრივ „ -ს იხმარებოდა საჩუქრის და აგრეთვე პირდაპირი გადასახადის მნიშვნელობითაც<sup>92</sup>.

88 . . . 24-25.

89 . . . 41.

90 . . . 167, 247.

91 . . . 322.

92 . . . 1, . . . 627.

ტერმინი „ „წიგნში“ და ტერმინი „ „წყალობის საგელში“ ყოველწლიური მისართმეველის სინონიმებია, კახეთის მოსკოვზე დამოკიდებულების აღმნიშვნელი, მაგრამ სამხედრო კონტრიბუციისა და პირდაპირი გადასახადისაგან განსხვავებით, იგი თან ახლავს ყველაზე უფრო მსუბუქი დამოკიდებულების ფორმას, რომლის დროსაც „დამოკიდებული“ სახელმწიფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა მაქსიმალურია.

როდიონოვი და ბირკინი პირდაპირ მიუთითებენ: მრავალი სახელმწიფო გახდა ჩვენი ხელმწიფის ქვეშევრდომი, ფიცი დადეს და „ „წიგნში შეიტანეს“. „ - ყოველწლიური ძღვენი, ხარკთან არის გათანაბრებული, მაგრამ ხარკთან, რომელიც სუფთა ნომინალურ ხასიათს ატარებს. ეს გასაგებიცაა: XVI ს. ბოლოს მოსკოვის სახელმწიფო არ ცნობს სუსტი სახელმწიფოების თანასწორუფლებიანობას და სდებს მათთან ქვეშევრდომობის ხელშეკრულებებს, რომლებიც ან ხარკის გადახდას ითვალისწინებდა, ან ვასალურ მოვალეობას აკისრებდა. კახეთი კი არის სახელმწიფო, რომელიც იხდის საკუთრივ ხარკისაგან არსებითად განსხვავებულ „ხარკ-ძღვენს“. ნამდვილი ხარკის აკრეფა მოითხოვდა მოსახლეობის აღწერას, აქცევდა მიწას რუსეთის მეფის „ვოტჩინად“, ხოლო თვით მფლობელს „პირდაპირ ხოლოპად“. „ძღვენი-ხარკი“, რომელსაც ალექსანდრე იხდიდა, იყო არა მხოლოდ საზღაური დახმარებისათვის, არამედ ერთადერთი ფორმა, რომელიც ადასტურებდა სუბორდინაციის დადგენილ წესს. „წიგნისა“ და „წყალობის სიგელის“ სწორედ ეს რამდენიმე სტრიქონი გამოხატავს კახეთ-რუსეთის კავშირის არსს. მოსკოვს ესმის კახეთის სტატუსის თავისებურება, რომელიც, პირველ ყოვლისა, მათ შორის ჩამოყალიბებული კავშირის თავისებურებიდან გამომდინარეობს, და რელიგიურ-მფარველობით ხასიათს ატარებს. ეს აისახა ხელშეკრულებაშიც, რომელიც არ გავს მოსკოვის მიერ XVI ს. ბოლოს და XVII ს. დასაწყისში დადებულ არც ერთ ხელშეკრულებას „ქვეშევრდომობის“ შესახებ.

კახეთ-რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ფაქტს. ამიტომ ჩვენ მოვიყვანთ მოსკოვისა და კახეთის დიპლომატიური ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდს.

პირველ ყოვლისა მივმართოთ ორივე მხარის საელჩო წესს, რადგან გვიანფეოდალურ ეპოქაში საერთაშორისო სამართალი ჯერ კიდევ ასახავდა და განამტკიცებდა სახელმწიფოთა სხვაობას რანგების მიხედვით და ამას დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებდა. ამ მხრივ განსაკუთრებულ სიზუსტეს მოითხოვდა მოსკოვის კარი, რომელიც ესწრაფოდა პირველხარისხოვანი რანგის სახელმწიფოდ ელიარებინა იგი მაშინდელ საერთაშორისო-სამართლებრივ საზოგადოებას<sup>93</sup>.

რუსული დიპლომატიური ცერემონიალი, როგორც ცნობილია, ზედმიწევნითი სიზუსტით იყო შემუშავებული და ყველა წვრილმანში განუხრელად და თანმიმდევრულად ხორციელდებოდა<sup>94</sup>. განსაკუთრებით პედანტური გახლდათ

<sup>93</sup> . . . , 1948, . 197-214.  
<sup>94</sup> . . . , . 1, ., 1959, . 303-355; . . . , . . . , 1901 ( . VI “ ”), . 176-270; . . . , ( . XVIII ), “ ”, 8, 1947; . . . , XV-XVII . . . - . . . 56-71; . . . , XVII-XVIII . . . , 1884.

უცხოელი ელჩების მიღებისა და გასტუმრების წესი, სადაც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ყოველი ნაბიჯი გაზომილი იყო. ელჩების მიღება და გასტუმრება დამოკიდებული იყო სახელმწიფოს (და ელჩის) რანგზე, მის სიძლიერესა და მნიშვნელობაზე<sup>95</sup>.

ჯერ განვიხილოთ ელჩების რუსეთში ყოფნის საერთო სურათი.

გრ. კოტოშინინი და ს. ბელაკუროვი საკმაოდ დეტალურად ახასიათებენ სახელმწიფოს „რანგისა და მნიშვნელობის“ შესაბამისად ელჩთა „მიღებასა და გასტუმრებას“.

ყველაზე უფრო ბრწყინვალედ დებულობდნენ საღვთო რომის იმპერიის ელჩებს, აგრეთვე პოლონეთის, შვეციის, ინგლისის, დანიის მეფეების, ირანის შაჰის და თურქეთის სულთნის ელჩებს. ყველა ეს სახელმწიფო მოსკოვის სამეფოს ტოლად ითვლებოდა (ხელმწიფოები კი მოსკოვის მეფის „ძმებად“) და ამ ელჩების მიღების დროს სრულდებოდა შემდეგი ცერემონიალი:

ყოველდა, გაიგებდა რა ელჩების საზღვართან მოსვლას, შესახვედრად აგზავნიდა „აზნაურს, დარბაისელსა და კარგი გვარის კაცს“. ეს კაცი - „პრისტავი“ აცილებდა ელჩებს მოსკოვამდე. მთელ გზაზე, ყველა ქალაქში ელჩებს პატივით ხვდებოდა ქალაქის დიდკაცობა. ელჩების უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგითა და ღამის გასათევით მთლიანად ადგილობრივ ხელისუფლებას ეკისრებოდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ელჩობა მოსკოვამდე მიდიოდა, პრისტავი ატყობინებდა საელჩო პრიკაზს ყოველივეს და იქიდან იღებდა ინსტრუქციებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო შემდეგში. მთავარი საზრუნავი მაინც ის იყო, რომ ელჩობა ზუსტად დანიშნულ დროს მისულიყო დათქმულ ადგილზე.

მოსკოვიდან ნიშნის მიღებისთანავე ელჩობა შედიოდა ქალაქში. ელჩებს ხვდებოდნენ „სტოლნიკი“ (რომელთა გვარი „ოკოლნიჩებად“ სამსახურის ღირსი იყო) და მასთან ერთად „დიაკი“ (ამიერიდან ეს პირი ახლავს ელჩებს, ნაცვლად სამგზავრო პრისტავისა).

შეხვედრა ხდებოდა „ „, მინდორში, სადაც „შემხვედრები“ ესალმებოდნენ ელჩებს „განაწესის“ მიხედვით<sup>96</sup>. მოუყვანდნენ ეტლებსა და ცხენებს მეფის საჯინბოდან.

ამის მერე ელჩობა გაემგზავრებოდა მათთვის განკუთვნილ „კარზე“. „მთელ გზაზე ხალხმრავლობა და მორთულობა“ იყო, გზის პირას იდგნენ ცხენოსანი მსახურნი და მდიდრულად აღჭურვილი ბოიართა ხოლოპები, ჩამწკრივებული იყვნენ ფეხოსნები, დროშებით და ზარბაზნებით.

XVIII საუკუნის დასაწყისამდე მოსკოვში არ იყო სპეციალური ნაგებობა უცხოელი ელჩების მისაღებად. მათ მიუჩენდნენ ხოლმე კერძო სახლებს<sup>97</sup>. მხოლოდ ლიტვის ელჩებს ჰქონდათ საგანგებო „კარი“, ე. წ. „ლიტვის კარი“. ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების ელჩებს აბინავედნენ მათთვის მიჩენილ სადგომებში, ხოლო შემდგომ - საელჩო კარზე.

ელჩების მოსკოვში ყოფნის დროს მეფის კართან აუდიენციის მიღებამდე, მათ იცავდა გუშაგი. არავის არ უშვებდნენ არც შიგ და არც გარეთ სპეციალური ნებართვის გარეშე. აუდიენციის შემდეგაც ელჩების მიმოსვლა საკმაოდ შეზღუდული იყო. მხოლოდ XVII საუკუნეში ელჩების ნახევრად პატიმრული

95 . . . . 60 . . . . 76-96.

96 . . . . 61.

97 . . . . 78-83.

რეჟიმი თანდათანობით შემსუბუქდა<sup>98</sup>. ამ მოვლენის ახსნა რუსეთის მთავრობის სიფრთხილეში უნდა ვეძებოთ, რადგან უცხოელი ელჩები ხშირად, საიდუმლო დავალებით, ინფორმაციას აგროვებდნენ. ასეა თუ ისე, რუსეთის მეფის „ძმების“ მიერ გამოგზავნილი ელჩების „ტყვეობა“ ჩვეულებრივი მოვლენაა XVI საუკუნეში და XVII საუკუნის დასაწყისშიც კი.

აუდიენციის დღეს ელჩებს უგზავნიდნენ ცხენებს მეფის საჯინიბოდან, „სტრელცებსა“ და შემხვედრებს.

1576 წლიდან ელჩების სავალ მთელ გზაზე - მათი კარიდან ხარების ტაძრამდე (ზოგჯერ მხოლოდ ამ ტაძრიდან მოედნამდე) აყენებდნენ „სტრელცებს“.

კრემლში მოსვლისას, ელჩები ყოველთვის ჩერდებოდნენ ან ხაზინის კარის შენობასთან, ან ტაძრის კიბეებთან. თუ მეფე ჯერ კიდევ დარბაზში არ იყო, ეჩებს უნდა ეცადათ მეფის გამობრძანებამდე „საელჩო პალატაში“.

1586 წ. მეფე ჩვეულებრივ იღებდა ელჩებს „  
“ ან ” “. კიბეებზე და დარბაზებში, რომლებსაც ელჩები გაივლიდნენ, იდგნენ თავადაზნაურები, „პრიკაზების“ მოხელეები და ვაჭრები - ” “, რომელსაც მათ სპეციალურად ურიგებდნენ, ხოლო დაბალი ჩინები - ” “.

დარბაზში შესვლისას ელჩებს ხვდებოდნენ სპეციალური პირები (სამჯერ)<sup>99</sup>. მეფე დამჯდარი, სრულ მეფურ სამოსში გამოწყობილი იღებდა ელჩებს.

„ოკოლნიჩი“ წარუდგენდა მეფეს ელჩებს, ელჩები „მისალმებას გადასცემდნენ“; მეფე მისალმებას ისმენდა ფეხზე მდგარი. შაჰისა და სულთნის „მისალმებისას“ მეფე „წამოიწეოდა“ და მოიკითხავდა ხელმწიფის ჯანმრთელობას. მისალმების შემდეგ ელჩები გადასცემდნენ სიგელს, რომელსაც „საელჩო პრიკაზის“ (1549 წ.) შექმნის შემდეგ ყოველთვის საელჩო დაიკი იღებდა.

შემდეგ ელჩებს ნება ეძლეოდათ ხელზე მთხვეოდნენ მეფეს. ამის უფლება მხოლოდ ქრისტიანი სახელმწიფოების ელჩებს ჰქონდათ. შაჰისა და სულთნის ელჩებს მეფე საკოცნელად არ გაუწვდიდა ხელს, მხოლოდ ხელს დაადებდა თავზე. ამის შემდეგ ელჩები სპეციალურ სკამზე სხდებოდნენ.

ეს არ იყო ჩვეულებრივი სკამი. მას დგამდნენ მეფისაგან იმ მანძილზე და იმისდა მიხედვით, თუ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ელჩს.

მცირე ღუმილის შემდეგ, ელჩები მოახსენებდნენ ელჩობის მიზანს და გადასცემდნენ საჩუქრებს, რომლებსაც მეფეს „ოკოლნიჩი“ აჩვენებდა. აუდიენციის დასასრულს მეფე „საელჩო პრიკაზის“ დაიკის მეშვეობით აუწყებდა ელჩებს თავის წყალობას: საელჩო კარზე იგზავნებოდა საჭმელ-სასმელი. შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება ელჩებსა და ბოიართა სათათბიროს საგანგებო კომისიას შორის.

ელჩობის დასასრულს მეფე გამოსათხოვარ აუდიენციას აწყობდა, რომელიც დაახლოებით ისევე მიმდინარეობდა, როგორც მიღება. ელჩებს საზღვრამდე აცილებდა მოსკოვის პრისტავი.

მითითებული სახელმწიფოების დესპანების მიმართ გამოიყენებოდა იგივე ცერემონიალი, იმ განსხვავებით, რომ „საგზაო“ და „მოსკოვის“ პრისტავები ნაკლებად წარჩინებული პირები იყვნენ - „აზნაური, კაპიტანი ან მსროლელთა პრისტავი“. აუდიენციის დროს მეფე იყო მორთული საზეიმო სამოსით, უბრალო

<sup>98</sup> . . . 1, . 310; . . . „ . 258-259. . 2.

<sup>99</sup> . . . , 1908, . 200.

ქუდი ეხურა. ბოიარები და სხვა მოხელეებიც ასევე იყვნენ მორთული, ხოლო „სტრელცები“ იდგნენ მხოლოდ ქალაქში, სადაც მეფე ცხოვრობდა. მოლაპარაკებას ატარებდნენ „სოკოლნიჩები“, საელჩო პრიკაზის სათათბიროს დიაკები და არა ბოიარები, მეფის „წყალობა“ ნაკლებად ჰქონდათ დესპანებსაც.

ასეთი იყო მეფის კარის მიერ შემუშავებული ცერემონიალი დასავლეთ ევროპის ელჩების მიღებისა და აგრეთვე აღმოსავლეთის ორი დიდი ქვეყნის - სპარსეთისა და თურქეთის მიმართ. ამ ცერემონიალს საფუძვლად ედო სახელმწიფოთა შორის თანასწორობის პრინციპი.

მაგრამ აზიური ქვეყნების ელჩების მიმართ (სპარსეთისა და თურქეთის გარდა) რუსეთი იყენებდა იმ საელჩო წესს, რომელიც უახლოვდებოდა ამ ქვეყნების საერთაშორისო-სამართლებრივ პრაქტიკას.

საზღვარზე ელჩებს ხვდებოდა „პრისტავი“ და მოჰყავდა მოსკოვში, მათ „არავითარ შეხვედრებს არ უწყობდნენ“. ელჩები პირდაპირ თავის სადგომებში მიდიოდნენ<sup>100</sup>. ამ დროს მოსკოვში ელჩებისა და მათი თანხმლებისათვის მზადდებოდა ტანსაცმელი - ქურქები, ხიფთანები, ქუდები, ჩექმები და სხვ.

დანიშნულ დღეს მოსკოვის პრისტავი ჩამოდიოდა ელჩებთან გამზადებული ტანსაცმლით და, „მორთავდა“ რა ელჩებს, მიჰყავდა ისინი კრემლში. არც აქ ეწყობოდა შეხვედრა, მხოლოდ ცხენებს გზავნიდნენ მეფის საჯინიბოდან. ელჩები ჯერ „საელჩო პრიკაზში“ მიდიოდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრიკაზის დიაკი გაარკვევდა ელჩობის მიზანს და მოახსენებდა ამის შესახებ მეფეს, ელჩებს უფლება ეძლეოდათ „ხლებოდნენ მეფეს“.

პრისტავის თანხლებით ელჩები ფეხით მიემართებოდნენ სასახლეში. მეფე ხვდებოდა მათ „ყოველდღიურ ტანსაცმელში“, ხოლო ხელმწიფის ჯანმრთელობის შესახებ ეკითხებოდა „მჯდომარე და ქუდდახურული“. სიტყვას ამბობდა სათათბიროს დიაკი. მასვე ევალებოდა ელჩისაგან სიგელის მიღება. შემდეგ ელჩები მეფეს უახლოვდებოდნენ - „ხელთან მიდიოდნენ“, მაგრამ კოცნის უფლება მათ არ ჰქონდათ - მეფე ელჩებს თავზე ხელს დაადებდა, შემდეგ კი სასამელს შესთავაზებდა.

ელჩებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა საელჩო პრიკაზის სათათბიროს დიაკი. „გასტუმრება“ ისეთივე იყო, როგორც „მიღება“.

აღწერილი წესი, როგორც ვხედავთ, აგებულია უთანასწორობის პრინციპზე, რაც ესოდენ დამახასიათებელია აღმოსავლეთის იმდროინდელი საერთაშორისო-სამართლებრივი პრაქტიკისათვის.

ამრიგად XV-XVII სს. მოსკოვის კარზე, არსებობდა საელჩოს ორი წესი: ერთი გამოიყენებოდა დასავლეთ ევროპისა და აზიის ზოგიერთი სახელმწიფოს (ირანისა და თურქეთის) მიმართ და აგებული იყო თანასწორობის, ურთიერთადიარების პრინციპზე<sup>101</sup>, მეორე - აზიის მცირე სახელმწიფოების მფლობელთა მიმართ.

ახლა კახეთ-რუსეთის ურთიერთობის ანალიზს მივმართოთ. საქართველოს ელჩების მიმართ გამოიყენებოდა მიღების მეტ-ნაკლებად სტაბილური წესი.

<sup>100</sup> ხშირი ელჩობის გამო მოსკოვში იყო ყირიმისა და ნოღაელების სპეციალური „კარები“, იხ. ს. ბელოკუროვის ციტირებული ნაშრ., გვ. 90.

<sup>101</sup> ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ვ. სავას მტკიცებას, თითქოს აღნიშნული საელჩო წესი გამოიყენებოდა მხოლოდ ქრისტიანული სახელმწიფოების მიმართ და არა მუსლიმანური ქვეყნების მიმართ (იხ. ციტ. ნაშრ., გვ. 268).

ჩვეულებრივ კახეთის ელჩები სამშობლოდან რუსეთის ელჩებს მიჰყვებოდნენ მოსკოვში<sup>102</sup>.

1. ასტრახანში ჩამოსვლისას ისინი აქ ჩერდებოდნენ. ასტრახანის ვოევოდა ატყობინებდა მეფეს ელჩების ჩამოსვლის შესახებ. შემდეგ, პრისტავის თანხლებით, ელჩები მიემგზავრებოდნენ მოსკოვისაკენ. გზიდან მოსკოვს აუცილებლად ატყობინებდნენ ელჩების მგზავრობის შესახებ. მოსკოვიდანაც ატყობინებდნენ, როდის უნდა მისულიყვნენ უკანასკნელ გაჩერებაზე. დედაქალაქში შესვლის წინ ელჩები მოსკოვიდან რამდენიმე „ვერსტით“ დაშორებულ ადგილზე ელოდნენ შეტყობინებას, რომელ დღეს შევიდოდნენ მოსკოვში. ჩვეულებრივ მოლოდინი დიდხანს არ გრძელდებოდა და ელჩები, ნებართვის მიღებისთანავე, მოსკოვში შედიოდნენ.

1589 წლიდან (ყაფლანის ელჩობის შემდეგ) ყველა ქართველ ელჩს საზეიმო „შეხვედრას“ უწყობდნენ:

1. შესახვედრად გზაენიდნენ წარჩინებულ პირებს<sup>103</sup>.

2. შეხვედრას უწყობდნენ „მოსკოვთან მეფის ახალ სეფექალაქში... იაზუხას ხიდს იქით“.

3. შეხვედრის დროს ელჩებს მიერთმევენდნენ ცხენებს (ან მარხილს) მეფის საჯინიბოდან. შემხვედრი „სიტყვას ამბობდა“ და მეფის სახელით მიესალმებოდა ელჩებს.

4. შემდეგ კორტეჟი მიემართებოდა მოსკოვისაკენ წინასწარ დადგენილი მარშრუტით. ჩერდებოდა იგი ელჩთათვის განკუთვნილ სადგომთან. 1599 წლამდე ასეთ „სადგომს“ წარმოადგენდა „ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის“ კარი, ხოლო 1599 წლიდან - „საელჩო კარი კი - ტაიგოროდში“

5. ელჩების სავალი გზა ორივე მხარეს „მორთული და ხალხმრავალი“ იყო. ელჩების მიღების წესის ამსახველი ოქმი ჩვენამდე არ შემონახულა, მაგრამ 1599 წლის ჩანაწერების მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ელემენტი უთუოდ თან ახლდა ქართველი ელჩების მიღებას.

6. „კარზე“ მოსვლისას ელჩები იწყებდნენ მეფის აუდიენციისათვის სამზადისს<sup>104</sup>. მთელი ამ ხნის განმავლობაში, მეფის ბრძანებით, ელჩებს „იცავდნენ“, რათა მათ კარზე ბერძნები, თურქები, სომხები და სხვა უცხოელები არ მისულიყვნენ, მათ (ელჩებს - ლ. ა.) და მათ თანმხლებ პირებს არ დალაპარაკებოდნენ, მეფის პირადი ბრძანების გარეშე გარეთ არ გასულიყვნენ. პრისტავი ამ დროიდან იყო ის პირი, რომელიც ეგებებოდა ელჩებს.

7. დადგებოდა აუდიენციის დღე. რუსეთის მეფისაგან საქართველოს ელჩების შესაგებებლად გაიგზავნებოდა პრისტავი. ჩვეულებრივ საქართველოს ელჩებს იღებდნენ თურქეთის, სპარსეთისა ან ლიტვის ელჩების შემდეგ და ეს მიღება

---

<sup>102</sup> ასე მაგალითად, რუსინ დანილოვმა თან წაიყვანა იაკიმე და მისი „ამხანაგები“ (1587 წ.), ბირკინმა - ყაფლანი და მისი „ამხანაგები“, თავადმა ზვენეგოროდსკიმ თან წაიყვანა თავადი სულიმანი (1591 წ.) და ა. შ. აქვე უნდა ითქვას, რომ იგივე შეიმჩნევა რუსეთის ელჩთა მიმოსვლაშიაც. ისინი ქართველ ელჩებს მიჰყვებიან კახეთში.

<sup>103</sup> მხოლოდ 1537 წელს იაკიმეს და მის „ამხანაგებს“, 1604 წელს კი კირილესა და მის „ამხანაგებს“ არ მოუწყვეს შეხვედრა. პირველ შემთხვევაში ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთმა ჯერ არ იცოდა ვინ იყვნენ ისინი, ხოლო მეორედ - იმოქმედა ნაშროკინის ინტრიგამ.

<sup>104</sup> 1604 წელს კი ელჩები ჯერ საელჩო „პრიკაზმა“ მიიღო და მხოლოდ ამის შემდეგ დაუშვეს ისინი მეფესთან აუდიენციაზე. მიზეზი იგივეა - ნაშროკინის ინტრიგა.

თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ჩამოთვლილი ქვეყნების ელჩების მიღებისაგან.

კრემლში ქართველი ელჩები საელჩო პალატაში ელოდნენ „მეფის ბრძანებას“. მისი მიღების შემდეგ გამოცხადდებოდნენ „ხელმოწერის ოქროს დარბაზში“, სადაც მათ მეფე ელოდა.

დარბაზში ელჩები „შუა კიბით“ მიდიოდნენ. წარუდგენდა ელჩებს სათათბიროს დიაკი ანდრეი შჩელკალოვი, შემდეგში ვასილ შჩელკალოვი, ხოლო 1604 წლიდან ოკოლნიჩი სალტიკოვი. „წარდგენის“ დროს ელჩები მიესალმებოდნენ ჩვეულებრივ „თათარი თარჯიმნის“ მეშვეობით.

მეფე მოიკითხავდა ალექსანდრეს ჯანმრთელობას „დამჯდარი“. პასუხის შემდეგ ქართველი ელჩები მიართმევდნენ მეფეს ალექსანდრეს სიგელს. სიგელს იღებდა სათათბიროს დიაკი.

სიგელის გადაცემის შემდეგ ელჩები „ამბობდნენ სიტყვას“.

შემდეგ მიართმევდნენ ალექსანდრესა და ელჩების საჩუქრებს. აღწერილობის მიხედვით მისართმეველის მიღების შემდეგ მეფე „უბრძანებდა ელჩებს სკამზე დაჯდომას“. ჩვეულებრივ „სკამი“ ისეთივე იყო, როგორც ლიტვის ელჩებისთვის განკუთვნილი.

„ჯდომის“ შემდეგ ელჩებს აუწყებდნენ მეფის წყალობას; მეფე მათ „სურსათს“ უგზავნიდა სპეციალური პირის ხელით. 1589 წ. კახეთის ელჩებს პატივი ჰქონდათ მეფესთან ერთად ესადილათ.

თავის კარზე დაბრუნებისას ელჩები ნადიმობდნენ კრემლიდან გამოგზავნილ პირებთან ერთად. შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება. მოლაპარაკებას ჩვეულებრივ აწარმოებდნენ საელჩო დიაკები და ხაზინადარი.

მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ელჩებს „ითხოვდნენ“. ელჩების გასტუმრება მიმდინარეობდა ისევე, როგორც მიღება, მხოლოდ უფრო საქმიანად. ამჯერად უფრო მეტს ლაპარაკობდა საელჩო დიაკი, რომელიც იღებდა სიგელს, აჯამებდა საქმის შედეგს და აუწყებდა „მეფის წყალობას“.

ამის შემდეგ საქართველოს ელჩები, მოსკოვის პრისტავის თანხლებით, „გამოდოდნენ მოსკოვიდან“. ჩვეულებრივ მოდიოდნენ რუსეთის ელჩებთან ერთად ან ხვდებოდნენ მათ წინასწარ დათქმულ ადგილას. დაცვითა და სურსათით ელჩები უზრუნველყოფილი იყვნენ კახეთის საზღვრებამდე.

საქართველოს ელჩების „მიღებისა და გასტუმრების“ წესებში ჩანს რიგი თავისებურება, რაც კახეთს, გარკვეული თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მდგომარეობას მიუჩენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის. „კახეთის ადგილი“, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის „შუაში“ – „ძმების“ (დასავლეთ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები, სპარსეთი და თურქეთი) და აზიის დამოუკიდებელ, ნახევრად დამოუკიდებელ და სრულიად დამოუკიდებელ ქვეყნებს „შუა“. კახეთი - აზიის ერთადერთი მცირე სახელმწიფოა, რომლის ელჩებს წილად ხვდებათ პატივი:

1. „შეხვედრა“ რუსეთში ყოფნის ყველა საფეხურზე.
2. სკამზე ჯდომის პატივი „მსგავსი ლიტვის ელჩებისა“.
3. მეფის „ხელის ამბორი“.
4. მეფის „სუფრაზე ყოფნა“.
5. მათ მიმართ არ გამოიყენებოდა ისეთი დამამცირებელი წესი, როგორც იყო „ქურქების ჩაცმა“.



ამრიგად, კახეთი რუსეთის თვალში (თუ ვიმსჯელებთ ელჩების „მიღებისა და გასტუმრების“ წესის მიხედვით) არის საერთაშორისო სამართლის სრულყოფილებიანი სუბიექტი, მაგრამ უფრო დაბალი რანგისა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნები; და, რაც მთავარია: კახეთი არ ითვლება რუსეთის შემადგენელ ნაწილად.

ახლა გადავხედოთ კახეთში რუსეთის ელჩების გაგზავნის წესს და მის ორგანიზაციას, აქაც გვხვდება საინტერესო მომენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსკოვში კახეთის ელჩების „მიღება-გასტუმრების“ წესის საფუძველზე ჩვენ მიერ გაკეთებული დასკვნა სავსებით სამართლიანია.

1586-1605 წწ. ყველა ელჩობის ანგარიშების ანალიზის შედეგად შევძელით საკმაოდ დეტალურად შეგვესწავლა საქმის ჩვენთვის საინტერესო მხარე და აქვე, პარალელურად, გამოგვევლინა დამატებითი ელემენტი, რომელიც საშუალებას იძლევა შევადაროთ რუსეთის ორი „ქვეშევრდომის“ - კახეთის და ყაბარდოს - სტატუსები.

მივმართოთ ფაქტებს.

ელჩების გაგზავნის საკითხს მოსკოვის დიპლომატიურ პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. გრიგოლ კოტოშიხინი ელჩების რანგებს სპეციალურ თავს უძღვნის: მოსკოვის ელჩების შესახებ, ვინ რა ჩინითა და პატივით იგზავნება მეზობელ სახელმწიფოებში ელჩებად, დესპანებად და შიკრიკებად<sup>105</sup>.

აი, სკალა, რომელიც ჩვენ გ. კოტოშიხინის მონაცემების მიხედვით მოგვაქვს:

1. საღმრთო რომის იმპერიის იმპერატორს დესპანად იგზავნება „სათათბიროს აზნაურნი ან ოკოლნიჩები და ამხანაგად დიაკი“.

2. შვეციის მეფესა და ირანის შაჰთან - „დიდი ელჩები“ - „ოკოლნიჩები“ (რომელთა გვარები ბოიარებს ეკუთვნის), „ამხანაგებად“ სათათბიროს აზნაურნი ან „სტოლნიკები“ საშუალო გვარისა და დიაკები.

3. პოლონეთის მეფესთან - „დიდი ელჩები“ - დიდი გვარის პირველხარისხოვანი ბოიარები... ან „ოკოლნიჩები“, რომლებიც ბოიარები არიან. „ამხანაგებად“ იგზავნებიან: ბოიარებთან ერთად - „ოკოლნიჩები“, სათათბიროს აზნაურნი, „სტოლნიკები“ და დიაკები, „ოკოლნიჩებთან“ ერთად - სათათბიროს აზნაურნი, „სტოლნიკები“ და დიაკები.

4. ინგლისში - „დიდი ელჩები“ - პირველხარისხოვანი გვარის „სტოლნიკები“, რომლებიც ბოიარები არიან, „ამხანაგებად“ კარგი გვარის აზნაურნი და დიაკები.

5. დანიის მეფესთან და თურქეთის სულთანთან - „ელჩები“, „სტოლნიკები“ და აზნაურნი იმ გვარისა, რომლებიც „სათათბიროს აზნაურები და ოკოლნიჩები არიან“ და მათთან კვლავ აზნაურნი და დიაკები.

6. ანალოგიური ელჩობა იგზავნებოდა გერმანიის „კურფურსტებთან“ და მთავრებთან, აგრეთვე „პოლანდიის შტატებში“.

7. ყირიმის ხანთან და „ყალმიყების ტაიშებთან“ იგზავნებიან „დესპანები“ „საშუალო აზნაურის გვარებიდან და ამხანაგებად პოლიაჩები“ (დიაკის მოადგილე). ელჩებისათვის მიცემული განაწესი მკაცრად მოითხოვდა ელჩებისაგან „არ დაემცირებინათ ხელმწიფის ღირსება“ და მიუთითებდა უცხო ქვეყანაში ქცევის წესებზე. ისევე, როგორც ელჩების - „მიღება-გასტუმრების“ წესში, აქაც ორგვარი „წესი“ იყო შემოღებული. ერთი გამოიყენებოდა დასავლეთის ქრისტიანული

ქვეყნებისა და აზიის დიდი სახელმწიფოების მიმართ, მეორე კი - აზიის შედარებით პატარა პოლიტიკური ერთეულების მიმართ.

მიემართოთ მაგალითებს:

ანალიზი გვიჩვენებს, რომ კახეთში იყვნენ გაგზავნილი: ერთხელ „შიკრიკები“ (1586-1587 წწ.), ოთხჯერ „დესპანები“ (1591-1592, 1593-1594, 1596-1599, 1601-1603 წწ.) და ორჯერ „ელჩები“ (1589-1590, 1604-1605 წწ.).

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „ელჩები“ იგზავნებოდნენ მის შემდეგ, რაც ალექსანდრემ „ფიცის წიგნი“ დადო.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ „დესპანებად“ და „ელჩებად“ გაგზავნილი პირები ცნობილ გვარებს მიეკუთვნებოდნენ. მაგალითად, მთავარი სიმეონ ზენიგოროდსკი, სათათბიროს აზნაური მიხაილო ტატიშჩევი (ცნობილი დიპლომატი - იგნატი ტატიშჩევის შვილი, რომელიც არაერთხელ იყო გაგზავნილი ელჩად პოლონეთში), აზნაური ვასილი პლეშჩევი (ერთ-ერთი წარმომადგენელი იმ გვარისა, რომელიც ღირსი იყო ბოიარებში ყოფილიყო) და სხვანი.

ჩვეულებრივ რუსეთის ელჩები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსკოვიდან მიდიოდნენ ქართველ ელჩებთან ერთად, თუ ისინი ამ დროს დედაქალაქში იმყოფებოდნენ. ჩადიოდნენ ასტრახანში, საიდანაც იწყებოდა მათი გზა კახეთისაკენ.

გზა ასეთი იყო: „ასტრახანი - თერგის ქალაქი - სუნჯის ციხე-ქალაქი - დარიალის ხეობა - „სონის მიწები“ (ე. ი. არაგვის ერისთავის სამფლობელო), ანანურის მარცხნივ, მდინარე ალაზნის სათავეებისაკენ.

ამრიგად, ელჩების გზა მიდიოდა ასტრახანიდან, ჩრდილო კავკასიის ხალხების მიწაზე და უმთავრესად ყაბარდოზე, რომელიც რუსეთის „ქვეშევრდომობაში“ იმყოფებოდა.

ყველა ელჩობას ჰქონდა სპეციალური სიგელები, რომლებიც ავალებდნენ რუსეთის მეფის ქვეშევრდომებს გაეწიათ რუსეთისა და საქართველოს ელჩებისთვის „სამსახური“ და უზრუნველყოთ მათი უშიშროება საქართველოს საზღვრებამდე. ასეთი „სამსახური“ ითვლებოდა ერთგულების საწინდრად.

თავად ზენიგოროდსკისა და დიაკ ანტონოვის ჩანაწერები გვიხატავენ რუსი ელჩების კახეთში „მიღება-გასტუმრების“ წესის ტიპურ სურათს. ამიტომ ჩვენ მას კახეთში მიღებულ საელჩო წესის საფუძვლად მივიჩნევთ და ზოგიერთ ხარვეზს სხვა წყაროებიდან ვავსებთ: 1589 წ. 5 ოქტომბერს რუსი ელჩები მოვიდნენ „ალექსანდრეს მიწაზე“.

7 ოქტომბერს ელჩებს ეახლა „ოკოლნიჩი“ უმან (თავადი ომარი), ალექსანდრე მეფის აზნაურები ას კაცამდე ან მეტი”<sup>106</sup>. ომარმა გამოუცხადა ელჩებს, რომ ალექსანდრემ გამოგზავნა ის და თავისი აზნაურები შესახვედრად და თავისთან მისაცილებლად, მან ბრძანა აგრეთვე სურსათ-სანოვაგითა და საზიდრებით ელჩების სრული უზრუნველყოფა. რუსმა ელჩებმა ომარს პატივი დასდეს და ორჯერ თავისთან კარავში მიიწვიეს. აქ მას „ორი შეხვედრა“ მოუწვეს.

იმავე დღეს ელჩებმა განაგრძეს გზა.

10 ოქტომბერს ელჩებს დახვდნენ ალექსანდრეს მიერ გამოგზავნილი „შემხვედრები“, რომლებმაც ელჩებს ცხენები და სურსათ-სანოვაგე დაახვედრეს. ელჩებმა ესენიც ორჯერ მიიღეს თავის კარავში, თუმც ნაკლები პატივით.

<sup>106</sup> შეხვედრა „ნაგვიანევი“ იყო, რადგან ყაფლანმა გვიან შეატყობინა ელჩების ჩამოსვლა. ჩვეულებრივ ელჩებს უკვე საზღვარზე ელოდნენ „შემხვედრები“ (იხ. , გვ. 35).

იმავე დღეს, უფრო ზუსტად, იმავე დამეს, ელჩები დაბანაკდნენ ალავერდის ტაძართან: ომარმა შეატყობინა მათ, რომ აქ უნდა შეჩერებულიყვნენ მეფის ბრძანებამდე.

13 ოქტომბერს „ელჩები ამ ბანაკიდან მივიდნენ კრიმში“ (გრემში - ლ. ა.) და გაჩერდნენ მისგან ორი ვერსტის მანძილზე. 14 ოქტომბერს ელჩები მივიდნენ გრემში. უმანმა და კირილემ ისინი მალე მოინახულეს და შეატყობინეს, რომ მეფემ მიუჩინა ისინი ელჩებს და სურსათ-სანოვაგით მათი სრული უზრუნველყოფა ბრძანა.

15 ოქტომბერს პრისტავებმა ომარმა და კირილემ შეატყობინეს ელჩებს, რომ აუდიენცია 16 ოქტომბერს შედგებოდა.

ჩანაწერში არ არის აუდიენციის წინა შეხვედრის აღწერა, მაგრამ ამ ხარვეზის შევსება შეიძლება 1599 წლის „მიღების“ ანალოგიით.

ომარი და კირილე 16 ოქტომბერს ეახლნენ ელჩებს „მეფის ბედაურებით“. ელჩობა დაიძრა მეფის რეზიდენციისაკენ შემდეგი რიგით: წინ მიდიოდნენ „სტრელცები სიათებით“, მათ შემდეგ მიჰქონდათ „ძღვენი“ „სრულიად რუსეთის მეფისა“, შემდეგ მიდიოდნენ ელჩები პრისტავების თანხლებით.

ალექსანდრეს რეზიდენციასთან, როგორც ჩანს, იყო სამი შეხვედრა: „ალაყაფის კართან“, „ეზოში შესვლისას“ და „დარბაზის წინ“. ელჩებს ხვდებოდნენ წარჩინებულნი.

მეფე შეხვდა ელჩებს თავის დიდებულებთან ერთად. მოსკოვის მეფის „ტიტულისა და სახელის“ ხსენებისას ალექსანდრე ადგა და თავი დაუკრა „ქუდის მოუხდელად“<sup>107</sup>.

ელჩები „მიესალმნენ“, სიტყვა წარმოთქვეს, გადასცეს სიგელები, მეფის ბრძანების შესაბამისად, ჩამოტანილი ძღვენი სახაზინოს მიართვეს სიით.

სიგელები ალექსანდრემ სახესთან მიიტანა, ეამბორა და გვერდით დაიდო.

ელჩობის შემდეგ მეფე დაბრძანდა და ნება უბოძა ელჩებს ხელზე მთხვეოდნენ, შემდეგ ხელმარჯვნივ დაისვა. ელჩები დასხდნენ და ცოტა ხნის შემდეგ თავის ბანაკში წავიდნენ. ელჩების გაცილებისას თავადებმა ყაფლანმა და ხურშიტმა თქვეს: დღეს ყველანი მეფესთან დაპატიჟებულნი ხართ წვეულებაზეო.

იმავე დღეს, მეფესთან სადილის შემდეგ, დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის ელჩებსა და მეფის მოძღვარ არქიმანდრიტ ფილიპეს, ომარსა და კირილეს შორის შამხლის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების შესახებ. ფილიპე და მისი ამხანაგები რამდენიმეჯერ ეახლენ მეფეს მოხსენებით. ალექსანდრე მოითხოვდა შამხლის წინააღმდეგ რეალურ დახმარებას. 12 ოქტომბერს მეფემ მიიღო რუსეთის ელჩები და დაუინებით მოითხოვა დახმარება შამხლის წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სთხოვა ელჩებს შეეტყობინებინათ ამის შესახებ რუსეთის მეფისათვის.

შემდეგ კვლავ დაიწყო მოლაპარაკება ელჩებსა და კახეთის მეფის წარმომადგენლებს შორის.

მოლაპარაკების დამთავრებისას ალექსანდრემ გადაწყვიტა მოსკოვში თავისი ელჩები გაეგზავნა. აქ აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ მის სიტყვებს, წარმოთქმულს 1589 წ. 20 აპრილს: დიდმა ხელმწიფემ გამომიგზავნა თავისი დესპანები როდიონ ბირკინი და პეტრე პივოვი და მეც გაუგზავნე დიდ ხელმწიფეს ასეთივე წოდების კაცები... ყაფლანი თავისი ამხანაგებით. ხოლო, რაკი დიდმა

<sup>107</sup> ხვა შემთხვევაში ალექსანდრე „დგებოდა ელჩების შესვლისთანავე და იხიდა ქუდს“ (იხ. , გვ. 256).

ხელმწიფემ პატივი დამლო და გამომიგზავნა დიდი ელჩები, მეც ვუგზავნი ამის საპასუხოდ ჩემს ახლო კაცს, დიდგვაროვან სულიძან მთავარს<sup>108</sup>.

10 მაისს შედგა „გასტუმრება“. გასტუმრების დროს ალექსანდრემ დარბაზიდან დაითხოვა ყველანი რუსეთში გასაგზავნი ელჩების – „სულიძანისა და ოკოლნიხი უმანის“ – გარდა და ჰქონდა ელჩებთან საუბარი საქართველოს სხვა მიწების ბედის ესახებ. 14 მაისს რუსი ელჩები წავიდნენ ქართველი ელჩების თანხლებით.

რა მსგავსებაა ამ ურთიერთობაში სიუზერენულ-ვასალურ დამოკიდებულებასთან, მისი როგორც რუსული, ისე ქართული გაგებით? იქნებ ფორმა? მართლაც ცალკეული მომენტები (ბეჭდის კოცნა-ამბორი და სხვ.) ვასალიტეტიდან არის ნასესხები. სამაგიეროდ არ გვხვდება ვასალიტეტის დამახასიათებელი ნიშანი – მონური ქედმოხრა ელჩის წინაშე, რაც ესოდენ კარგად იყო ცნობილი როგორც მოსკოვში, ისე კახეთში.

აი, ორი მაგალითი: ელჩ ნაშჩონკინისა და ლეონტიევის საჩივრის თანახმად, მათ კახეთში ყოფნის დროს თურქეთის ერთ-ერთი ოლქის ფაშა ქაიხოსრო ჩამოვიდა და ნადიმობდა მეფესთან მთელი ამ დროის მანძილზე. თავის შვილს, მეფისწულ იურის, ალექსანდრე სვამდა ფაშას შემდეგ... ხოლო თურქეთის ჩუში (ელჩი – ლ. ა.) თავხედურად იჯდა რუსეთის ელჩების აუდიენციის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ელჩები ითხოვდნენ მეფესთან ჩუშის გარეშე შეხვედრას.

1605 წ. მეფე ალექსანდრე დაბრუნდა ირანიდან (სადაც ასრულებდა სამსახურის მოვალეობას) და გადაწყვიტა მიეღო რუსეთის ელჩობა თავად ტატიშჩევის მეთაურობით. მაგრამ, 12 მაისს დილით მეფეს მისაღები აღმოჩნდა დაკავებული ყიზილბაში ხანებისა და სულტნების მიერ (რომლებიც ჩამოვიდნენ ალექსანდრესა და მის რენეგატ შვილთან კონსტანტინესთან ერთად ირანიდან – ლ. ა.). „და მათი დათხოვნა (მეფემ – ლ. ა.) ვერ მოახერხა და ვერც გაბედა“.

კიდევ ერთი ეპიზოდი: ყაზარდოელი მთავრის ალკასის ტერიტორიაზე უბრალო შიკრიკმა პივოვმა და ბირკინმა მოითხოვეს ალკასისაგან, რომ ის თვითონ ხლებოდა მათ: ალკასი ეახლათ, კარავთან მისვლამდე ჩამოვიდა ბედაურიდან და როდიონმა და პეტრემ უბრძანეს ასისტავსა და თარჯიმანს შეხვედროდნენ მთავარს. როდესაც შემოვიდა კარავში, როდიონმა და პეტრემ მეფის სალამი და მოკითხვა გადასცეს, აგრეთვე მეფის სიგელი და ქურქი<sup>109</sup>.

სახეზეა ნამდვილი აღმოსავლური სიუზერენულ-ვასალური ურთიერთობა, ანალოგიური ქართულ-ირანულისა, სრულიად განსხვავებული იმ წესისაგან, რაც გამოიყენებოდა კახეთისა და რუსეთის ურთიერთობისას.

განვიხილოთ კახეთისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის რამდენიმე ეპიზოდი.

ალექსანდრეს დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ, ეომა შამხლის წინააღმდეგ და „გაეთავისუფლებინათ გზა და ივერთა მიწა“, თევდორე ივანეს ძემ გაგზავნა ვოვეოდა ზასეკინი მცირე რაზმით, რომელსაც ყაზარდოელებთან ერთად უნდა აეძულებინათ შამხალი დამორჩილებოდა. თევდორე უთვლიდა ალექსანდრეს: მოწყალედ მოვისმინეთ შენი თხოვნა და საამოდ გავაკეთეთ. შენ და მთელ შენს ივერთა მიწას წყალობა ვუქენით - ვბრძანეთ მთის ხალხისაგან, შამხლის

<sup>108</sup> , . 163-164, 166, 204.

<sup>109</sup> , . 381, 484.

მთავრისაგან დაცვა და ჩვენი ჯარი... გავაგზავნეთ... მის წინააღმდეგ: გზა თერგიდან შენს ივერთა სახელმწიფომდე ვბრძანეთ შამხლისაგან გაეწმინდათ<sup>110</sup>.

მართლაც, 1591-1592 წწ. სამთარში ზასეკინი იბრძოდა შამხლის წინააღმდეგ. ოპერაცია ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო, რადგან მოსკოვს ადგილი გამარჯვების იმედი ჰქონდა. ზასეკინის ამოცანა ის იყო, რომ „შეეშინებინა“ შამხალი და აექულებინა მორჩილებისათვის.

შამხალი ადვილად შესაშინებელი არ აღმოჩნდა და უარი განაცხადა მორჩილებაზე. ზასეკინმა ვერაფერი გააწყო<sup>111</sup>. ეს ხელს არ აძლევდა ალექსანდრეს, რადგან საჭირო იყო უშიშროების უზრუნველყოფა თერგის ციხე-ქალაქში მიმავალ გზაზე. ამის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ შამხლის სრული დამარცხებით, თერგის ციხე-ქალაქის აღებით და ამ გზის სახიფათო ადგილებზე კონტროლის დაწესებით.

1593 წ. მაისის სიგელში ალექსანდრე აცნობებს თევდორეს თავის გეგმას და აღნიშნავს, რომ იგი დაკავშირებულია ყირიმ-შამხალთან (ალექსანდრეს რძლის მამასთან, შამხლის ერთ-ერთ მეტოქესთან), რომელსაც ყუმიყთა მიწების ნახევარი ემორჩილებო.

მოსკოვი ამ დროს შამხლის სამთავროს დაპყრობით არანაკლებ იყო დაინტერესებული, ვიდრე ალექსანდრე. ამიტომ გაიგზავნა ჯარი ვოევოდა ხვოროსტინინის მეთაურობით. ამჯერად შემუშავებული იყო ფართო სამხედრო კამპანიის გეგმა, რომელსაც საფუძვლად დაედო ალექსანდრეს წინადადება: ჩრდილოეთიდან უტევეს რუსეთის ჯარი, სამხრეთიდან ყირიმ-შამხალი, კახეთის ჯარები, უფლისწულ გიორგის (იურის) ხელმძღვანელობით.

1594 წ. ხვოროსტინინმა კოისუს სათავეებში ძლიერი სიმაგრე ააგო (1000 „სტრელეცისაგან“ შემდგარი გარნიზონით), შეუტია და აიღო თარღუ (ტარკი), მაგრამ მალე დამარცხდა და დაბრუნდა თერგის ციხე-ქალაქში. მოსკოვი ლაშქრობის დამარცხებას ალექსანდრესა და მის მოკავშირე ყირიმ-შამხალს მიაწერდა, რომელთაც თითქოს შეთანხმება დაარღვიეს და თავისი ჯარები არ გამოგზავნეს“.

1596 წ. (ივნისი) სიგელში თევდორე ივანეს ძე საყვედურობდა ალექსანდრეს უმოქმედობას - რისთვისდა ითხოვე დახმარებაო.

ალექსანდრე კი პასუხობს: „ 12 ,  
;  
,  
,  
...  
,  
,  
,  
... (, „ – . )  
:  
,  
“112.

<sup>110</sup> , . 241.

<sup>111</sup> ეს ბრძოლა მშვენივრად არის გაშუქებული ნ. ბერძენიშვილის მიერ შრომაში „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI -XVII საუკუნეების მიჯნაზე“.

<sup>112</sup> , . 266-267.

ეს სიგელი მიღებული იყო უკვე ახალი მეფის ბორის გოდუნოვის მიერ, რომელიც 1588 წლიდან კარგად იცნობდა კახეთის საქმეებს, რადგან ჯერ კიდევ თევდორეს დროს იგი პირადად იყო პასუხისმგებელი კახეთ-რუსეთის ურთიერთობაზე. მეფე ბორისი, როგორც ცნობილია, დიდ ყურადღებას აქცევდა კავკასიის საქმეებს. მის დროს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა.

მან ერთი სიტყვითაც არ გაიხსენა 1593-1594 წწ. ოპერაციის მარცხი და ცდილობდა აეცილებინა მოსალოდნელი განხეთქილება. ნაშროკინისა და ლეონტიევის (1601-1603 წწ.) ელჩობის მიზანი იყო ახალი ხელშეკრულებით განემტკიცებინათ კავშირი და შეპირებოდნენ ალექსანდრეს ქმედით დახმარებას შამხალთან ბრძოლაში. განაწესებისა და სიგელების კილო კვლავ გამოირჩევა ზრდილობითა და პატივისცემით, რაც ესოდენ უცხოა როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სუბერენულ-ვასალური ურთიერთობისათვის.

1604 წ. მოსკოვის სახელმწიფომ გადაწყვიტა საბოლოოდ გაენადგურებინა შამხალი, რადგან რუსეთის პოზიციებს კასპიისპირეთში არა მხოლოდ თურქეთი ემუქრებოდა, არამედ რუსეთის „მოკავშირე“ ირანიც, რომელიც თავისი ვასალის (შამხლის) მეშვეობით ცდილობდა ხელი შეეშალა რუსეთის წინსვლისათვის სამხრეთისაკენ. გადაწყდა ამ საქმეში ალექსანდრეც ჩაებათ: ბუტურლინისა და პლეშჩევის ჯარი ილაშქრებდა შამხალზე ალექსანდრეს თხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ უკანაკნსელი თავის 1603 წლის 26 მარტის სიგელში თერგის ვოევოდა ტრახანიოტოვის სახელზე იუწყებოდა ლეკებთან და შამხალთან დაზავების ამბავს.

ყურადღებას იპყრობს ტატიშჩევისა და ივანოვისათვის მიცემული „ნაკაზში“ ერთი ადგილი: რადგანაც საფიქრებელი იყო, რომ ალექსანდრეს შეიძლებოდა ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა (იგი ხომ უკვე „დაზავებული“ იყო), ელჩებს უნდა ეთქვათ, რომ ამის შესახებ ჩვენი დიდი ხელმწიფისათვის ცნობილი არ იყო, რომ შამხალი და ალექსანდრე შერიგდნენო. ეს რომ მეფის უდიდებულესობას სცოდნოდა, შამხლის წინააღმდეგ თავის ჯარს არ გაგზავნიდა. ამჟამად კი მეფე ალექსანდრემ თავისი ნათქვამი აღარ უნდა გადათქვას, აკი თავისი ელჩის – ბერი კირილეს (1603 წ. – ლ. ა.) – პირით შემოგვითვალა, სიგელში ჩაწერა და ზეპირად ბრძანა, და შამხლის წინააღმდეგ ჯარი გაგზავნოს.

მართლაც, ირანში წასული ალექსანდრეს ნაცვლად საქართველოში დარჩენილი მეფისწული გიორგი უარს ამბობდა შამხლისა და ყუმიყების წინააღმდეგ ბრძოლაზე და დარუბანდის აღებას ურჩევდა რუსეთს.

რუსეთის ელჩები თავის მხრივ პასუხობდნენ: ხელმწიფე დიდიხანია დერბენდს, შემახსა და ბაქოს აიღებდა, მაგრამ არ იღებს, რადგან ისინი ყიზილბაში შაჰისაა. როდესაც სულეიმანმა (რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა გიორგის სახელით) შეცვალა გეგმა და ითხოვა თერგის გარნიზონის ჯარისკაცების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შაჰ-აბასის მიერ დამარცხებული ოსმალები უკან დახევისას კახეთში შემოიჭრებოდნენ, ელჩებმა უპასუხეს: ადრე ამის შესახებ მეფე ალექსანდრეს ხელმწიფისათვის არ უთხოვია, და ჩვენ მეფის ბრძანება არა გვაქვს, გარდა ამისა, როგორ მოასწრებს მეფის ჯარი აქ მოსვლასო<sup>113</sup>.

მდგომარეობა საკმაოდ მალე შეიცვალა. შამხალმა და ყუმიყელებმა კვლავ დაიწყეს კახეთის აწიოკება რუსეთის ჯარის „გამოძახების“ მიზეზით. აღმოსავლეთიდან კახეთს მოადგნენ შემახიდან უკან დაწეული თურქეთის ჯარები. ამჯერად გიორგიმ ელჩების თანხმლებ „სტრელცების“ რაზმთან ერთად დაამარცხა თურქები და შეუტია ყუმიყელებს. ორივე ბრძოლა დამთავრდა კახეთ-რუსეთის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებით (ეს მოხდა 1604 წ. 7-8 ოქტომბერს).

სხვაგვარი დასასრული ჰქონდა ბუტურღინის ლაშქრობას: 1604 წ. ოქტომბერში გიორგის წარმატებასთან ერთად ბუტურღინმა დიდ წარმატებას მიაღწია შამხლის წინააღმდეგ ბრძოლაში, აღებულ იქნა არა მხოლოდ ტარკი, არამედ აშენდა კიდევ ორი სიმაგრე, მაგრამ 1605 წ. მოწინააღმდეგეთა გაერთიანებულმა ჯარმა დაამარცხა რუსეთის ლაშქარი, ხელთ იგდო სუნჯისა და კოისუს ციხე-ქალაქები. რუსეთს დარჩა მხოლოდ თერგის ციხე-ქალაქი<sup>114</sup>.

აი, რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის პირობებს ამგვარად იყენებდნენ. როგორც ვხედავთ, აქაც მფარველსა და პროტექტეს შორის დამყარებული ურთიერთობა დამოკიდებული სახელმწიფოს სუვერენული უფლებების პატივისცემაზეა დაფუძნებული, არ გვხვდება „ბრძანებები“ დაუყოვნებლივი დახმარების შესახებ. პირიქით, რუსეთისათვის აუცილებელი სამხედრო ოპერაციებიც კი, კავკასიაში რუსეთის პოლიტიკის შესაბამისად, წარმოდგენილია როგორც დახმარება კახეთისათვის.

შევადართ ეს სურათი ყაზარდო-რუსეთის ურთიერთობას. აქ არა მხოლოდ მეფე, არამედ თერგის ვოევოდებიც ბრძანებენ „სამსახურის გაწევას“, „ჯარის გამოგზავნას“ და არა მხოლოდ შამხლის, არამედ შვედებისა და დასავლეთის სხვა მტრების წინააღმდეგ. ეს მაგალითიც საკმარისია, რომ სწორად შევაფასოთ რუსეთ-საქართველოს კავშირი.

ანალოგიური სურათი გვაქვს აგრეთვე კახეთის საგარეო ქმედუნარიანობის მხრივ. კახეთი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია, რომელიც სარგებლობს ელჩობის აქტიური და პასიური უფლებით. რუსეთის ელჩების განაწესებში მითითებულია: ალექსანდრესთან აუდიენციის დროს დარბაზში არ უნდა ყოფილიყვნენ სხვა სახელმწიფოების ელჩები ან დესპანები<sup>115</sup>.

კახეთს აქვს უფლება კავშირი დაამყაროს ვისთანაც ნებავს, ოღონდ მოსკოვის სახელმწიფოს ამით ზიანი არ მიაყენოს.

\* \* \*

ამგვარად, XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, როგორც ვხედავთ, კახეთს უკავია მეტად თავისებური მდგომარეობა; იგი დამოკიდებულია სამ სახელმწიფოზე: ალექსანდრე II ირანის ვასალია, თურქეთის მოხარკე და მოსკოვის პროტექტე. შაჰიც, სულთანი და მეფეც თვლიან კახეთს „ქვეშევრდომ“ ქვეყნად, ოღონდ სხვადასხვა პოზიციებიდან. შაჰისათვის კახეთი „მულქი მოურუსია“, რომლის მეთაური ტახტის „მონაა“, მაგრამ ინარჩუნებს სუვერენული უფლებების ყველა პრეროგატივას. სულთანი ხედავს კახეთში „მოხარკეს“, რომელიც ინარჩუნებს

114 , . XIV, . I, . 57-58.

115 , . 205-206.

სრულ დამოუკიდებლობას. ხარკი ჩაგვრისაგან თავდაღწევის საშუალებაა. მეფე – „დიდი ქრისტიანი ხელმწიფე“, „რწმენის დამცველი“, „მფარველი“ – კახეთში ხედავს სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც იხდის ხარკს მფარველობის სანაცვლოდ და აღიარებს მოსკოვის ჰეგემონიას სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში.

სამივე ქვეყნამ კარგად იცის საქმის ვითარება, მაგრამ, როგორც ჩანს, ურიგდებიან არსებულ მდგომარეობას.

პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ჯერჯერობით არც ერთს არ აძლევს უპირატესობას. ამ სიტუაციაში კახეთის საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობა განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს, ყოველი დიდი სახელმწიფო ზუსტად იცავს თავის უფლებებს, რათა არ დააფრთხოს, არ ააღებინოს კავშირებზე ხელი დამოკიდებულ ქვეყანას. ბრწყინვალე პოლიტიკოსი ალექსანდრე II მოხერხებულად იყენებს შექმნილ სიტუაციას და თვრამეტი წლის განმავლობაში ინარჩუნებს სახელმწიფოში შედარებით სიმშვიდეს. მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. თითოეული დიდი სახელმწიფო, პირველ ყოვლისა რუსეთი და თურქეთი, ადრე თუ გვიან ეცდებოდა განემტკიცებინა თავისი პოზიციები კახეთში. ამის გარეშე რუსეთი ვერ შეძლებდა ამიერკავკასიაში შესვლას, თურქეთი ვერ გაამაგრებდა კასპიისპირეთის გარნიზონების ზურგს, ირანი კი ვერ შეძლებდა თურქეთის გაძევებას და საქართველოში განმტკიცებას. ჯერჯერობით კი, XVI-XVII საუკუნის მიჯნაზე, რუსეთი და ირანი დაძაბულ დიპლომატიურ ბრძოლაში არიან ჩათრეული, მაშინ როდესაც ისინი თურქეთისა და მისი ვასალების წინააღმდეგ ბრძოლის პოტენციური მოკავშირენი იყვნენ. ჩვენ უნდა შევჩერდეთ რუსეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ეპიზოდზე, რადგან აქ, როგორც სარკეში, ჩანს მხარეთა შეხედულება კახეთის სამართლებრივ მდგომარეობაზე.

1587-1605 წწ. კახეთის სტატუსის ოფიციალური ვერსია საკმაოდ დაწვრილებით არის გაშუქებული ირანში გაგზავნილი რუსეთის ელჩების განაწესში. ყველგან აღნიშნულია, რომ მეფე ალექსანდრე მთელი მიწა-წყლით, თავისივე თხოვნით, იმყოფება „დაცვაში“, დადებული აქვს სამხედრო ხელშეკრულება თურქებისა და შამხლის თავდასხმებისგან ქრისტიანული სარწმუნოების გადასარჩენად.

თავის მხრივ შაჰი არა ერთხელ ამბობდა: ქართველი მთავრები ძველთაგან ჩვენი ქვეშევრდომები იყვნენო. მაშასადამე, მოსკოვს არ ჰქონდა მფარველობის ის უფლება, რომელსაც ირანი სიუზერენიტეტად თვლიდა. ამასთან ერთად, არც მოსკოვი იჩემებდა თავის სიუზერენიტეტს და ხაზს უსვამდა კახეთ-რუსეთის კავშირის რელიგიურ ხასიათს. ამავე დროს იგი უარყოფდა ირანის სიუზერენიტეტს კახეთის მიმართ<sup>116</sup>.

ამრიგად, მოსკოვს კარგად ესმოდა კახეთის სტატუსი ირანის მიმართ და თავისებურად განმარტავდა მოვლენებს: ირანს არ ჰქონდა უფლება კახეთზე, რადგან ეს უკანასკნელი ყოველთვის დამოუკიდებელი იყო. მხოლოდ თურქეთის შიში აიძულებდა მას მიეღო შაჰის მფარველობა (და არა სიუზერენიტეტი). ხოლო, როდესაც თურქებმა მოკვეთეს კახეთი (1578-1590 წწ.) და ირანმა კახეთი თურქეთისაგან არ დაიცვა, მფარველობის ხელშეკრულებამ შეწყვიტა თავისი მოქმედება. მაშასადამე, კახეთი ირანისაგან თავისუფალი ქვეყანაა, რომელიც „იძულებით“ თურქეთზეა დამოკიდებული; „მესამე რომის“ ვალია გაუწოდოს ხელი

116 , . 563, 568-569, 570, 573-574.



კახეთს, რადგან იგი ქრისტიანული ქვეყანაა და თუ არა მოსკოვი, სხვა ვინ დაიცავს მას მტრებისაგან.

აქ კი უკვე რუსეთ-ირანის ურთიერთობის ისტორიის საინტერესო ეპიზოდია, რომლის ცენტრში დგას ალექსანდრე მეფის ვაჟიშვილი კონსტანტინე<sup>117</sup>.

ბორის გოდუნოვის სიგელში, რომელიც შაჰ-აბასს გაეგზავნა (1594 წ.), ნათქვამია: „ ...

”<sup>118</sup>.

აქ რამდენიმე მომენტი იპყრობს ყურადღებას.

ა) მოსკოვი თვლის კახეთს არა ირანისათვის დაქვემდებარებულ ქვეყანად, არამედ მისდამი დაპირისპირებულ ძალად, რადგან შაჰს ალექსანდრეს შვილი მძევლად ჰყავს, რათა კახეთი მასთან დაზავებული იყოს, არა როგორც „ხელქვეითი“, არამედ „სახმედრო მოკავშირე“, არა „ერთიანობაში“, არამედ „მშვიდობიან ურთიერთობაში“.

ბ) ალექსანდრე „ერთგული იქნება“, ე. ი. არ გატეხს თავის სიტყვას თავდაუსხმელობის შესახებ, სანამ აბასი „მეგობრობით და სიყვარულით“ იქნება მოსკოვის მეფესთან.

გ) კახეთი იმყოფება დიდი ქრისტიანული სახელმწიფოს მფარველობაში და სხვას არც არავის აქვს პრეტენზიის უფლება.

ამ მდგომარეობის განმტკიცებას ემსახურებოდა მოსკოვის სამეფო კარის გეგმა, როცა იგი ცდილობდა, რომ შაჰის მიერ მძევლად წაყვანილი კონსტანტინე მისთვის მიეცათ. როგორც სამართლიანად მიუთითებს აკად. ნ. ბერძენიშვილი, ეს იქნებოდა შაჰის მხრიდან „კახეთზე ოფიციალური უარის თქმა“.

ჩვენმა ისტორიკოსებმა უკვე დაადგინეს, რომ ამ პერიოდში მოსკოვი არ ცდილობდა მძევლის აყვანას რუსეთ-კახეთის კავშირის უზრუნველსაყოფად. კონსტანტინეს დახსნა მიზნად ისახავდა მოესპო შაჰ-აბასისათვის ალექსანდრეზე ზემოქმედების საშუალება და, რაც მთავარია, თავიდან აეცდინა საშიშროება რომ კახეთის ტახტს გამაჰმადიანებული უფლისწული დაიკავებდა.

შაჰ-აბასი მიუხვდა ამ გეგმას და მისთვის ჩვეული ვერავობით შემდეგი სცენა გაითამაშა: მიიღო ისეთი სახე, თითქოს „ძმური სიყვარული“ ამოძრავებდა

<sup>117</sup> 1578 წ., თურქეთთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, თამაზმა მოსტხოვა ალექსანდრეს მძევალი, რათა ამით თავი დაეზღვია, ალექსანდრეს თურქების მხარეზე ომში მონაწილეობა არ მიეღო.

<sup>118</sup> ... ( . ), . I, . 237.

რუსეთისადმი და მზად იყო გადაეცა კონსტანტინე. ამიტომ მან ჰკითხა აქვე მდგომ უფლისწულს მისი თანხმობის შესახებ. კონსტანტინემ გადაჭრით უარი თქვა მოსკოვში წასვლაზე. მაშინ შაჰმა ურჩია ზვენიგორდსკის ფარულად შეხვედროდა და მოლაპარაკებოდა უფლისწულს.

კონსტანტინემ შეხვედრაზე უარი თქვა და ელჩებს გადასცა, რომ ღმერთმა მომისაჯაო ხოლოჰად აქ ყოფნა. ელჩების შემდგომი ცდები დაეყოლიებინათ იგი, უშედეგო გამოდგა. შაჰ-აბასმა აგრძობინა მათ, რომ იგი არ აპირებდა მთლიანად უარი ეთქვა კახეთზე, უჩიოდა ალექსანდრეს არასწორი საქციელის გამო: იგი არა მხოლოდ მოსკოვს „პირდება“ ერთგულებას, არამედ მასაც – შაჰს, ხოლო თურქეთს კი ფარულად 30 საპალნე აბრეშუმს უგზავნის.

ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი დეტალი: შაჰის კაცები და თვით შაჰი ჩივიან ზვენიგორდსკისთან, რომ ალექსანდრემ მრავალი უხეშობა და უსამართლობა ჩაიდინა – (შაჰის – ლ. ა.) დესპანი მოკლა და ელჩი დააპატიმრა, ადრე კი ალექსანდრე (შაჰის – ლ. ა.) მოხარკე იყო.

რუსეთის კარს კიდევ ერთხელ აგრძობინეს, რომ კახეთი ოდითგანვე შაჰის ვასალი იყო, ხოლო ამჯერად ურჩობის გზას დაადგა.

ზვენიგორდსკი კი მშვიდად პასუხობს: ჩვენმა მეფემ არ უწყის, თუ ალექსანდრე ასე უკმეხად გეპყრობა შენ – შაჰის უდიდებულესობას, ხოლო რაც აქ მოვისმინე, შევატყობინებ ჩემს ხელმწიფესო. სხვა შემთხვევაში კი რუსი ელჩი დასძენს: „Олександрю, чаю за то и не пробудет от великого государя нашего“<sup>119</sup>. ამაზე შაჰმა და შაჰის კაცებმა აღარა თქვეს რა.

რუსეთის ელჩმა, როგორც ვხედავთ, მოურიდებლად მიახვედრა ირანი, რომ მოსკოვი თავის თავზე იღებს თავისი პროტეჟეს – ალექსანდრეს მოქმედებაზე მთელ პასუხისმგებლობას. მან ვითომ ვერც გაიგო შაჰის გადაკვრით ნათქვამი – კახეთი ადრე ჩვენი მოხარკე იყო – და დაუფარავად აგრძობინა, რომ მოსკოვი მტკიცედ ღვას თავის პოზიციასზე, და არ ცნობს ირანის სიუხერენიტეტს კახეთზე.

დიპლომატიური მიმოწერა სრულიად აშკარად მიუთითებს, რომ რუსეთის მეფეები უარყოფენ თავის სიუხერენულ უფლებას კახეთზე, მაგრამ არც ირანის ამგვარ უფლებას აღიარებენ, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი დაჟინებით აცხადებს კახეთზე პრეტენზიას.

უფრო სხვაგვარად მოჩანს კახეთ-თურქეთის ურთიერთობა მოსკოვისა და ბრწყინვალე პორტას დიპლომატიურ მიმოწერაში. 1593 წელს კონსტანტინოპოლში გაგზავნილ რუსეთის ელჩ ნაშჩოკინს ნაბრძანები ჰქონდა ასეთი პასუხი გაეცა კახეთის საკითხთან დაკავშირებით: ალექსანდრე ოდითგანვე აღიარებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, მან გაგზავნა თავისი ელჩები მოსკოვში, რათა ხელმწიფეს გაეგზავნა მასთან სწავლული ადამიანები რწმენის გასამტკიცებლად და ნება მიეცა (რუსეთის მეფის – ლ. ა.) კაცებისათვის ევაჭრათ მის სახელმწიფოში; გარდა ამისა, მეფე ალექსანდრე თხოვს ჩვენს ხელმწიფეს მიიღოს იგი თავის ხელქვეშ. ნაშჩოკინს უნდა ეთხოვა, რომ თურქებს არ განედევნათ ქრისტიანობა ივერიის მიწაზე, რაც შეეხება ხარკს, რომელსაც ალექსანდრე სულთანს უხდიდა, ამაზე ელჩს უნდა ეთქვა: „კვლავაც იხადოს“<sup>120</sup>.

119 ... ( . ), . I, . 264, 276.

120 . . , XVI-XVII , . I, 1946, . 144.

„პიატიგორსკელ და ყაბარდოელ ჩერქეზებთან“ ურთიერთობის ფორმულირების დროს კი გამოყენებული იყო ტერმინოლოგია, რაც ერთი წლის შემდეგ ირანში გაგზავნილი ანდრეი ზვენიგოროდსკის განაწესშიც იხმარებოდა<sup>121</sup>.

ამ შემთხვევაში მოსკოვი განსაზღვრავს კახეთ-რუსეთის კავშირს, როგორც „მფარველობით ხელშეკრულებას ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად“, მაგრამ, განსხვავებით ირანისაგან, ცნობს სულთნის სიუზერენიტეტის უფლებას კახეთზე. აქ მოსკოვის სამეფო კარი ნიღბავს კახეთ-რუსეთის კავშირის ნამდვილ ბუნებას, რადგან ერიდება თურქეთის არასასურველ რეაქციას, ხოლო სხვაგვარად და მასთან საუბრის დრო ჯერ არ დამდგარა.

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რუსეთის მეფის მიერ დასავლეთის ქვეყნებში გაგზავნილ სიგელებში ალექსანდრე ნახსენებია „მთიელთა და ჩერქეზთა მთავრებთან“ ერთად, როგორც მოსკოვის „მსახური“ „ხარკის გადამხდელი“ ქვეყანა. რასაკვირველია, აქ ოცნება სინამდვილედ არის წარმოდგენილი, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ ის სტატუსი, რომელიც რუსეთს ყველაზე სასურველად მიაჩნდა „ახლადშექმნილ ქვეყნებთან“, და მათ შორის კახეთთან, ურთიერთობაში. სურვილის განხორციელებისათვის კი ჯერჯერობით ძალები არ იყო საკმარისი.

\* \* \*

კახეთ-რუსეთის 1587-1589 წწ. ხელშეკრულების განსაზღვრა როგორც „ქვეშევრდომობა ვასალიტეტის მნიშვნელობით“ (კარამზინი, სოლოვიოვი, იუშკოვი, ივ. ჯავახიშვილი), „ვასალიტეტი და პროტექტორატი“ (ზ. ავალიშვილი, მ. ხელთუფლიშვილი), „მფარველობა – ვასალიტეტი“ (ნ. ბერძენიშვილი) საეჭვო ხდება, ზემოთქმულიდან გამომდინარე. სინამდვილეს უფრო უახლოვდება ნ. კორკუნოვი, რომელიც ხედავს კახეთ-რუსეთის კავშირში პროტექტორატს. მაგრამ მისი პოზიცია სავსებით თანმიმდევრული არ არის. პროტექტორატის სპეციფიკას იგი ხედავს პროტექტორის მოვალეობაში დახმარება გაუწიოს პროტექტს, განსხვავებით ვასალიტეტისაგან, სადაც ვასალური მთავრობა თვით ვალდებულია დახმარება გაუწიოს თავის სიუზერენს. ავტორი იყენებს XIX საუკუნის პროტექტორატის ცნებას და ივიწყებს, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში მფარველობითი ხელშეკრულება დამხარების აღმოჩენას მოითხოვს ორივე მხარისგან, თანაც სუსტისაგან უფრო მეტს, ვიდრე – ძლიერისაგან. თუ ნ. კორკუნოვის პოზიციაზე დავდგებით, მაშინ 1587-1589 წწ. ხელშეკრულება არ შეიძლება ჩავთვალოთ პროტექტორად, რადგან იგი აკისრებს ალექსანდრეს მთელ რიგ მისთვის საძნელო მოვალეობას.

არ შეიძლება დავეთანხმოთ ზ. ავალიშვილს, რომელიც თვლის, რომ ვასალური დამოკიდებულება, რომელსაც საქართველოს მისი ნების გარეშე ახვევდნენ თავს აღმოსავლეთის მტრული ქვეყნები, – არის ის ფორმა, რომლითაც საქართველო, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, დაუკავშირდებოდა ისეთ ერთმორწმუნე და მეგობრულ სახელმწიფოს, როგორც იყო რუსეთი.

ალექსანდრე მეფე, პირიქით, ყველანაირად ერიდებოდა ურთიერთობის ამ ფორმას, მის თვალსაჩინო ატრიბუტებს, რომლებიც მორჩილების სიმბოლო იყო: ინვესტიტურა, სამსახური, ხარკი. ამისაგან თავს იკავებდა რუსეთიც, რომელიც ცდილობდა კახეთი არ დაეფრთხო. ზემოთ ჩვენ მიერ ნაჩვენები იყო კახეთ-

რუსეთისა და კახეთ-ირანის (კახეთ-თურქეთის) საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობის სხვაობა, რომელიც ნათლად ჩანს დიპლომატიურ ცერემონიალში. აქ განხილული ეპიზოდები უარყოფენ ზ. ავალიშვილის თეზისს. რუსეთ-კახეთის დამოკიდებულებაში XVI საუკუნის დასასრულსა და XVII საუკუნის დასაწყისში ფეოდალიზმის გადმონაშთების, კერძოდ, ვასალიტეტის ცალკეული ელემენტების არსებობის, გენეზისი რუსეთისა და კახეთის საზოგადოებრივ წყობილებაშივე უნდა ვეძიოთ.

იმავე კახეთს ბევრად უფრო დიდი „ფეოდალური სტაჟი“ ჰქონდა, ვიდრე ეიზილბაშურ ირანსა და ოსმანურ თურქეთს, ხოლო „ქრისტიანული ტიპის“ ვასალიტეტი შეუდარებლად უფლო მაღლა იდგა „აღმოსავლურზე“ – თავისი ჰუმანური პრინციპებით. ამიტომ არ იქნებოდა სწორი რუსეთ-კახეთისა და კახეთ-„აღმოსავლური“ კავშირების ფორმებს შორის ანალოგიის ძებნა: ერთს საფუძვლად უდევს ნებაყოფლობითი საწყისები, მეორეს – ძალადობა, მონური მორჩილება. თვითონ ზ. ავალიშვილი წერს, რომ კახეთი ითხოვს „პროტექტორატსა და სიუზერენიტეტს“. მაგრამ აღმოსავლეთისათვის უცხო იყო პროტექტორატის ინსტიტუტი, შუასაუკუნეებისა თუ დღევანდელობის გაგებით, ამას თუ იმასაც დაეუმატებოდა, რომ XIX-XX სს. დასავლეთ ევროპის დოქტრინა ამ ორ ცნებას შეუთავსებლად თვლიდა.

საჭიროა განსაკუთრებით შევხერდეთ აკად. ივ. ჯავახიშვილისა და პროფ. ი. ცინცაძის შეხედულებაზე.

ივ. ჯავახიშვილი, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, თვლის, რომ 1587-1589 წწ. ხელშეკრულება სხვადასხვაგვარად იყო შეფასებული მხარეების მიერ: მოსკოვი თვლიდა მას ქვეშევრდომობის ხელშეკრულებად ვასალიტეტის მნიშვნელობით, ხოლო ალექსანდრე – მხოლოდ ქვეშევრდომობის ხელშეკრულებად. ჩვენ მიერ განხილული წყაროების მიხედვით, ეს დებულება უსაფუძვლო ჩანს: ორივე მხარე ამ კავშირს მიიჩნევს მფარველობით ურთიერთობად, რომელიც გამორიცხავს სიუზერენიტეტს. მოსკოვსაც და კახეთსაც ესმით, რომ მათი კავშირი წმინდა თავდაცვითია და არა ალტრუისტული ხასიათისა, იგი ემყარება ურთიერთსარგებლობის პრინციპს: დაცვისათვის ალექსანდრე მზად არის სამსახური გაუწიოს რუსეთს, რაც სრულიად არ ამცირებდა მის სუვერენულ უფლებებს; იგი რჩებოდა სუვერენულ მეფედ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, იმ გამონაკლისით, რომ თავისი პოლიტიკა უნდა შეეფარებინა მოსკოვის პოლიტიკისათვის და ეხადა მისთვის ნომინალური ხარკი თავისი დამოკიდებულების აღსანიშნავად.

მართალია, მოსკოვი ასეთ დამოკიდებულებასაც „ქვეშევრდომობად“ თვლის, მაგრამ ორი სახელმწიფოს დიპლომატიური ურთიერთობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ტერმინი კახეთის მიმართ სრულიად სხვაგვარად არის გაგებული და საერთაშორისო სამართლის შეფასებით ტერმინ „დამოკიდებულის“ იდენტურია.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ კახეთ-რუსეთის 1587-1605 წწ. კავშირის დროს, მოსკოვი ყოველგვარად ცდილობდა ხაზგასმით პატივი ეცა კახეთის მეფისათვის, როგორც სუვერენული მფლობელისათვის. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ეპიზოდები ნათლად მეტყველებს ამაზე; მაგრამ შეიძლება კიდევ ერთი მაგალითი დაეუმატოთ. 1601 წ. აგვისტოში კახეთს გაიგზავნა ელჩები – ნაშჩოკინი და ლეონტიევი, „ნაკაზის“ ერთ-ერთ პუნქტში საინტერესო დეტალია მოცემული:

« ( - . ) ( )...  
 ,  
 , ... ( - . )  
 , -  
 : ...  
 ...  
 ,  
 ...  
 ,

300<sup>122</sup>. და მართლაც,

ვასილი შელკალოვი, რომელსაც 1594 წლიდან ეკავა საელჩო მდივნის თანამდებობა (მან შეცვალა თავისი ძმა ანდრეი) 1601 წლის მაისიდან (ე. ი. მთავარი სულეიმანის მოსკოვში ყოფნის დროს) დატოვა ეს თანამდებობა სამუდამოდ და დარჩა მხოლოდ „პენატანიკად“ (მეფის ბეჭდის შემნახველი და სიგელებზე ამ ბეჭდის დამდები მოხელე). გადაყენების მიზეზი ვერ დავადგინეთ და შესაძლოა იგი მართლაც დასაჯეს იმ თვითნებობისათვის, რამაც ქართველი ელჩების უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ უკვე თვით ფაქტი, რომ ბორის გოდუნოვი თითქოს ბოდიშობს და თავს იმართლებს იმით, რომ საქმის ვითარების შესახებ არაფერი იცოდა, აგრეთვე ატყობინებს კახეთის მეფეს მომხდარ გაუგებრობაში „დამნაშავე“ პირების დასჯის შესახებ, უკვე მრავლისმეტყველია. ვასალსა და ქვეშევრდომს ასე არ ეპყრობიან.

კიდევ უფრო უარესი ხვედრი ელოდა ნაშჩოკინს. კახეთიდან დაბრუნების შემდეგ (ლეონტიევი გზაში გარდაიცვალა), ნაშჩოკინმა მეფესთან უჩივლა ალექსანდრეს, რომელმაც თითქოს შეურაცხყოფა მიაყენა მას და მის ელჩებს. დაკითხეს კახეთის ელჩები, რომლებმაც არათუ აღიარეს დანაშაული, არამედ თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. მათ რუსეთის მეფის ელჩებს დასდეს ბრალი, რომ ისინი მეფის „ნაკაზის“ შესაბამისად კი არ იქცეოდნენ, არამედ ვაჭრობდნენ და ყაჩაღობდნენ (დამით სახლში შევარდნენ, გლეხი და მისი ცოლი სიკვდილის პირას მიიყვანეს და სხვ.), მაგრამ ჩვენმა ხელმწიფემ შენი უდიდებულესობის გულისთვის ხელმწიფის ელჩები არაფრით დასაჯაო.

კომისიამ ნაშჩოკინი დამნაშავედ ჩათვალა და ხელმწიფემ ბრძანა მისი სიკვდილით დასჯა. კირილეს თხოვნით სიკვდილით დასჯა მას შეუცვალეს საჯარო დასჯით, რომელსაც, მეფის მითითებით, კახეთის ელჩები დაესწრნენ<sup>123</sup>.

ამრიგად, ორივე მხარე სრულიად ზუსტად აფასებს კახეთ-რუსეთის კავშირს როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ალტრუიზმის შესახებ ფეოდალიზმის ეპოქაში ლაპარაკიც ზედმეტია. დამოკიდებულების ნებისმიერი ფორმა ამ ეპოქაში გაგებულია როგორც „ქვეშევრდომობა“, მაგრამ მისი სახეები სხვადასხვაგვარია და თანამედროვე მეცნიერების ამოცანაა გაერკვეს მათში და მისცეს თითოეულ მათგანს ზუსტი დახასიათება, რათა საკითხი გასაგები იყოს სპეციალური განმარტების გარეშეც.

<sup>122</sup> , . 242-243.

<sup>123</sup> , . 396-397, 402-403.

პროფ. ი. ცინცაძე ცდილობს უფრო დეტალურად გაანალიზოს 1587-1605 წწ. კავშირის იურიდიული ბუნება. თავის მოსაზრებას იგი საფუძვლად უდებს კახეთ-რუსეთის 1587 წ. ხელშეკრულების საქმის წარმოების გენეზისს, და მსჯელობას აგებს პროფესორ მ. პოლიევქტოვის თეზისის კრიტიკულ ანალიზზე.

მ. პოლიევქტოვი წერს: „

... -

...

”<sup>124</sup>. (ხაზგასმა ჩვენია - ლ. ა.).

პროფ. ი. ცინცაძე არ ეთანხმება ამ დებულებას:

„რუსული საბუთების გაცნობამ ამ სტრიქონების ავტორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ XVI და XVII საუკუნეებში ქართველ მეფეთა მიერ ხელმოწერილი რუსული „ფიცის წიგნი“ არ შეიძლება წარმოშობილი იყოს ე. წ. „საუფლისწულოების პერიოდის რუს მთავართა ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულებებიდან“, მათ შორის დიდი განსხვავებაა. რუსული სამთავრობოთაშორისო ხელშეკრულებანი წარმოშობილია მთავართა შორის არსებული თანასწორუფლებიანობის პირობებში, „ფიცის წიგნი“ კი სხვა ურთიერთობისა და უფლების პირობებში. რაც მთავარია, „ფიცის წიგნები“ რუსეთში საქართველოსთან ურთიერთობის დასამყარებლად საგანგებოდ კი არ შემუშავებულა, არამედ იგი არა უგვიანეს XV საუკუნის მეორე ნახევრისა, რუსეთის წინა სოციალური ცხოვრების განვითარების საფუძველზე, ჯერ თვით რუსეთის შინა პოლიტიკური ცხოვრების მოსაწესრიგებლად შემუშავდა და შემდეგ, უკვე მზა ფორმა სათანადო სოციალური შინაარსის მქონე, გამოყენებულ იქნა ქართულ სამეფოებთან ურთიერთობის დროს”<sup>125</sup>.

ამგვარად, მ. პოლიევქტოვი და ი. ცინცაძე ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ „ფიცის წიგნი“ არის აქტი, რომლითაც მყარდება ფიცის დადების ვასალური ურთიერთობა იმის მიმართ, ვისაც აძლევენ ფიცს, მაგრამ სხვადასხვა აზრისანი არიან ამ ფაქტის გენეზისის შესახებ, რის გარეშეც მართლაც შეუძლებელია „წიგნის“ იურიდიული ბუნების განსაზღვრა. რამდენადაც პირველი დებულება – ვასალიტეტის არსებობა – გამომდინარეობს მეორიდან – ფიცის წიგნის ბუნებიდან – ჩვენ უნდა დავიწყოთ სწორედ აქედან.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ „1587 წლის წიგნი“ მართლაცდა ვასალური დამოკიდებულების სინონიმია, მაშინ მ. პოლიევქტოვი თითქოს მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ ამ წიგნის „წინაპარი“ ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში მთავართა შორის არსებული სახელშეკრულებო სიგელია.

პროფ. ი. ცინცაძეს მიაჩნია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომ მთავართა შორის დადებული ხელშეკრულება გულისხმობს „დამოუკიდებელი, თანასწორუფლებიანი სამთავროების“ არსებობას. თავს ნებას მივცემთ არ დავეთანხმოთ ამ დებულებას. როგორც უკვე დავინახეთ, ჩვენამდე შემონახულ ხელშეკრულებათა შორის (XIV-XV სს.) ისეთებიც გვხვდება, რომლებიც აშკარად ართმევენ ცალკეულ ერთეულებს დამოუკიდებლობას და ეფექტურ იარაღს წარმოადგენენ მოსკოვისა და ლიტვის

<sup>124</sup>

( , 1940, . XI, . 94).

<sup>125</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან X-XVI სს, გვ. 296.

დიდი მთავრების ხელში, რომლებიც ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ რუსეთის მიწების გაერთიანების საქმეში.

ჯერ კიდევ 1367 წლის ხელშეკრულებას შემოაქვს ფორმულა, რომელიც აღრე იყო დიდი მთავრისადმი სხვა მთავრების მორჩილებისა და დამოკიდებულების სიტყვიერი ფორმა. დიდი მთავარი მათთვის „მრისხანეა“, ისინი „ემსახურებიან“ მას „უსიტყვოდ“, ხოლო ის კი ამ მთავრებს „სწყალობს“. აქ არ შეიძლება ვილაპარაკოთ „თანასწორი უფლებებისა და მოვალეობის“ შესახებ. ეს ტიპური ხელშეკრულებაა ვასალიტეტის შესახებ<sup>126</sup>.

სრულიად ნათელია, რომ ეს არის სუსტის მიერ ძლიერის პირველობის აღიარებაზე დამყარებული ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი ტიპური არათანასწორუფლებიანი კავშირები.

პროფ. ი. ცინცაძეს მიაჩნია, რომ თანასწორუფლებიანობის გამომხატველ ტერმინად ხმარობდნენ სიტყვას „ძმა“ – “Брат”<sup>127</sup>.

ეს საერთოდ სწორი დებულება ტერმინ „ძმის“ შესახებ, სრულიად არ გამოიყენება თავადთა შორის დადებული ხელშეკრულებების მიმართ. ჩვენ თითქმის არსად არ გვხვდება უბრალოდ ცალკე ნახმარი „ძმა“, პირიქით, როგორც წესი, ჩვენ გვხვდება – ხელშეკრულებები „უმცროს“ და „უფროს“ ძმებს შორის<sup>128</sup>. თავდაპირველად ეს ტერმინი მართლაც განასხვავებდა მხოლოდ ძმების ასაკს, შემდეგ კი იგი გადიქცა უფრო ძლიერი მთავრის ტიტულად.

ამრიგად, ტერმინი „ძმა“, რომელიც XV-XVI სუკუნეებში თანასწორობის სიმბოლოდ გადაიქცა (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსკოვი, პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო, უწოდებს მეორე მხარეს „ძმას“, მაგ., მენგლი გირეის, მაჰმუდ ემინს<sup>129</sup> და სხვ.), არც ერთხელ არ გამოიყენება ფეოდალური დაშლილობის გვიანდელი პერიოდის ხელშეკრულებაში თავადთა შორის. პირიქით, ტერმინები „უფროსი“ და „უმცროსი“ მოწოდებული იყო მოესპო ტერმინ „ძმის“ ძველი მნიშვნელობა და დაემკვიდრებინა პოლიტიკური ძალების შექმნილი თანაფარდობა, ე. ი. არათანასწორუფლებიანობა და სიუხერენულ-ვასალური იერარქია, ცალკეულ დიდ სამთავროებში, ხოლო შემდგომ, ამ სამთავროების დამორჩიელა მოსკოვისადმი.

პროფ. ი. ცინცაძის დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს სამთავროთა შორის ხელშეკრულებები იდებოდა მხოლოდ თანასწორუფლებიან ერთეულებს შორის და ყოველთვის შეიცავდა მხარეთა თანასწორ უფლება-მოვალეობას, ვერ უძლებს კრიტიკას. ფაქტების შეჯერება სხვა სურათს იძლევა. ჩვენ გავბედავთ იმის მტკიცებას, რომ ჩვენამდე შემონახული სამთავროთა შორის დადებული ხელშეკრულებები უმრავლეს შემთხვევაში აკანონებენ ოდესღაც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების უფრო ძლიერი ერთეულისადმი დამორჩილებას. ამავე დროს, ეს დამორჩილება, როგორც წესი, იძულებით ხასიათს ატარებს, დადებული ხელშეკრულება მხოლოდ *modus vivendi*-ა დამოუკიდებლობის დაკარგვის გზაზე.

მაგრამ გავყვეთ პროფ. ი. ცინცაძის მსჯელობას. უარყოფს რა მ. პოლიევქტოვის დებულებას ალექსანდრე II-ის „წიგნის“ კავშირის შესახებ

<sup>126</sup>

„...“, 1892, . IV, . 64.

<sup>127</sup> ი. ცინცაძე, იქვე, გვ. 297.

<sup>128</sup> , 1.

<sup>129</sup>

III

( , II, 1, 2 )

III ( , II, 24).

დაქუცმაცებულობის პერიოდის ხელშეკრულებებთან, რომელსაც მოსკოვის გაძლიერების პერიოდში (XV ს. ბოლო და XVII ს. შუა წლები) ცალკეული მთავრები აძლევდნენ მოსკოვის მთავარს, ავტორი იმოწმებს 1474 წ. ივანე III-სადმი დანილა დიმიტრის ძე ხოლმსკის მიერ მიცემულ წიგნს.

ამტიკებს რა 1474 წლის ფიცის იგივეობას ალექსანდრე მეორის წიგნთან, პროფ. ი. ცინცაძეს მიაჩნია, რომ ამ აქტებში გამოყენებული ტერმინი „неприставати“, ამ „იგივეობის“ მაჩვენებელია.

მართლაც ეს ასეა, – წიგნის მიზანია ურჩი მსახურის მხრიდან ერთგულების უზრუნველყოფა, რომ მოსპობოდა მას „სამსახურზე“ უარის თქმის საშუალება. ტერმინი „неотъехати“ 1474 წლის ტიპის წიგნების კვინტესენციას წარმოადგენს.

ამიტომ გაუგებარია ავტორის ცდა გადაიტანოს ეს ფორმა რუსულ-ქართულ დიპლომატიურ აქტებზე. პროფ. ი. ცინცაძის აზრით, ტერმინი „неотъехати“ ალექსანდრეს ფიცის წიგნში ტრანსფორმირებულია როგორც „неприставати“ აქ ნიშნავს არ ჩამოცილებას, სხვასთან არ შეერთებას, არ აყოლას. ტერმინი „отъезжать“ ძველი რუსული უფლებაა ბოიარისა და სხვა სოციალური კატეგორიის პატრონის თავისუფლად არჩევისა. იგი ფაქტიურად იმას ნიშნავდა, რომ ესა თუ ის პირი მართლაც ან წავიდოდა ან მოვიდოდა ამა თუ იმ მფლობელის კარზე და მის სამფლობელოში დაბინავდებოდა სათანადო მამულის ბოძებით”<sup>130</sup>.

ალექსანდრეს წიგნის ტერმინოლოგიას არაფერი არა აქვს საერთო 1474 წლის წიგნების ტიპის ტერმინოლოგიასთან, იგი თავისი ფესვებით XV ს. შუა წლებიდან მომდინარეობს. ვასილი II-ის ხელშეკრულებაში თავად ივანე ვასილის ძესთან (1448-1449 წწ.) ნათქვამია:

„

,

...

,

,

,

”<sup>131</sup>.

ალექსანდრეს ფიცის წიგნში კი ვკითხულობთ: „

...

...

...

” (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ა.).

ვფიქრობთ, ტერმინოლოგიის იგივეობა სრულიად თვალსაჩინოა, და, ამრიგად, 1474 წ. წიგნის პრიორიტეტი საკმაოდ მოჩვენებითი ხდება.

ეჭვს იწვევს პროფ. ი. ცინცაძის მტკიცება, თითქოს „წიგნი“ (1474 წ. ტიპისა) იწვევდა დიდი მთავრის მხრიდან „წყალობას“, ე. ი. „წყალობის სიგელს“.

ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთ „წყალობის სიგელს“, რომელიც მოსკოვის მთავრის მიერ „ჯვარზე ფიცის“ საპასუხოდ ყოფილიყოს გაცემული და ეს არც იყო საჭირო, რადგან „წიგნი“ ატარებდა მონანიების ხასიათს, რომლის ავტორი დიდ მთავარს ერთგულებას ეფიცებოდა და ამით გამოისყიდდა თავის ბრალს.

ამ აქტის გარანტია ორმაგი იყო: ეკლესიის თავდება, ერთი მხრივ, და ფულადი, მეორე მხრივ.

საპირისპიროს მტკიცება, პროფ. ი. ცინცაძეს, ჩანს, ჭირდება იმისათვის, რომ გაამაგროს თავისი თეზისი 1474 და 1587 წწ. წიგნების იგივეობის შესახებ.

<sup>130</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი, გვ. 308-309.

<sup>131</sup> , . 158, 52.



„წყალობის სიგელს“, ავტორის თქმით, მეფე გასცემდა საკუთარი შეხედულების შესაბამისად. საბუთში ერთს შეუძლია მხოლოდ აჯა-ვედრება – „челобитье“, მეორე მხარეს კი – მოწყალების გაცემა „пожалование“ ანდა „жалование“.

თუ როგორი იქნება მოწყალება, ეს მთლიანად ხელისუფალზეა დამოკიდებული: წყალობა შეიძლება დაემთხვეს მოაჯის სურვილებს, აჯა შეიძლება შეწყნარებული არ იქნეს, ანდა წყალობა მოაჯის სურვილებს არ დაემთხვეს, უზენაესი ხელისუფალი ამაში შეუზღუდველია. „ფიცის წიგნი“ ერთ მხარეს ხდის ვალდებულს, მწყალობელი კი ფიცის მიმცემის წინაშე კონკრეტულად ვალდებული არ არის. ყოველი შეწყალება მწყალობელის მხრივ წყალობის სიგელით ფორმდება შეწყალებულის სახელზე, მას „жалованная грамота“ ეწოდებოდა<sup>132</sup>.

მაგრამ ამგვარი მტკიცება ფრიად სადავოა. ჯერ ერთი, „წყალობის სიგელები“, რასაც აძლევენ ციმბირისა და ყაზანის მთაგრეხს, უბრალო კი არ იყო, არამედ „ოქროს ბეჭდიანი“, რაც, როგორც უკვე დავასაბუთეთ, ათანაბრებდა მათ საერთაშორისო-სამართლებრივი ტიპის ხელშეკრულების სიგელებთან. განსაკუთრებით ეს ეხება კახეთ-რუსეთის ხელშეკრულებას.

საკმარისია მივმართოთ „რადიკონისა და პეტრეს განაწესის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმართონ მათ მეფის საქმე (კახეთში – ლ. ა.)“, რომ დავრწმუნდეთ, თუ რა პოზიციებიდან აწარმოებს მოსკოვი კახეთთან მოლაპარაკებას: „... а молить: государь наш... по твоему челобитию и прошению тебя, Александра князя, и всю землю грузинскую в свое царское имя под свою царскую руку взял и *хочет тебя и твою землю от своих ото всяких недругов оберегати* и город на Терке для тебя и твоей земле обереганья поставить государь велел... *а... послал государь наш... к тебе о всем с тобою договориться, как тебе в государя жалованье и под его царскою рукою в обороне быти и как* вперед на Терке государевым людям быти и тебя и твою землю оберегати от всяких недругов... И ты, князь Александр, о том обо всем ближним людям приговорити с нами вели. *А договорись бы обо всем, ты, Александр..., нас отпустил ко государю нашему... и своих послов добрых лутчих людей с нами... послал о всем им наказав, как тебе быти под государя нашего рукою и во обороне... и как... государю тебя жаловать и от которых твоих недругов... тебя... оберегати... А ныне бы еси государю нашему... правду учинил... на целовальной записи крест целовати, чтоб тебе и твоей земле быти под государя нашего царского величества рукою и от государя... неотступну и з государевыми людьми против всех недругов стояти за один“.*

” ... ,  
– ... ( – . )... ...  
... ,  
...  
...  
...  
... ,

<sup>132</sup> ი. ცინცაძე, ძიებანი..., გვ. 307.

...

...

?”<sup>133</sup> (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ა.)

მთელი „განაწესი“ ასეთი ტონითაა შედგენილი. იგი დაწვრილებით ითვალისწინებს ყველა იმ საკითხს, რაც ადგილზე შეიძლება წამოიჭრას მოლაპარაკების დროს. მოსკოვს ესმის, რომ ფიცის დადება შეიძლება შეაკრთოს ალექსანდრე. ამიტომ იგი კახეთისაგან არ მოითხოვს დაუყოვნებლივ „ფიცის დადებას“, წინადადებას იძლევა დააზუსტოს კავშირის ყველა დეტალი და გამოგზავნოს თავისი ელჩები. თუმცა თვლის, რომ უმჯობესი იქნება, ალექსანდრემ თვითონ დადოს ფიცი, ეს დაახქარებს მოსკოვის მხრიდან დახმარებას. როგორც ვნახეთ, ტერმინი „ხელშეკრულება“, „შეთანხმების“ და სხვა სახით, საკმაოდ ხშირად გვხვდება და „განაწესი“ მთლიანად გამსჭვალულია ნებაყოფლობის სულისკვეთებით – ყველაფერი ალექსანდრეზეა დამოკიდებული: თუ სურს „თავდაცვითი კავშირი“, პირდაპირ ბრძანოს და მეფე უბოძებს მას „წყალობის სიგელს“, თანაც ისეთს კი არა, როგორსაც თვით მოსკოვის მეფე მოისურვებს, არამედ ალექსანდრესთან შეთანხმებულს, როგორსაც თვითონ მოითხოვს. მაშასადამე, „წიგნი“ და „წყალობის სიგელი“ ერთი და იმავე აქტის ორი განუყოფელი საბუთია. შემთხვევით კი არ უსვამს ხაზს თევდორე ივანეს ძე თავის „წყალობის სიგელში“: „... и прямити (тебе, Александру – Л. А.) о всем потому, как еси нам... правду дал и на записи крест целовал, и как в сей нашей царской жаловальной грамоте написано”<sup>134</sup>. (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ა.).

თავის მხრივ ალექსანდრე მოითხოვს მოსკოვის მეფისგან, რომ მან ისე იმოქმედოს, როგორც ეს თავის ნაბოძებ „წყალობის სიგელში“ დაუწერა. მაშასადამე, ალექსანდრეს „წყალობის სიგელი“ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მიაჩნია, რომელიც „წიგნისაგან“ განსხვავებით, მოიცავს მოსკოვის მეფის ვალდებულებებს.

„1474 წლის წიგნი“ ასეთს არაფერს მოითხოვდა. იგი საერთოდ გამორიცხავდა ნების გამოვლინების თავისუფლებას.

ზემოაღნიშნულის მიხედვით დამტკიცებულად მიგვაჩნია ძირეული სხვაობა „1474 წლის წიგნსა“ („მორჩილება-თავდებობა“) და „1587 წლის წიგნს“ შორის. ეს სხვაობა ვლინდება, პირველყოფლისა, მითითებული აქტების წარმოშობის ხასიათსა და ფორმაში.

„1474 წლის წიგნი“ ვასალური ურთიერთობის განვითარების შედეგია, და, თუმცა მასში ჩანს სახელშეკრულებო სამართლის გადმონაშთები, ეს მსგავსება მხოლოდ გარეგნულია. „1474 წლის წიგნი“ არის აქტი, რომელიც სპობს სახელშეკრულებო საწყისებს და ამტკიცებს მოსკოვის სახელმწიფოს ერთმმართველობას. „1587 წ. წიგნი“ არის აქტი, რომელიც უარყოფს მეფის ერთმმართველობას და მთლიანად საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში იმყოფება. იგი უფრო ახლოა მთავართა შორის დადებულ ხელშეკრულებებთან არა მხოლოდ წარმოშობის ხასიათით (თუმცა ზოგიერთი რამით განსხვავდება მისგან) არამედ შინაარსითაც. ამიტომ პროფ. მ. პოლიევქტოვის დებულება, რომ ქართული... „წიგნები“, როგორც ჩანს, მომდინარეობენ დაქუცმაცებულობის პერიოდის

---

133 , . 21-22.

134 , . 89.

სახელშეკრულებო სიგელებიდან, უფრო მართებულად მიგვაჩნია, ვიდრე პროფ. ი. ცინცაძის დებულება. სწორია აგრეთვე მ. პოლიევქტოვის დასკვნა იმის შესახებ, რომ შუალედური რგოლი არის მუსლიმანური მფლობელების „шертная запись“, გავიხსენოთ ყაზანის, ასტრახანისა და ციმბირის მეფეების „ფიცის წიგნები“, როგორ თანდათანობით შეეწყნენ და შეეთვისნენ ეს წიგნები მოსკოვის საგარეო პოლიტიკას. განსაკუთრებით ეს ეხება ყაბარდოელი მთავრების წიგნებს, თუმცა ეს წიგნები (რომლებიც თავის სათავეს დაქუცმაცებულობის პერიოდის უფო გვიანდელ სახელშეკრულებო სიგელებიდან იღებენ და თითქოს მათი „ჩამონატეხია“) წარმოადგენენ ერთგვარ ხიდს 1587 წლის „წიგნისაკენ“. თუ სახელშეკრულებო სიგელებისაგან ისინი განსხვავდება მხოლოდ აქტის ფორმით, 1587 წლის „წიგნიდან“ მათ განასხვავებს შინაარსი. მაშინ, როდესაც „шертные записи“ წარმოიშვა დრომოჭმული ფორმის შინაარსთან შესაბამისობის აუცილებლობის გამო, 1587 წლის „წიგნი“ წარმოიშვა ძველ ფორმაში ახალი შინაარსის ჩადებით, რომელიც განასხვავებს მას ყველა ადრე არსებული „წიგნებისა“ და მათთან დაახლოებულ სახელშეკრულებო „ფიცის სიგელების“ შინაარსისაგან. „шертные записи“ წარმოიშვა არა XV საუკუნის ბოლოს, არამედ XVI საუკუნის დასაწყისში. 1587 წლის „ფიცის წიგნი“ არის ხელშეკრულების ნაწილი, რომელიც ეყრდნობა ახალ საწყისებს, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს ძველ ფორმას.

1587-1589 წლების კახეთ-რუსეთის ხელშეკრულება არის მოსკოვის სახელმწიფოს პირველი მფარველობითი ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად უდევს რელიგიური მოტივი – „ქრისტიანული რწმენის დაცვა“.

\* \* \*

გარეგნულად ასეთი სახით გვევლინება კახეთ-რუსეთის 1587-1605 წწ. საერთაშორისო-სამართლებრივი ურთიერთობა. ამ ურთიერთობის რელიგიურ იერ-ფერს არ ძალუძს შენიღბოს მოსკოვის ძირითადი ამოცანა – საჭირო დროს, კახეთზე დაყრდნობით, შევიდეს ამიერკავკასიაში, განდევნოს ირანი და თურქეთი საქართველოდან და აზერბაიჯანიდან. ჯერ კიდევ კახეთთან ხელშეკრულების დადებამდე მოსკოვმა იცოდა, რომ „რამდენიმე“ საქართველო არსებობდა და კახეთში პირველსავე ელჩობას (1587 წელს) დავალებული ჰქონდა ეცადათ დაემყარებინათ კონტაქტი „ალექსანდრეს სიძესა ან ძმასთან ან ძმისწულთან“ და დაეყოლიებინათ ისინი „ხელმწიფის ხელქვეშ და დაცვაში“ შესვლაზე. მაგრამ, რამდენადაც „კახეთის გარეთ“ მდებარე საქართველო იყო საკმაოდ შორს და არ ჰქონდა მოსკოვთან არც გეოგრაფიული და არც პოლიტიკური ურთიერთობა, მოსკოვის გეგმა გეგმადვე დარჩა.

ალექსანდრე II-საც ჰქონდა „საქართველოების“ გაერთიანების გეგმა. ეს გეგმა მშვენივრად არის გარჩეული აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ: კახეთის მეფე, სხვა „საქართველოების“ პოლიტიკური მოღვაწეებისაგან განსხვავებით, „საქართველოების“ გაერთიანების შესაძლებლობას ხედავდა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოსკოვთან ერთად, და საქართველოს ყველა ნაწილის მიერ მოსკოვის ჰეგემონიის აღიარებაში. „И только великий государь вступитца за меня и, слыша те земли (земли „крестьянские“, что „Турской покорил“ - Л. А.)

государство жалование, взыщут его же великого государя обратятца в крестьянскую веру, и ему великому государю, от Бога будет мзда великая...”<sup>135</sup>.

1520 წ. ალექსანდრემ შექმნა ანტითურქული კოალიციის საკუთარი პროექტი, სადაც, შაჰ-აბასის პროექტისაგან განსხვავებით, ლიდერობა თავის თავზე მოსკოვს უნდა აეღო.

„იმაზე დამოუკიდებლად, თუ რამდენად რეალურად შესასრულებელი აღმოჩნდა დიპლომატიური ღონიძიება, გადაჭრით შეიძლება ითქვას კახეთის მეფის სასარგებლოდ, რომ თავის დროსა და პირობებში გვიანფოდალურ ხანაში უფრო ფართოდ, ღრმად და უფრო მარჯვედ საქართველოს საკუთარი ინტერესების დაკავშირება ახლო-აღმოსავლეთის საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებთან იშვიათია, რომ ვინმეს მოეხერხებინოს. ალექსანდრე კახთა მეფის მიერ საქართველოს საკითხის ეს დიპლომატიური მართვა *mutadis mutandis* სახელმძღვანელოდ რჩებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა შემდგომი მსხვილ პოლიტიკოსისათვის”<sup>136</sup>.

ორივე მხარეს მშვენივრად ესმოდა, თუ რა მიზანს ისახავდა თითოეული მათგანი, მოცემულ ეტაპზე მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა: მოსკოვს არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო მიეღო „დაცვაში” „საქართველოები”, ხოლო ალექსანდრეს მოსკოვის დახმარებით – გაეთავისუფლებინა და გაერთიანებინა მთელი საქართველო. მეტწილად ამით უნდა აიხსნას კახეთ-რუსეთის ურთიერთობის ღრმა ჰუმანური ხასიათი: მოსკოვს ესმოდა, რომ თუ ირანი და თურქეთი დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს მის ყველა მოქმედებას, არანაკლები დაძაბვით სწავლობდნენ ერთმორწმუნე დიდი სახელმწიფოს პოლიტიკასაც „საქართველოებში”. მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობა არ აძლევდა რუსეთს საშუალებას გაეწია კახეთისათვის რეალური დახმარება: ამას არ შეიძლება არ ემოქმედა რუსეთ-ქართლისა და რუსეთ-იმერეთის ურთიერთობაზე: დასავლეთ საქართველო და ქართლი, რომლებიც სისხლისაგან იცლებოდნენ თურქეთთან ბრძოლაში, არც კი ცდილობდნენ დახმარებისათვის მიემართათ მოსკოვისათვის. უფრო მეტიც, 1598 წ. ალექსანდრე მუქარაზეც კი გადადის – დაარღვიოს მფარველობითი ხელშეკრულება, თუ მას ბოლოს და ბოლოს, არ აღმოუჩენენ რეალურ დახმარებას შამხალთან ბრძოლაში. ამასთან ერთად, დაუკავშირა რა „საქართველოების” განთავისუფლების იდეა მოსკოვის დახმარების იდეას, ალექსანდრე II ცდილობდა კიდევ უფრო გაეღრმავებინა თავისი დამოკიდებულება რუსეთის სამეფო ტახტთან, იმის იმედით, რომ რუსეთის მეფე იძულებული გახდებოდა უფრო ქმედითი ნაბიჯები გადაედგა ამიერკავკასიაში.

1598 წ. მან შესთავაზა მოსკოვს შეეცვალა კავშირის სტატუსი: ხელმწიფემ თურქეთისაგან დამიცვას და თურქეთს ჩემგან რა ხარკიც მიაქვს, თვითონ აიღოს; ოღონდ კი ხელმწიფემ დამიცვას ურჯულოსაგან, და მე ვემსახურები სრულიად რუსეთის ქრისტიან ხელმწიფესა და დიდ მთავარს თევდორე ივანეს-ძეს<sup>137</sup>.

6. ბერძენიშვილი სამართლიანად ხედავს ამ წინადადებაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ახალი მომენტის შეტანის ცდას. იგი ამ მომენტად თვლის თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმისათვის მოსკოვისათვის საზღაურის

<sup>135</sup> , . 220.

<sup>136</sup> 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV, გვ. 46.

<sup>137</sup> , . 314.

მიცემას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აქ არის კიდევ ერთი მომენტი – ალექსანდრე სთავაზობს შეცვალოს კავშირის სტატუსი, ამით სურს ნაბიჯი გადადგას ვასალიტეტისაკენ. იგი პირდაპირ აცხადებს: „მინდა ვემსახურო ქრისტიან ხელმწიფეს“. მაგრამ მოსკოვმა ვერ გაბედა ამ წინადადების მიღება და თითქოს უყურადღებოდაც დატოვა იგი.

ალექსანდრე კი კვლავ მოითხოვდა კავშირის გაძლიერებას, რადგან გრძნობდა, რომ მფარველობის არსებული ფორმა არ იძლეოდა სასურველ შედეგს. 1604 წ. კირილეს მიერ მოსკოვში ჩატანილ სიგელში ალექსანდრე ხელმწიფის „ყმას“ – „მონას“ და „ხოლოჰს“ – უწოდებს თავის თავს. ეს პირველი სიგელია ალექსანდრესი, სადაც ის თავის თავს „ხოლოჰს“ უწოდებს: „ოსმალობისა“ და „გაყიზილბაშების“ მუქარა მეტად ძლიერი იყო და ალექსანდრე თანახმა იყო ქართულ-რუსული კავშირი შეეცვალა. კიდევ უფრო გარკვეულად ლაპარაკობდა ამის შესახებ მეფისწული გიორგი. ირანში, შაჰთან ალექსანდრეს გამგზავრების გამო, 1604 წელს რუსეთის ელჩები ტატიშჩევი და ივანოვი მიიღო თვითონ უფლისწულმა. ელჩებთან საუბრის დროს გიორგიმ ასეთი პირობა წამოაყენა: „отписать к государю, чтоб государь их пожаловал, велел поставить в их Грузинской земле город или два, избрав места для большего укрепления, и людей русских в них посадить, чтоб недруги их Турской и Кизилбашской им не грозили. А вперед, что государь изволит положить на грузинскую землю – и они учнут давать сколько могут и против всех государевых недругов учнут стоять... И таких государств великим ратьми доступают, а государю Бог дает даром. А Турской и Кизилбашской многие лета с нами воуютца а хотят того, чтобы города поставить в нашей земле и людей своих посадить, - и мы з Божьею помочью стояли; а в иные годы хотя и дани и детей своих давали, а того мы учинить не дали”<sup>138</sup>. (ხაზგასმა ჩვენია – ლ. ა.)

„ქალაქის ჩადგმა“! უფრო ნათლად თქმა ძნელია – იმ დროს ეს პოლიტიკურ ინკორპორაციას ნიშნავდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად ხედავს ამაში კახეთ-რუსეთის ურთიერთობის „ახალ მომენტს“, მაგრამ კმაყოფილდება ამ წინადადების მხოლოდ პოლიტიკური დახასიათებით, როდესაც არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხის იურიდიული ასპექტიც – კახეთი სთავაზობს დამოკიდებულების შეცვლას იმ იმედით, რომ ამ შემთხვევაში მოსკოვის დახმარება მაინც უფრო რეალური იქნება.

დამახასიათებელია, რომ რუსი ელჩები დაინტერესდნენ ამ წინადადებით. მათ სპეციალური ელჩიც კი გაამგზავრეს მოსკოვში ხელმწიფესთან. თვითონ გიორგის ურჩიეს მამისათვის გადაეცა, რომ, როცა იგი ირანიდან დაბრუნდებოდა, გაეგზავნა „ხელმწიფესთან თავისი ელჩები და ეთხოვა ამის შესახებ“.

მაგრამ ალექსანდრესა და გიორგის განზრახვას შესრულება არ ეწერა – მოხდა ის, რისიც ყველაფერზე მეტად ეშინოდათ: უფლისწულმა კონსტანტინემ მოკლა მამაც, ძმაც და ტახტი თვითონ დაიკავა. მოსკოვი პროტესტს აცხადებდა, მაგრამ ამაოდ. შაჰ-აბასს მშვენივრად ესმოდა, რომ ამიერკავკასია მოსკოვისათვის ჯერჯერობით მიუწვდომელი იყო. 1605-1613 წწ. რუსეთში მომხდარმა არეულობამ ხელი შეუწყო აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის გავლენის გაძლიერებას.

ამრიგად მოლაპარაკება, რომელსაც მიზნად ჰქონდა კახეთის სტატუსის შეცვლა მისი სუვერენიტეტის შემდგომი შეზღუდვის გზით (ვასალიტეტი, ინკორპორაცია ცი), დამთავრდა უშედეგოდ კონტრაგენტთა გარეპოლიტიკური ინტერესების სხვაობის გამო.

კახეთ-რუსეთის ხელშეკრულების იურიდიული ხასიათი უცვლელი დარჩა. კახეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელიც სარგებლობდა მოსკოვის სახელმწიფოს მფარველობით, სუვერენული სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნებით; და „მეხარკეებისა“ და „ვასალებისაგან“ განსხვავებით იმყოფებოდა მხოლოდ „დაცვაში“, რაც გამორიცხავდა რუსეთის სიუზერენიტეტს.

\* \* \*

როგორი დასკვნები შეგვიძლია გამოვიტანოთ ზემოაღნიშნულიდან?

1. XVI-XVII სს. მიჯნაზე კახეთ-რუსეთის კავშირის შეფასებისას არ შეიძლება გამოვიყენოთ „პროტექტორატი“, „ვასალიტეტის“ და „ქვეშევრდომობის“ ცნებები მათი შინაარსის გათვალისწინების გარეშე. „პროტექტორატი“ და „ვასალიტეტი“, XIX-XX სს. საერთაშორისო სამართლის თეორიისა და პრაქტიკის თანახმად, არის დამოკიდებულების ფორმა, რომელიც მოწმობს, რომ ამ უკანასკნელებს არ გააჩნიათ არავითარი (უფრო იშვიათად ნაწილობრივი) საგარეო პოლიტიკური ქმედუნარიანობა. საპირისპიროდ, XV-XVII სს. „მფარველობა“ (ტერმინი პროტექტორატი წარმოიშვა უფრო გვიან) და „ვასალიტეტი“ გულისხმობდნენ დამოკიდებული სახელმწიფოების აქტიურ გარეპოლიტიკურ ქმედუნარიანობას.

2. XV-XVII საუკუნეებში დასავლეთ ევროპის საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა განასხვავებს, პირველყოვლისა, დამოკიდებულების სახეებს: სიუზერენიტეტსა და მფარველობას. პირველ შემთხვევაში უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნის სიუზერენს, ხოლო ვასალი „ზის მიწაზე“ პირველის „წყალობით“, მისი ძალაუფლების წყარო ზემდგომი ხელისუფლებიდან გამომდინარეობს, მაგრამ იგი შეიძლება სუვერენულიც კი იყოს, თუ სახეზეა საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ავტონომია. „მფარველობის“ დროს ადგილი ჰქონდა კავშირს, რომლის დროსაც სუსტი მხარე (პროტექტე) მტრებისაგან დაცვის მიზნით, უკავშირდებოდა ძლიერს (მფარველს), რომელიც თანახმა იყო დაეცვა იგი. ამავე დროს სუსტი მხარე კისრულობდა რიგ ვალდებულებას – ხარკით დაწყებული ფორმიდან ვასალურის ჩათვლით. იგი შეიძლება შემოფარგლულიყო მხოლოდ სამხედრო დახმარებით ან პირიქით, საგარეო ქმედუნარიანობა შეეზღუდა, რასაც „დაქვემდებარებას“ უწოდებდნენ. „ქვეშევრდომად“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პროტექტე იქცეოდა მხოლოდ ინკორპორაციის შემთხვევაში. პროტექტორის მიერ პირობების დარღვევა პროტექტეს უბრუნებდა დამოუკიდებლობის სტატუსს.

3. მუსლიმანური აღმოსავლეთი იცნობდა დამოუკიდებლობის მხოლოდ ერთ ფორმას – სიუზერენიტეტს, რადგან ყველა დიდი სახელმწიფოს მესვეური (შაჰი, სულთანი) სიუზერენიტეტის პრეტენზიას აცხადებდა მთელი მსოფლიოს მიმართ: ყველა ხალხის ხვედრია დაემორჩილოს ღვთის გუშაგს (მართლმორწმუნენი) ან ღვთის მახვილს (ურჯულონი) და მისცენ მას „მიწა და წყალი“. ნორმალური

ხარკის გადახდაც კი „ქვეშევრდომობად“ ითვლებოდა. მფარველობის ინსტიტუტი, მისი დასავლეთევროპული მნიშვნელობით, აქ უცნობია.

4. მოსკოვის სახელმწიფო, სიუზერენიტეტთან და მეხარკეობასთან ერთად, იყენებდა მფარველობასაც, როგორც სახელმწიფოთა დამოკიდებულების სახეს. იგი წარმოიქმნებოდა მხარეთა ნებაყოფლობითი შეთანხმებით და ყალიბდებოდა ტრადიციული ვასალიტეტის ფორმით (რომლის ატრიბუტები იყვნენ მძევლები, ინვესტიტურა და სამსახური, სადაც ხელმწიფე ბრძანებს), მაგრამ ხარკის გადახდის გარეშე. აღინიშნებოდა იგი ტერმინით „სამსახურსა და დაცვაში (в службе и обороне) ყოფნა“. ეს სტატუსი განსხვავდება დაპყრობილი ან მეფის წყალობის „მთხოვნელი“ ხალხების სტატუსისაგან, რომელნიც „მეფის მიწაზე სხედან“.

5. პირველი ხელშეკრულება, რომელიც უნარჩუნებს მფარველობაში მყოფ სახელმწიფოს „თავისუფლის“ სტატუსს, არის 1587-1589 წწ. კახეთ-რუსეთის ხელშეკრულება. მოსკოვის სახელმწიფო და კახეთი არის ერთმანეთთან მფარველობის ხელშეკრულებით დაკავშირებული ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამ ხელშეკრულებით კახეთს ეკისრება მთელი რიგი წმინდა სამხედრო ხასიათის ვალდებულებანი, მაგრამ სუვერენული ხელისუფლების პრეროგატივები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, ხელუხლებელი რჩება. კახეთი, მართალია, ზოგჯერ (მეტად იშვიათად) იწოდება „ქვეშევრდომად“, „ხოლოპადო“, მაგრამ ეს აიხსნება ურთიერთობის ფორმის სიახლით, იმით, რომ მსგავსი ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინი ჯერ კიდევ არაა შემუშავებული. ამიტომაც ყველგან, სადაც საუბარია „ქვეშევრდომობაზე“, „ხოლოპობაზე“, იქვე ემატება ტერმინი „დაცვაში“, რაც უნდა უთითებდეს კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საგანგებო ხასიათზე. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, პირველად ისტორიაში, მოსკოვის სახელმწიფოსა და კახეთს შორის იდება ხელშეკრულება მფარველობის შესახებ, რომელიც ემყარება მხარეთა ჭეშმარიტად თავისუფალ ნებას. მან პროტეჟეს მთლიანად შეუნარჩუნა შინაგანი და საგარეო-პოლიტიკური ქმედუნარიანობა. მოსკოვის მეფის უხეჩაესობა აქ ნომინალურია. სწორედ ამ მოვლენას უწოდებდა ბოდენი Superiorité prerogative d'honneur.

დასავლეთში გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, XVI-XVII სს. მიჯნაზე არსებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გვარწმუნებს, რომ clientela-ს ინსტიტუტი ცნობილი იყო რუსეთისათვისაც, მაგრამ იგი აქ წარმოიშვა არა რომის სამართლის რეცეპციის შედეგად, არამედ შეიქმნა რუსეთის სამთავროების პრაქტიკით და განსაკუთრებით – მოსკოვის სახელმწიფოს კავშირით საქართველოსთან (კახეთთან).

6. XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე კახეთის სტატუსის მიმართ, რომელიც მოსკოვის სამეფოსთან დადებული ხელშეკრულებით შეიქმნა, არ შეიძლება გამოვიყენოთ ტერმინი „ვასალი“, ხოლო ტერმინების – „პროტექტორატი“ და „ქვეშევრდომობა“ – ხმარებისას საჭიროა მათში ჩაექსოვოს ეპოქის შესატყვისი მნიშვნელობა.

აქედან გამომდინარე, კახეთ-რუსეთის 1587-1589 წლების ხელშეკრულების განმარტებისას საჭიროდ მიგვაჩნია ვიხმართ ტერმინი „ხელშეკრულება მფარველობის შესახებ“ ან „მფარველობითი ხელშეკრულება“, ხოლო კახეთის მეფის სტატუსის მიმართ – ტერმინი „დამოკიდებული“ და არა „ქვეშევრდომი“, „პროტეჟე“ და არა „ვასალი“.

\* \* \*

მომდევნო წლებში მფარველობის სტატუსი გავრცელდა აგრეთვე სხვა „საქართველოებზე“; 1615 წ. – ქართლზე; 1639-1641 წწ. – ისევ კახეთზე; 1651-1660 წწ. – იმერეთზე.

XVII საუკუნის შუა წლებში იცვლება რუსული დიპლომატიური ტერმინოლოგია – „ფიცის წიგნიდან“ და „წყალობის სიგელიდან“ ქრება ტერმინები „ხარკი“, „სამსახური“, რჩება მხოლოდ „подданный в обороне“<sup>139</sup>.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი ტერმინი „ქვეშევრდომი“ აღარ იხმარება<sup>140</sup>, იგივე ბედი ეწია ტერმინს „დამოკიდებული“, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ პეტრე პირველის დროიდან რუსული დიპლომატია ევროპულ ყაიდაზე გადადის და ტერმინოლოგიასაც ამ უკანასკნელისას იყენებს<sup>141</sup>.

ეს აგრეთვე აიხსნება იმითაც, რომ XVII საუკუნის შუა წლებიდან XVIII საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობა ძალზე ინერტულ ხასიათს ატარებს. მართალია, პეტრე პირველის ლაშქრობამ კასპიისპირეთში გამოიწვია ამ ურთიერთობის ერთგვარი გამოცოცხლება (1719-1723 წწ.), რაც სამხედრო კავშირის დამყარებაშიც კი გადაიზარდა<sup>142</sup>, მაგრამ რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ამოცანებით განპირობებული ამ ლაშქრობის შეწყვეტა მძიმე ტვირთად დააწვა ვახტანგ VI-ს, რომელიც იძულებული გახდა რუსეთში გახიზნულიყო, რათა ირანის რისხვას გადარჩენოდა.

მხოლოდ XVIII საუკუნის 60-იან წლებში განახლდა საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობა, თანაც არნახული აქტივობით, რაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადებით დაგვირგვინდა.

<sup>139</sup> . . . , - XVII , „ 1968; . . . , - 1615-1640 „ „ 1937, . 174; , , 1640-1643 „ . 19-25.

<sup>140</sup> 1659 1770 . ( . . . ), , 1861, . 120-155.

<sup>141</sup> , „ 1959, . 344.

<sup>142</sup> გ. პაიჭაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1960.